

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

გიორგი ქავთარაძე

სამხედრო საქმე ძველ
აღმოსავლეთში

მეომრის ბიბლიოთეკა №9

თბილისი
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მეცხრე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX საუკუნეებს, საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია:

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ვაჟა კიკნაძე

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თამაზ ბერაძე

მეცნიერებათა დოქტორი,
ვიცე პოლკოვნიკი

თემურ დალაქიშვილი

რეცენზენტი:

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ირინე ტატიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნინო გიგანი

ყდის დიზაინი: გიორგი კიკნაძე

რედაქტორი: ნარგიზ ხარაბაძე

ტექნიკური რედაქტორი: მარი ჭონიშვილი

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ტოპოგრაფიული სამართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83

მსოფლიოს ყველა სხვა მხარესთან შედარებით, ძველი აღმოსავლეთი და კერძოდ მისი დასავლეთი ნაწილი, ახლო აღმოსავლეთი – ცივილიზაციის აკვანი – წარმოადგენდა რეგიონს, სადაც პირველად ჩნდება საზოგადოებრივ დონეზე ორგანიზებული ომი. ომი ცივილიზაციის აღმოცენების თანმხლები მოვლენაა, რომელსაც მიუხედავად ყველა უარყოფითი შედეგისა, საზოგადოების განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

მსოფლიოში პირველად საზოგადოებრივ დონეზე ორგანიზებული ომის ახლო აღმოსავლეთში აღმოცენება, ამ მხარის გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული და საზოგადოებრივ-ეკონომიკური თავისებურებების ერთობლიობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. სწორედ აქ, ე. წ. ნეოლითური რევოლუციის შედეგად, ჩამოყალიბდა კაცობრიობის ისტორიაში პირველად აღწარმოებითი მეურნეობა ანუ მოხდა მცენარეთა კულტივაცია და ცხოველთა მოშინაურება; ამისდა შესაბამისად ადგილი ჰქონდა სიახლეებს ტექნოლოგიურ სფეროში, მეურნეობრივი საქმიანობის ჩამოყალიბებასთან ერთად ხდებოდა იარაღის ახალი სახეობების შემოღება. ამავე რეგიონში საფუძველი ჩაეყარა კაცობრიობის ისტორიაში არსებულ უძველეს დასახლებებს. ეს დასახლებები მეურნეთა საქმიანობის ადგილების მახლობლად იქმნებოდა, რათა მათი მონაგარის შედარებით ადგილად დაცვა ყოფილიყო შესაძლებელი. ნამატი პროდუქტი, თავის მხრივ, მოსახლეობის ნაწილის გამოთავისუფლების საშუალებას იძლეოდა მეურნეობისაგან და მათი ძირითადი საქმიანობა სწორედ ამ ნამატი პროდუქტის დაცვა ხდებოდა. კარგი მოსავალის მისაღებად ადგილი ჰქონდა ხოლმე შელოცვას ანუ მაგის გამოყენებას, რასაც უფრო ადრეულ ხანებში, წარმატებული ნადირობის „უზრუნველსაყოფად“ მიმართავდნენ; ამ საქმიანობაში ჩაბმული იყო შესაბამისი „ნიჭის“ მქონე ხალხი, ჩვეულებრივ გათავისუფლებული სხვა საზოგადოებრივი ფუნქციებისგან. მოსახლეობის ეს ჯუფები შეიძლება განვიხილოთ შემდეგდომინდელი ჯარისკაცებისა და ქურუმების წინამორბედებად.

ნამატი პროდუქტი, ბუნებრივია, მოსახლეობის ზრდის ტემპზეც აისახებოდა. გაზრდილი მოსახლეობა ახალ მიწებს ითვისებდა, რაც ზოგჯერ უბრძოლველად არ ხდებოდა, და ასე თანდათანობით ხდებოდა წარმოებითი მეურნეობის გავრცელება ძველ ახლო აღმოსავლეთში და მის ფარგლებს გარეთ. ამავე დროს, უკვე არსებულ დასახლებებში მოსახლეობის განუხრელი ზრდის შედეგად ყალიბდება პირველი ქალაქები, ხოლო უფრო გვიან ქალაქი-სახელმწიფოები და სახელმწიფოები. სახელმწიფოებრივი ცხოვრება, თავის მხრივ, მრავალ სიახლეს ითხოვდა – საჭირო ხდებოდა დამწერლობის შემოღება, მმართველი აპარატის შექმნა, მეომართა, ხელოსანთა და სასულიერო წოდებების გამოყოფა უკვე „კასტების“* სახით; თანდათანობით ჩაყალიბებულ არისტოკრატიას ძველაღმოსავლურ საზოგადოებებში სათავეში ედგა ერთპიროვნული მბრძანებელი – მეფე ან მეფე-ქურუმი.

ძველ აღმოსავლეთში და ზოგადად ბრძოლაში გამოყენებული ტაქტიკური ხერხები, საქმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და დამოკიდებული იყო: 1.

მებრძოლი არმიების სიდიდესა და ქმედითუნარიანობაზე; 2. მათ შემადგენლობაში მყოფი ქვედანაყოფების სახეობებზე; 3. აღილმდებარეობის ხასიათზე და მხარეთა მიერ დაკავებულ პოზიციათა უპირატესობებზე; 4. ამინდის თავისებურებზე.

როდესაც სარდალი გრძნობდა ძალის მხრივ საკუთარი ლაშქრის ჭარბ უპირატესობას, იგი ცდილობდა ქვეითი ჯარით შეეტია მოწინააღმდეგის წინა ხაზისათვის, ხოლო ცხენოსნები ფრთებზე ანუ ფლანგებზე განელაგებინა. თავდაპირველად ხდებოდა ქვეითი ჯარის უკან მოთავსებული მშვილდოსნებისა და საალყო საშუალებების მიერ გასროლილი ისრებითა და ქვის ჭურვებით მოწინააღმდეგის წინა ხაზის ინტენსიური დასეტყვა და ამის შედეგად შეთხელება, შემდეგ ქვეითი მებრძოლები გადადიოდნენ იერიშზე და ხელჩართული ბრძოლის მსვლელობისას, ცხენოსანი ნაწილები ორივე ფრთიდან შეტევით რკალში მოაქცევდნენ მოწინააღმდეგეს და მას უკან დახევის საშუალებას აღარ აძლევდნენ.

იმ შემთხვევაში, თუ უპირატესობა არცთუ მთლად გამოკვეთილი ჩანდა, სარდლის მიზანი იყო აეძულებინა მტერი უკან დაეხია, ვინაიდან უკანდახეული მტერი ბევრად უფრო ნაკლებად ორგანიზებული იქნებოდა, ვიდრე მედგრად მდგარი ქვედანაყოფები. ამის განხორციელება შეიძლებოდა მტრის შედარებით სუსტ ნაწილებზე ქვეითი ჯარის მძლავრი იერიშის შედეგად მოწყობილი ხოცვა-ულეტით, რაც მათი უკანდახევის მიზეზი გახდებოდა. როდესაც ერთი სამხედრო ნაწილი თავისი თანამებრძოლების მეორე ნაწილის უკანდახევას ხედავს, მასაც უჩნდება გაქცევის ცდუნება. კიდევ უფრო მნიშვნელოვნად ითვლებოდა მტრის მთავარსარდლის ნებისყოფის შერყევა ან მისი მოკვლა. მთავარსარდლისა და მისი პირადი დაცვის უკანდახევისას თავს იჩენდა შეუქცევადი პროცესები. აღნიშნული ტაქტიკის გამოყენება მიზნად ისახავდა დომინოს ეფექტის* დაწყებას, რაც საბოლოო ჯამში მოწინააღმდეგის მთელი შემადგენლობის ბრძოლის ველიდან გაქცევით მთავრდებოდა.

ადრეული ომების სტრატეგია ძირითადად ორი უმთავრესი მიზნის მიღწევისაკენ იყო მიმართული: მოწინააღმდეგის დარწმუნებაში, რომ ომის გაგრძელება უფრო ძვირი დაჯდებოდა, ვიდრე დანებება და დანებების შემთხვევაში, მაქსიმალურად შესაძლებელი სარგებელის შეთავაზებაში. მტრის დასამორჩილებლად საკმარისი იყო ხოლმე ბრძოლის ველზე მისი არმიის დამარცხება. მას მერე, რაც მტრის სამხედრო ძალა საბოლოოდ იქნებოდა განადგურებული, მოსალოდნელი ალყისა და მოსახლეობის ამოწყვეტის საფრთხე და სხვა მისთანები აიძულებდა დამარცხებულ მხარეს მიჯდომოდა მოლაპარაკებების მაგიდას. კულტივირებული ველ-მინდვრების გადაბუგვითა და მოსალოდნელი შიმშილის წინაშე დაყენებით, მტერი მოსახლეობას აიძულებდა ხოლმე ან უბრძოლველად დამორჩილებულიყო ან მასთან გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმულიყო. გათვლილი იყო აგრეთვე მოსავლის აღების დროის დადგომისა და დაქირავებული მეომრებისათვის გასაცემი თანხის ამოწურვის დროს მოწინააღმდეგე მხარის ნაკლები ბრძოლისუნარიანობა, თუ სულაც დაქსაქსვის შესაძლებლობა. ომში წასულთა

ძირითადი ინდივიდუალური მიზანი, ან მატერიალური სარგებლის მიღება, ან პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება იყო.

ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა მხარეში სამხედრო საქმის განვითარება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ამ მხრივ, პირველ რიგში, გამოირჩევა ექვსი ძირითადი რეგიონი: მესოპოტამია (ევფრატისა და ტიგროსის შუამდინარეთი), ეგვიპტე, ანატოლია (მცირე აზია), ირანი, ინდოსტანის ნახევარკუნძული და ჩინეთი. ქვემოთ განვიხილავთ თითოეული ამ რეგიონის ბრინჯაოს ეპოქის სამხედრო ისტორიას ძალზე შემჭიდროვებულად და სქემატურად. მის საფუძვლიან შესწავლას ათეულობით წიგნიც არ ეყოფოდა.

ჩვენი თვალსაწიერიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ძირითადი ყურადღება დაეთმობა ჩვენს რეგიონთან შედარებით ახლო მდებარე მხარეებში არ სებულ მდგომარეობას. რაც შეეხება, ლევანტს ანუ სირია-პალესტინის მომცველ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს, მისი ბრინჯაოს ხანის სამხედრო ისტორია მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ამ მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე რეგიონის დასაუფლებლად მესოპოტამიის, ანატოლიისა და ეგვიპტის ხელისუფალთა ურთიერჭიდილთან და ამდენად, წინამდებარე ნაშრომში მისი ცალკე განიხილვის საჭიროება აღარ მოგვეპოვება.

მესოპოტამია. საკვებწარმოებით მეურნეობას არც ერთ სხვა მხარეში არ მოუტანია იმ რაოდენობის ზედმეტი დოვლათი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ქვემო შუამდინარეთში ანუ სამხრეთ მესოპოტამიაში. ევფრატსა და ტიგროსში წყლის დონის ხშირი მერყეობა დაბლობის დაჭაობებისგან დასახსნელად მოსახლეობის ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვდა. ზედმეტი საკვები პროდუქციის რაოდენობის განუხრელმა ზრდამ და კოლექტიური მართვა-გამგეობის სულ უფრო დახვეწილმა სისტემამ ხელი შეუწყო ურბანიზაციის პროცესს და საბოლოოდ შუმერული ცივილიზაციის წარმოქმნა-ჩამოყალიბებასაც. მესოპოტამიის ნაყოფიერი ველები ოდითგანვე იზიდავდა განსხვავებული წარმომავლობის მოსახლეობას; შესაბამისად აქ ჩამოყალიბებული კულტურაც სინკრეტული ხასიათისა იყო და შეიცავდა ერთმანეთისაგან განსხვავებულ ელემენტებს. ადგილობრივი და ახალმოსული მოსახლეობის ნარევი მეტ ძალისხმევას მოითხოვდა საზოგადოების ერთიანობისათვის.

მიუხედავად საირიგაციო სამუშაოების ერთობლივი ჩატარების ხელსაყრელობისა, მესოპოტამიის მიწა-წყალი დანაწევრებული იყო ერთმანეთისაგან გალავნით შემოსაზღვრულ, დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებად, რომლებიც დაახლოებით 3000 კმ² ფართს აკონტროლებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი-სახელმწიფოები პრობლემურ საკითხებს ხშირად ერთმანეთან იარაღის ძალით გარკვევას იყვნენ ჩვეულნი, გარეშე მტრის წინააღმდეგ გაერთიანებაც იცოდნენ ხოლმე. ერთიანობის მოთხოვნილება, მესოპოტამიაში ჩასატარებელი სამუშაოების სირთულის გამო, ბევრად უფრო მაღალი იყო. ეგვიპტელებისათვის ერთიანობის ხელსაყრელ პირობას, მათი იზოლირება წარმოადგენდა გარე სამყაროსაგან, რაც, თავის მხრივ, მათ მონურ მორჩილებას განაპირობებდა

ფარაონის მიმართ, რომელიც დედამიწაზე განსხვაულებულ ღვთაებად იყო წარმოდგენილი.

უძველესი შუმერების წარმომავლობის შესახებ არაერთი შეხედულებაა გამოთქმული, თუმცა ერთი რამ სავსებით ნათელია, ცივილიზაციის გარიურაჟზე მესოპოტამიაში მცხოვრებ, თუნდაც განსხვავებული წარმომავლობის ხალხს, ერთსა და იმავე ენაზე უნდა ემეტყველა, თუნდაც ქვეყნის კეთილდღეობის ძირითადი განშსაზღვრული ფაქტორის – საირიგაციო სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

შედარებით უფრო გვიან, ძვ. წ. XVIII საუკუნეში, შეიქმნა ბაბილონის მეფის – ჰამურაბის კანონთა კრებული; კაცობრიობის ისტორიაში სამოქალაქო სამართლის პირველი, სრულფასოვნად დოკუმენტირებული წერილობითი ძეგლი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის მომდევნო ეპოქების კანონმდებლობაზე. მრავალ სხვა საკითხთან ერთად, აქ მსოფლიოში პირველად განსაზღვრული იყო მკურნალობის წესები და ექიმთა უფლება-მოვალეობები. საბანკო საქმიანობაც ასევე პირველად ბაბილონში ჩაისახა, სადაც ტაძრებში შესანახად მიჰქონდათ მარცვლეულის მარაგი, ასევე საქონელი, სამეურნეო იარაღები და ძვირფასი ლითონები.

მესოპოტამიაში თვლიდნენ, რომ მათ ქვეყანაში მთელი ქონება ღმერთს ეკუთვნოდა და ყველა საკითხი, იქნებოდა ეს სამეურნეო, სავაჭრო, პირადი თუ ომთან დაკავშირებული, კანონის მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო. თუ ეგვიპტეში ფარაონი თვით იყო ღმერთი და ყველაფერი ხალხიცა და საგნებიც მისი საკუთრება იყო, შუმერში მმართველები ძირითადად მაინც ჩვეულებრივ მოკვდავებად განიხილებოდნენ.

გავლენიანი სასულიერო წოდება ზედამხედველობას უწევდა სარიტუალო ადათების შესრულებას. ქურუმები ზიკურატებიდან ანუ ტაძრებიდან მართავდნენ ქვეყანას. ზიკურატები, ფაქტობრივად, ალიზის აგურით ნაგები ხელოვნური გორები იყო, რომლის გარეთა კიბე თანდათანობით ვიწროვდებოდა წვერისაკენ, სადაც სამლოცველოები იყო მოწყობილი. სიდიდით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქალაქ ურის ზიკურატი. იმის გამო, რომ შუამდინარეთის დაბლობზე ქვის ნაკლებობა იყო, შუმერებმა ქვის ნაცვლად დაიწყეს აგურის წარმოება და ამ საქმეშიც, დიდ წარმატებას მიაღწიეს. აგურები გზის მოსაკირწყლადაც კი გამოიყენებოდა.

მაღალგანვითარებული მიწათმოქმედება, დახვეწილი საირიგაციო და წყლის სარეგულირებელი სისტემები შუმერის კეთილდღეობის ძირითადი მიზეზი იყო. მიღებული დოვლათის სიუხვე დიდი ქალაქების რიცხვის ზრდას იწვევდა. შუმერის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი-სახელმწიფოები იყო: ურუქი, ერიდუ, ქიში, ლაგაში, აქადი, აქშაქი, ლარსა, ური. ქალაქის გალავნებს ზოგჯერ ორმაგი დანიშნულება ჰქონდა. ქალაქის დაცვის გარდა, მათ მტრისათვის უნდა ეჩვენებინათ ადგილობრივი ხელისუფლების ძლევამოსილება. შუმერული ქალაქის, ურუქის გალავანს სახელი შორს ჰქონდა გავარდნილი. იგი 9,5 კმ სიგრძისა და 12 მ სიმაღლის იყო.

ქალაქების სახით ჩამოყალიბებული კომპლექსური საზოგადოებებისათვის აუცილებელი გახდა სპეციალიზირებული ხელოსნობის ინსტიტუტის არსებობა. შუმერი დაწინაურებული სამხედრო ტექნოლოგიის ქვეყანა იყო. აქ მიიღეს ლი-თონის ახალი სახეობა ბრინჯაო, რომელსაც სპილენძისა და კალის მინარევის ერთად გამოდნობის საშუალებით იღებდნენ. ახალი ლითონი უფრო გამძლე და ბევრად უფრო მაგარი გამოდგა, რასაც დიდი სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. ბრინჯაოს იარაღისა და საბრძოლო ეტლის (იხ. ქვემოთ) გამოყენებას განსა-კუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა შუმერში მეფობის ინსტიტუტის შემოღე-ბისა და ცალკეული ქალაქი-სახელმწიფოების ძალაუფლებისათვის მეტოქეობის პირობებში.

ადრეული ცივილიზაციის ანუ ე. წ. ქალაქური რევოლუციის ჩამოყალიბე-ბის უპირველეს განმსაზღვრელ ნიშნად სწორედ დამწერლობის აღმოცენება არის მიჩნეული. მართლაც, საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ დონემდე განვითარების გარეშე, დამწერლობის აღმოცენებას აზრი არ ექნებოდა, სა-თანადო ფუნქციის გარეშე ხომ ძნელად თუ იქმნება რამე. დამწერლობის, როგორც ადამიანთა შორის არაპირდაპირი (დროის მიღმა მდგომი) კომუნი-კაციის საშუალების გამოვნება, შუმერთა უდიდესი მიღწევა იყო. თუ თავდაპირველად პიქტოგრამების* საშუალებით წერდნენ, თანდათანობით მათ ჩამოაყალიბეს ლურსმული დამწერლობა, რომლისთვისაც ლერწმის ღეროს სოლისებური ნაწილით თიხის ფირფიტაზე დაიტანებოდა ნაჭდევები და მათი საშუალებით უკვე სიტყვის ცალკეულ მარცვლებს გადმოსცემდნენ. ლურსმული დამწერლობა, პიქტოგრამულთან შედარებით, ბევრად უფრო მოქნილი საკომუნი-კაციო საშუალება იყო. დამწერლობის გამოყენებით შუმერები მომავალ თაობებს გადასცემდნენ თავიანთ ტექნოლოგიურ მონაპოვრებს მდინარეთა კონტროლისა და მოსავლიანობის გაზრდასთან დაკავშირებით და ამით კიდევ უფრო მეტად ზრდიდნენ მიწათმოქმედების ეფექტიანობას. შედარებით უფრო გვიან ჩნდება ჩა-ნაწერები მეფებისა და მათ მიერ წარმოებული ბრძოლების შესახებ.

როგორც ითქვა, ძველი მესოპოტამიელების წარმოდგენით, ყველა ქალაქი, მისი მოსახლეობითა და ქონებით, ეკუთვნოდა ამა თუ იმ ღვთაებას, ხოლო მისი ნების აღმასრულებელი და წარმომადგენელი იყო ენზი, ჯარის მიერ ქურუმების მიერ წინასწარ შედგენილი სიიდან არჩეული მმართველი. ურუქის ენზი, გილ-გამეში, ლეგენდარულ ფიგურად გადაიქცა. გილგამეშის ეპოსი* თითქმის სრული სახით არის შემონახული. რთული განყენებული და ემოციური გამონათქვამებით აღსავსე ეს ეპოსი ასახავს შუმერთა განვითარების მაღალ გონებრივ დონეს. გილგამეშის ეპოსი იმავდროულად წარღვნის შესახებ არსებული სხვა ახლოაღ-მოსავლური მითების პროტოტიპია.

სამხრეთ მესოპოტამიაში ცხოვრების არასაიმედობა, დაკავშირებული ბუნე-ბრივი პირობების არასტაბილურობასთან და მტრის მოსალოდნელ შემოსევებთან, მოსახლეობის რელიგიურ ცნობიერებას შესამჩნევად აძლიერებდა. გასათვალის-წინებელია, რომ შუმერული ქალაქები ძირითადად აღმოცენებული იყო წი-ნაშუმერული ხანის საკულტო ცენტრების სიახლოესს. ქალაქების საკულტო ადგილების მახლობლად განთავსება განაპირობებდა ხელისუფლებასა და რე-

ლიგიას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირს. ღვთისმოსაობისა და სალოცავად მონახულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრის, ერიდუს, არსებობა ჯერ კიდევ წინაშუმერული ხანით, ძვ. წ. 5000 წ., განისაზღვრება.

იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შუმერული საზოგადოების კეთილდღეობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ბუნებრივი მოვლენების შესწავლასთან, ქურუმთა საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღრეული სახეობის სამეცნიერო მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული. ამ საქმიანობის ზოგიერთ შედეგს ჩვენ დღესაც ვიყენებთ. კერძოდ, შუმერი ქურუმები თვლიდნენ, რომ ყველა ღვთაება მხოლოდ მისთვის განკუთვნილი რიცხვითი მნიშვნელობით იყო წარმოდგენილი, მაგ.: რიცხვი სამოცი, რომელიც ღვთაება ანს* განეკუთვნებოდა, მათი გამოთვლების ძირითადი საბაზისო ერთეული იყო. ეს რიცხვი დაუდეს საფუძვლად შუმერებმა საათის წუთების რაოდენობასა და პირველად მათ დაყვეს აგრეთვე წრე 360 გრადუსად. შუმერთა ეს ორივე მათემატიკური მიგნება დღესაც გამოთვლითი სისტემების საფუძველია.

გასხვავება ქვისა და ადრეული ლითონების (სპილენძის, ბრინჯაოს) ხანის სამხედრო საქმეს შორის, თუნდაც ამ ეპოქების დასახელებიდან გამომდინარე, პირველ ყოვლისა, თითქოს ტექნოლოგიური თავისებურებებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, მაგრამ, როგორც ირკვევა, იგი ძირითადად ორგანიზაციული ხასიათისა იყო. ჯერ ქალაქი-სახელმწიფოებისა და ბოლოს ადრეული იმპერიების წარმოქმნა-განვითარებამ ძირეულად შეცვალა სამხედრო საქმიანობა. სახელმწიფოს შეეძლო ისეთი რაოდენობით ეწარმოებინა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ნამატი, რომ სამეურნეო საქმიანობისაგან მთლიანად გათავისუფლებული ხელისუფლებისა და სამხედრო მეთაურების ფენის წარმოქმნა გამხდარიყო შესაძლებელი. გარდა ამისა, ვინაიდან სამხედრო ძალების უდიდესი ნაწილი მეურნეობაში ჩაბმული გლეხებისგან შედგებოდა, საზოგადოებას შეეძლო თავისი თავისთვის იმის უფლება მიეცა, რომ ყოველწლიურად ლაშქრობებში მონაწილეობისათვის ეს ხალხი ნაწილობრივ მაინც გაეთავისუფლებინა მუშაობისაგან. სამხედრო ისტორიაში მომუშავე მკვლევართა შეხედულებით, სწორედ ასე შეიქმნა პირველი ორგანიზებული ჯარი, რომელიც ზელს უწყობდა სახელმწიფოს, ერთი მხრივ, გაზრდილიყო დამარცხებული მოწინააღმდეგის ხარჯზე სივრცობრივად, ხოლო, მეორე მხრივ, შეეძინა შინაგანი სიძლიერე სულ უფრო მზარდი ცენტრალიზაციის ხარჯზე.

არ არის შემთხვევითი, რომ ის ქვეყნები (შუმერი და ეგვიპტე), სადაც მიწათმოქმედებამ და მესაქონლეობამ ყველაზე ადრე მიაღწია განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს, აღმოჩნდნენ მხარეები, სადაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად მოხდა სრულყოფილად ორგანიზებული არმიების ჩამოყალიბება. ეს შუმერული და ეგვიპტური ცივილიზაციების აღმოცენების თანამდევი პროცესი იყო.

შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოებს დაახლოებით 5000-10000 მეობრისაგან შემდგარი ლაშქრის გამოყვანა შეეძლოთ. ბრძოლისას ჯარი ფალანგად* ეწყობოდა და მეომრები ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ, წინა ხაზს ფარებით იცავდნენ. თითოეული მათგანი დაცული იყო აგრეთვე მუზარადით და ლი-

თონის ფირფიტებით „მოჭედილი“ მოსასხამით. მებრძოლები შეიარაღებული იყვნენ სპილენძის (უფრო გვიან ბრინჯაოს) იარაღებით, შუბებითა და ცულებით (ილ. 5). ფალანგაში მყოფი მებრძოლი მშვილდისარს არ იყენებდნენ; ბრძოლისას ერთმანეთის პირისპირ ფალანგებად დაწყობილი მოწინააღმდეგები შუბის კვრითა და ბიძგებით და მოქნეული ცულის ჩეხვით უსწორდებოდნენ ერთმანეთს.

ბრძოლის დროს ფორნებსა თუ საზიდავებს შუმერები ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპიდან იყენებდნენ, უფრო გვიან კი – ფართოდ გავრცელებული საბრძოლო ეტლების წინამორბედებს. შუმერული ეტლის გამოსახულება გვხვდება ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებულ ე. წ. ურის შტანდარტზე*. ამ ოთხთვალა ეტლებში მოშინაურებული ვირები თუ ონაგრები* იყო შებმული. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ეტლებზე, მეტლის გარდა შუბოსანი მეომარია გამოსახული (ილ. 2), იგი, ძირითადად მაინც, უფრო სამეურნეო და სარიტუალო დანიშნულებისა (მაგ.: დაკრძალვის ცერემონიალის დროს) უნდა ყოფილიყო, ვიდრე საბრძოლო. შუმერებს აგრეთვე გააჩნდათ ორთვალა საბრძოლო ეტლები, რომლებშიც ოთხი ონაგრი იყო შებმული. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში მესოპოტამიაში სოლიდური, მთლიანი თვალი მანებიანმა ბორბალმა შეცვალა, ხოლო იმავე ათასწლეულის დასასრულს ეტლებში ცხენების გამოყენება დაიწყეს. შუმერები იყენებდნენ აგრეთვე მიწის სახნავ გუთანს და სანაოსნო ნიჩაბს.

შუამდინარეთში, ისევე როგორც ეგვიპტეში, იარაღის შემადგენლობაში თანდათანობით მატულობდა ბრინჯაოსაგან დამზადებული, მაღალი ხარისხის, სულ უფრო დახვეწილი სახეობის ნაკეთობები. შუმერის ქვეითი ჯარი შეიარაღებული იყო შუბებითა და სატყორცნი ხელშუბებით, მახვილებითა და სატევრებით, საბრძოლო ცულებითა და კვერთხებით. მესოპოტამიაში, სხვა რეგიონებთან შედარებით, ძლიერ იყო განვითარებული, როგორც საფორტიფიკაციო ნაგებობები, ასევე ალყის საწარმოები საშუალებები. ფართოდ გავრცელებულ იარაღს მთელ ძველ აღმოსავლეთში წარმოადგენდა მშვილდისარი და შუბი. ამ იარაღით იყო შეიარაღებული რიცხვმრავალი ქვეითი ჯარი მესოპოტამიაშიც, ეგვიპტეშიც და ჩინეთშიც. გილგამეშის ეპოსიდან ვიცით, რომ გილგამეში მახვილისა და ცულის გარდა, შეიარაღებული იყო მშვილდისრით.

შუმერული ლაშქარი თუ თავდაპირველად ბევრად უფრო მაღლა იდგა მეზობელთა ჯარებთან შედარებით თავისი მობილურობით, დისციპლინითა და აღჭურვილობით, თანდათანობით მეზობლებმაც ქვის იარაღი ბრინჯაოს საჭურველით შეცვალეს, დახვეწეს შუმერულ ფალანგებთან ბრძოლის წესები. აღმოსავლეთიდან მთის ხალხებმა, გუთიებმა* და ელამელებმა, ხოლო დასავლეთიდან უდაბნოში მცხოვრებმა მომთაბარე სემიტებმა სულ უფრო ხშირად დაიწყეს შუამდინარეთში შეღწევა და თარეში. სხვებთან შედარებით, თავიანთ უპირატესობაში შუმერები იმდენად იყვნენ დარწმუნებული, რომ ვერ ხედავდნენ მათთვის საფრთხის შემცველ მოსალოდნელ შედეგს და მათი ქალაქების დიდი ნაწილი ძირითადად ისევ ურთიერთბრძოლით იყო დაკავებული. თუ რომელიმე ქალაქის მმართველი სხვა ქალაქებსაც ხელში ჩაიგდებდა, იგი ხდებოდა ლუგალი („დიდკაცი“), თუმცა ვერც ერთი მათგანი ვერ გამოდგა ისე ძლევა-

მოსილი, რომ შეძლებოდა მთელი შუმერის გაერთიანება ეგვიპტის მსგავსად. შეიძლება ითქვას, რომ შუმერთა არაშორისმჭვრეტელობამ ძირი გამოუთხარა მათი ქვეყნის სიძლიერეს. მათ სულ უფრო მეტად ესაჭიროებოდათ სხვათა, კერძოდ, ელამელთა ჩართვა საკუთარი კონფლიქტების გადაწყვეტაში. ძვ. წ. III ათასწლეულიდან იწყება სემიტური ტომების მემკვიდრეების, აქადელთა ინფილტრაცია შუმერის ჩრდილოეთ რაიონებში. საბოლოოდ მათ მოახერხეს შუმერის ტერიტორიის გაერთიანება. აქადელებმა შეისისხლხორცეს შუმერული ცხოვრების წესი და კულტურა და შუამდინარეთის ცხოვრების მრავალი მხარე განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანეს, მათ შორის სამხედრო საქმეც. ძველი ახლო აღმოსავლეთის იმპერიები, როგორც წესი, არ ახდენდნენ ხოლმე დაპყრობილი ხალხების ასიმილირებას. ისინიც ამ იმპერიებს ემორჩილებოდნენ ვიდრე ამ უკანასკნელთ ძალა ერჩოდათ თავისი ძლევამოსილების შესანარჩუნებლად.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ახლო აღმოსავლეთის სამხედრო საქმეში ჩნდება ტექნოლოგიური სიახლე – ცხენებიანი, მსუბუქი საბრძოლო ეტლი. სიმსუბუქე და ცხენები ამ ეტლს მეტად სწრაფსა და მობილურს ხდიდა. ამ ორთვალა ეტლში თავდაპირველად ორი ცხენი იყო შებმული, ხოლო მოგვიანებით ოთხი. სიმსუბუქის გამო, ეტლი ადვილად ყირავდებოდა და ტყდებოდა. ეტლში ორი პიროვნება იყო: მეეტლე და საბრძოლო თვისებებით გამორჩეული მეომარი. მეეტლეს მარჯვენა მხარე ეკავა და მისი მოვალეობა იყო ეტლი მოწინააღმდეგის სუსტი ადგილისაკენ მიემართა. მეომარი ან მცირე ზომის სკამზე იყო ჩამომჯდარი, ანდა ფეხზე იდგა. ჩვეულებრივ, მას მუზარადი ეხურა, ატარებდა მკლავის დამცველს, ხოლო მკერდი დაჯავშნული ჰქონდა. ეტლში მოთავსებული იყო იარაღის მთელი „არსენალი“: შუბი, მახვილი, სატევარი, კვერთხი და რაც მთავარია, მშვილდ-ისარი. სწორედ მშვილდ-ისრის გამოყენება ხდიდა ამ მობილურ ეტლს ბრძოლის მეტად ეფექტურ საშუალებად. დიდი სიჩქარით გადაადგილებული და ამდენად, მტრის მშვილდოსნების მიერ მოუხელთებელი ეტლიდან ნასროლ ისრებს საგრძნობი არეულობა შეჰქონდა მოწინააღმდეგის რიგებში. მისი შემაჩერებელი მხოლოდ მტრის მიერ გამოყენებული ასეთივე ეტლი თუ იქნებოდა. ამ გარემოებამ საბრძოლო ეტლების ფართო გავრცელება გამოიწვია მთელ ძველ აღმოსავლეთში, თვით ჩინეთის ჩათვლით (იხ. ქვემოთ). მსუბუქი ცხენიანი ეტლის გამოყენების დაწყების შემდეგ, მისი და ქვეითი ჯარის მტერთან ერთობლივი ბრძოლის ხერხები ძველი აღმოსავლეთის ყველა ქვეყნის არმიაში გამოიყენებოდა.

ჯავშნის უქონლობა ეტლებს დაუცველს ხდიდა ბრძოლის დროს და მათი ხსნა მხოლოდ დიდ სიჩქარეში იყო. თუ ეტლში თავდაპირველად ორი კაცი იყო, თანდათანობით მათი რიცხვი ხუთამდე გაიზარდა. ეტლები თავისი ეფექტურობით ბრინჯაოს ხანის ტანკებს წარმოადგენდნენ. მათი მთავარი უპირატესობა მშვილდოსნებისათვის მიცემული ტაქტიკური მობილურობა იყო. იმის გამო, რომ ქვეითი ჯარი მჭიდროდ იყო შეჯგუფული ბრძოლის დროს და მწყობრი, გააზრებული მოქმედებითა და ერთმანეთის დაზღვევით ცდილობდა გადაულახავი ცოცხალი ჯებირის აგებას. საბრძოლო ეტლებს საშუალება ეძლეოდათ შორიდან

ისრებით დაეცხრილად მათი რიგები. ხოლო თუ ქვეითები გაიშლებოდნენ, მაშინ ეტლებს მათი იოლად გადათელვის შანსი ეძლეოდათ.

როგორც ვხედავთ, საბრძოლო ეტლების ქონა ჯარისათვის აუცილებელი იყო. თუ გავითვალისწინებთ მათი დამზადებისა და შეკეთების სირთულეს, რასაც დახელოვნებული ხელოსნის მომსახურება სჭირდებოდა და ცალკე ცხენის ღირებულებასაც, ცხადი ხდება, რომ ეტლის ქონა და შენახვა მხოლოდ განსაკუთრებულად შეძლებულ ხალხს შეეძლო. ბუნებრივია, საბრძოლო ეტლის მქონე მეომრები წარმოადგენდნენ წარჩინებულთა კასტას.

იმ საზოგადოებებში, სადაც საბრძოლო ეტლები საჯარო საკუთრებას წარმოადგენდნენ, მათი მომხმარებლები ხელს უწყობდნენ და განამტკიცებდნენ ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას. ასე იყო მაგალითად, ეგვიპტის ახალ სამეფოში. საბრძოლო ეტლების გამოყენებამ უმაღლეს დონეს მიაღწია კადეშის* ბრძოლის დროს (ძვ. წ. 1274 წ.), როდესაც ბრძოლის ველზე ორივე მებრძოლი მხრიდან 6000-მდე ეტლს უნდა მიეღო მონაწილეობა (იხ. ქვემოთ).

შუმერელთა სამხედრო უპირატესობა: ფალანგა, საბრძოლო ეტლი, ჯავშანი, ფარების ფართო გამოყენება, სამხედრო ნაწილების დისციპლინა, ვერ აანაზღაურებდა მათ არახელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობასა და დანაწევრებულობას. ისტორიკოსთა შორის ფართოდ გავრცელებული შეხედულებით, ის საზოგადოებები, რომლებიც არ არიან ჰომოგენური* ან სხვათაგან გეოგრაფიულად იზოლირებული და რომელთაც თაობიდან თაობამდე უხდებათ სხვადასხვა მხრიდან მომდინარე საფრთხეებთან გამკლავება, უნდა შეეცადონ არ დაუშვან არასტაბილურობა მმართველობის სისტემაში და უნდა გამოავლინონ ცვალებად გარემოებებთან სწრაფი ადაპტირების უნარი. მათ აუცილებლად უნდა დაძლიონ უთანხმოება საზოგადოებაში და ამ საზოგადოების ყველა ფენის ვალია შეინარჩუნოს ქვეყნისადმი ერთგულება; წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი საზოგადოება, მისი შემადგენელი ყველა ფენის ჩათვლით, მტრის წინაშე განიარაღებული დარჩება და შესაბამისად საყოველთაო და სრული კატასტროფის წინაშე დადგება. ეს გარემოება არა მხოლოდ შუმერთათვის იყო გასათვალისწინებელი და როგორც ყველანი ვხედავთ, ვისაც კი ადარდებს საკუთარი ქვეყნის ბედი, იმათვის დღესაც არა აქვს აქტუალურობა დაკარგული.

შუმერის ისტორიაში სამ ეტაპს გამოყოფენ ხოლმე. პირველი მათგანი ძვ. წ. V ათასწლეულის შუა ხანებიდან III ათასწლეულის შუა ხანებამდე გრძელდებოდა. ამ ხანის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო გაბატონებული სასულიერო ფენის, რომელსაც ქურუმი-მეფეები ედგა სათავეში, სამეფო ძალაუფლებით ჩანაცვლება. ვინაიდან ქვემო მესოპოტამიის ნაყოფიერი ნიადაგისათვის ქალაქ-სახელმწიფოებს შორის სულ უფრო მზარდი ომიანობა იჩენდა თავს, ცხადია, მათ მეფეებს ძირითადად სამხედრო-პოლიტიკური ფუნქციები უნდა განეხორციელებინათ. ამ პერიოდის მესოპოტამიის სიმდიდრის ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულება ე. წ. ურის სამეფო აკლდამებია. აქ თვით სამხედრო საჭურველიც კი ზოგჯერ ძვირფასი ლითონებიდან არის დამზადებული. ზემო, ანუ ჩრდილოეთ მესოპოტამიაშიც დასახლებები განუხრელად იზრდებოდა, თანდათანობით ისინიც დამცავი გალავნით

შემოზღუდულ ქალაქებად გადაიქცნენ, რაც რეგიონში არსებულ გარედან მომდინარე საფრთხეზე და თავდაცვისათვის და ომისათვის მზადების საჭირობაზე მეტყველებს.

მეორე ეტაპზე, დაახლოებით ძვ. წ. 2350-2150 წ.წ., მთელი მესოპოტამია, შუმერის ჩათვლით, აქადელებმა იგდეს ხელთ. გარდა ამისა, მათ თავისი მეფის სარგონ დიდის (ძვ. წ. 2334-2279 წ.წ.) წინამდლოლობით, საკუთარი სამფლობელოები შორს დასავლეთისაკენ, ხმელთაშუაზღვისპირეთამდე და ანატოლიამდე, ხოლო აღმოსავლეთით დასავლეთ ირანამდე განავრცეს. მისი იმპერია ხმელთაშუა ზღვას, სპარსეთის ყურესა და კასპიის ზღვას შორის გადაიჭიმა.

სარგონის მიერ დატოვებული წარწერები, მის მიერ 34 ომის მოგებას იუწყებიან და შენიშნავენ, რომ მის წინაშე 5400 კაცი პურს ჭამდა, რაც შეიძლება მინიშნებად ჩავთვალოთ მისი არმიის რიცხოვნებაზე. თავისი დროისათვის ეს ძალზე დიდი ჯარი იყო და მის ჯარისკაცებს არც გამოცდილება აკლდა.

ნიპურის* სასახლეში ნაპოვნი წარწერა იუწყება, რომ ქვემო მესოპოტამიის ანუ შუმერის დასაუფლებლად გამართული ლაშქრობისას სარგონმა აიღო ქალაქი ურუქი და მიწასთან გაასწორა იგი. ქალაქიდან გაქცეულებმა უმმას* მეფეს, ლუგალ-ზაგეს, შეაფარეს თავი, რომელმაც შუმერული ძალები აქადელთა წინააღმდეგ გააერთიანა. გადამწყვეტი ბრძოლა სარგონის გამარჯვებით დამთავრდა. მან მოწინააღმდეგე შემუსრა, ხოლო თვით ლუგალ-ზაგესი ძალლივით თოკვამობმული ჩაიყვანა ნიპურში.

სარგონი ძლიერი და გაერთიანებული იმპერიის შექმნით ცდილობდა დაეძლია მესოპოტამიის ქალაქი-სახელმწიფოების მუდმივი ურთიერთქმიში. მან კიდევ უფრო მკეთრად დააშორა ერთმანეთს რელიგიური და საერო ხელისუფლება. საკუთარი ბატონობის უზრუნველსაყოფად სარგონმა პირველად დააარსა სამხედრო ბეგარა, რომელიც, როგორც ჩანს, საირიგაციო და დაჭაობებული ადგილების დამრობისათვის დიდალი მოსახლეობის მობილიზაციის ჩვევის არსებობის გამო არ იყო ძნელი განსახორციელებული.

აქადურ ხანას თანხვდება მესოპოტამიაში ახალი სახეობის შედგენილი მშვილდის* გამოჩენა, რომელიც ხისა და რქის ნაწილებისაგან შედგებოდა. სარგონის ჯარში წარმატებით გამოიყენებოდა შუბებისა და სატყორციი იარაღების ურთიერთშეთავსება. ბრინჯაოს მახვილებითა და ოთხთვალა საბრძოლო ეტლებით შეიარაღებული აქადელები წარმატების შანსს არ უტოვებდნენ მოწინააღმდეგებს. მიუხედავად მათი სამხედრო გენისა, აქადელთა ჰეგემონია ქვემო მესოპოტამიაზე დიდხანს არ გაგრძელებულა, უკვე დაახლ. ძვ. წ. 2200 წ. ზაგროსის მთიანეთში მცხოვრები გუთიების მეომარი ტომის ხალხი შეიჭრა ბაბილონეთში და ბოლო მოუღო აქადელთა ბატონობას. მათ სარგონის შვილთაშვილი დაამარცხეს.

შუმერის ისტორიის მესამე ეტაპი ურის მიერ გუთიების დამარცხებით იწყება. ეს არის ამასთანავე ურის მესამე დინასტიის მიერ, დაახლ. ძვ. წ. 2112-2004 წ.წ. შუმერის აღორძინების ხანა. ურის მესამე დინასტიის ხელისუფლებმა

თითქმის მთელი მესოპოტამია იგდეს ხელთ. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ამ დროისათვის უკვე ადგილი ჰქონდა შუმერული და აქადური კულტურების სინთეზს, მაიც შუმერული ენის ადმინისტრაციული უფლებები აღდგენილი იქნა. შუმერთა მმართველობის პერიოდი, ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში, დასავლეთიდან სემიტური ტომების ახალი ნაკადის, ამორეელების შემოსევით დამთავრდა, რასაც თან აღმოსავლეთიდან ელამელების შემოჭრა დაერთო. საყურადღებოა, რომ ახალმა მოსახლეობამ შეინარჩუნა და კიდევ უფრო განავითარა შუმერულ-აქადური მემკვიდრეობა. ამორეელებმა ბაბილონი გაიხადეს დედაქალაქად, სადაც ჯერ კიდევ სარგონ აქადელს ჰქონია ტაძარი აგებული და ამის შემდეგ ისინი უკვე ბაბილონელების სახელით ჩანან ისტორიის ფურცლებზე, ხოლო ბაბილონი თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში კიდევ ინარჩუნებდა ახლოაღმოსავლეთის კულტურული და სავაჭრო ცენტრის ფუნქციას.

ბაბილონის მეფე ჰამურაბმა (ძვ. წ. XVIII ს.) მესოპოტამია თითქმის მთლიანად გააერთიანა და ამ ვრცელი რეგიონის მართვისათვის ჩამოაყალიბა დახვეწილი ადმინისტრაციული სისტემა. მისი უდიდესი მიღწევა, რა თქმა უნდა, კანონთა კოდექსის შექმნა იყო (იხ. ზემოთ). ჰამურაბის მემკვიდრეთა ხელში ბაბილონეთი სულ უფრო დაკნინდა, ხოლო ძვ. წ. XVI ს. დასაწყისიდან ხეთების დასავლეთიდან, ხურიტების* ჩრდილოეთიდან და კასიტების აღმოსავლეთიდან შემოსევების შედეგად ამ ახალი ძალების მიერ იქნა ფაქტობრივად დაყოფილი.

სარგონ აქადელმა მესოპოტამიაში სემიტური მოდგმის ხალხების თითქმის 2000 წლოვან ბატონობას დაუდო სათავე. აქადელებისა და ამორეელ-ბაბილონელების გარდა, მესოპოტამიის ჩრდილოეთ ნაწილში ჰქონდათ კერა ასურელებს, რომელთაც დაარსეს ძველასურული (ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი), შუასურული (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) და ახალასურული (ძვ. 911-612 წ.წ.) სამეფოები.

ეგვიპტე. ეგვიპტის ადრეული ხანის ისტორია მოწმობს ჯარის დიდ მნიშვნელობას წინადინასტიური ეგვიპტის ორი სამეფოს ერთ სამეფოდ გაერთიანებამდე. იმდროინდელ გამოსახულებებზე ვხედავთ ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეთა გალავნებს, ანდა ომის შედეგად მოპოვებულ ნადავლს. მდინარე ნილოსის გარშემო ეგვიპტელებმა, თავდაპირველად, ცალკეული მცირე სამეფოები შექმნეს, რომლებიც დროთა მსვლელობაში ერთ სამეფოდ გაერთიანდნენ. მდ. ნილოსი ეგვიპტელთათვის სიუხვისა და კეთილდღეობის პირველწყაროს წარმოადგენდა. მდინარის რეგულარული ადიდება ნიადაგს არნახულად ანაყოფიერებდა. ჩრდილოეთის ძლიერი და თითქმის მუდმივი ქარი აადვილებდა მდინარის აღმა ცურვას, რაც ძალზე აიოლებდა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილს შორის კომუნიკაციებს. მისი დინება და ჩანჩქერები, ამავე დროს, სამხრეთიდან მტრის შემოჭრას ართულებდა. ჩრდილოეთიდან ეგვიპტე ხმელთაშუა ზღვით, აღმოსავლეთიდან წითელი ზღვითა და სინას უდაბნოთი, ხოლო დასავლეთიდან უდაბნოების საშუალებით იყო სხვათაგან დაცული.

ეგვიპტე ორ დიდ მხარედ იყოფოდა, ზემო ეგვიპტედ და ქვემო ეგვიპტედ, ანუ მდ. ნილოსის ზემო და ქვემო წელის მიმდებარე მხარეებად. ფარაონი ნარმერი იყო პირველი ვინც გააერთიანა ქვეყნის ორივე მხარე. თუ შუმერებს მიაჩნდათ, რომ ენზი ღვთის ნების განმცხადებელი იყო (იხ. ზემოთ), ეგვიპტელთა ფარაონი თვით იყო დედამიწაზე მოვლენილი ღვთაება, ღვთის განსხვაულება. ნარმერის მემკვიდრეების დროს, ერთი მხრივ, მოხდა ზემო და ქვემო ეგვიპტის კიდევ უფრო მეტი კონსოლიდაცია, მეორე მხრივ, ადგილი ჰქონდა ეგვიპტელთა ლაშქრობებს სამხრეთისაკენ – ნუბიის, დასავლეთისაკენ – ლიბიის, ხოლო აღმოსავლეთისაკენ – სინას ნახევარკუნძულის მიმართულებით. საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარდა, ეს ლაშქრობები მიზნად ისახავდა სპილენძისა და ფირუზის საბადოების ხელში ჩაგდებას.

ეგვიპტის ერთ-ერთი თავისებურება იყო ის, რომ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იგი ძირითადად ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ რჩებოდა. ეს, ალბათ, მისი გეოგრაფიული თავისებურებითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული; იგი ხომ, როგორც ითქვა, ფაქტობრივად ყველა სხვა მხარისაგან ზღვებითა და უდაბნოებით განცალკევებულ ოაზისს წარმოადგენდა. სწორედ ამის გამო, მათ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს გალავანი იშვიათად ჰქონდათ გარშემორტყმული.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში ეგვიპტეში გვხვდება ალიზისაგან ნაგები გალავნიანი დასახლებები, ხოლო ალყის ამსახველი ერთ-ერთი ადრეული გამოსახულება, რომელზედაც ღვთაებრივი ცხოველები ქალაქის გალავანს ანგრევენ, თარიღდება ეგვიპტის ადრედინასტიური ხანით. პირველი საალყო აღჭურვილობა, რომლის გამოსახულებამაც ჩვენამდე მოაღწია, შემონახულია ძვ. წ. XXIV საუკუნის ერთ-ერთი ეგვიპტური აკლდამის ბარელიეფზე. აქ გამოსახულია ბორბლებიანი საალყო მისადგამი კიბე, რომლის დახმარებითაც ეგვიპტელი ჯარისკაცები ცდილობენ ქანანელთა* ქალაქის გალავნის გადალახვას.

ეგვიპტელების საფორტიფიკაციო ნაგებობები და ფორბოსტები* ძირითადად სასაზღვრო მხარეებში იყო მოწყობილი, რათა გარეშე მტერი ეგვიპტეში არ შემოეშვათ. დაცული იყო ნილოსის დელტის* დასავლეთი და აღმოსავლეთი მიჯნები, აღმოსავლეთის უდაბნო და სამხრეთიდან ნუბიის შემოსასვლელები. მცირერიცხოვან სასაზღვრო გარნიზონებს ადვილად შეეძლოთ უდაბნოს მომთაბარეთა მდ. ნილოსის დელტის ნაყოფიერი ველებისკენ შეჭრის მცდელობის აღკვეთა, ხოლო მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის გამოჩენისთანავე ხდებოდა ხელისუფლების ინფორმირება.

პირამიდების აღმართვის გარდა, მესამე-მეექვსე დინასტიების მომცველი ძველი სამეფოს ხანის (დაახლ. ძვ. წ. 2686-2134 წ.წ.) ფარაონები აგებდნენ ფორტებს ანუ ციხე-სიმაგრეებს. ყველაზე უფრო ხშირად ეს ხდებოდა მდ. ნილოსის გასწვრივ, რაც იმით აიხსნება, რომ ძირითადი საფრთხე ამ ხანაში სამხრეთიდან, ნუბიიდან მოდიოდა. პირველი ფორტი ძველი სამეფოს ხანაში, სამხრეთით აიგო, ბუპენში, მდ. ნილოსის მეორე ჩანჩქერთან და ძირითადად

ეგვიპტელთა მიერ ქვემო ნუბიის დამორჩილების სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა.

თავდაცვითი ფორტების დიდი ნაწილი აგებული იყო ეგვიპტელთა სამხედრო ექსპანსიის ეპოქაში, შუა სამეფოს ხანაში (დაახლ. ძვ. წ. 2040-1640 წ.წ.). ეგვიპტური ფორტები ერთმანეთისგან ერთი სავალი დღის გზით იყო დაშორებული, რაც ქვეყნის თავდაცვისათვის მწყობრ სისტემას ქმნიდა. ეგვიპტელებს დღევანდელი საბაჟოს მსგავსი სასაზღვრო კონტროლის სამსახური გააჩნდათ. მაგალითად: აღმოსავლეთის საზღვართან, სილეს ფორტთან აუცილებელი იყო რეგისტრაციის გავლა. ქვეყანაში შემოსვლამდე ხდებოდა სახელის, წარმომავლობისა და დანიშნულების ადგილების ფიქსირება. ყველაზე რთული საგარნიზონო სამუშაო უკიდურესი დასავლეთის ფორპოსტთან, თანამედროვე უმ-ელ-რახამთან (ქ. ალექსანდრიის დასავლეთით დაახლ. 322 კმ) უდაბნოში მდებარე ფორტი იყო. იგი წარმოადგენდა 5 მ სიგანისა და 1600000 ცალი დიდი ზომის ალიზის აგურით ნაგები გალავნით შემოკავებულ და 20000 მ² გადაჭიმულ უზარმაზარ ნაგებობას.

ეგვიპტელების ექსპანსია თავისებური ხასიათისა იყო. ისინი, ძირითადად, ცდილობდნენ ხოლმე მცოცავი ტაქტიკით თანდათანობით და სრულყოფილად დაემორჩილებინათ სუსტი სამხედრო ძალის მქონე ქალაქები და სამეფოები. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა ფიქრი ახალი მიწების ათვისებისათვის.

ჯერ კიდევ წინადინასტიური ხანის ეგვიპტეში, ომიანობის გავრცელების ამსახველია ფარაონ ნარმერის ცნობილი ფილა. ქვადაფის (ასპიდის) ფიქალისაგან დამზადებული ფილის ზომებიდან გამომდინარე (64 სმ) თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ იგი საცერემონიო ფილა იყო და არა ყოველდღიური გამოყენების კოსმეტიკური პალიტრა. ფილის წინა მხარეს ვხედავთ ფარაონ ნარმერს, რომელიც თანმხლებ პირებთან მიდის მტრის მრავალრიცხოვანი თავმოჭრილი გვამების გროვის სანახავად (ილ. 1ა, ზედა ნაწილი). უკანა მხარეს ნარმერს მუხლმოდრეკილი მტრის თმებში მარცხენა ხელით არის ჩაფრენილი და მარჯვენათი კვერთხის ჩასარტყმელად არის მზად (ილ. 1ბ, ზედა ნაწილი). წინა მხარეზე, ქვემოთ, გამოსახულია უზარმაზარი ხარის (ალბათ, თვით ფარაონის სიმბოლური გამოსახულების) მიერ, რომელილაც ქალაქის გალავნის დანგრევა (ილ. 1ა). ეგვიპტოლოგები ფიქრობენ, რომ ფილაზე გამოსახულია ნარმერის მიერ ქვემო ეგვიპტის დაპყრობა და ორივე ეგვიპტის გაერთიანება, ამაზე მათი აზრით, უნდა მეტყველებდეს წინა მხარის ცენტრალურ ნაწილში გამოსახული ორი მითიური, გრძელკისერა ცხოველების გამოსახულება ერთმანეთან გადაბმული კისრებით. შესაძლოა, ამასვე მეტყველებდეს იქვე, ზემო მარჯვენა კუთხეში, ხომალდის გამოსახულება, რომელის დახმარებით, ალბათ, მოხდებოდა ნარმერის ლაშქრის, ნილოსის საშუალებით, ზემო ქვეყნიდან ქვემო ეგვიპტეში ჩამოყვანა (ილ. 1ა). აღსანიშნავია, რომ ძველი სამეფოს გვიან ხანებშიც, სამხედრო ოპერაციებისათვის ეგვიპტური რაზმების გადაზიდვა მდ. ნილოსზე ნავებით ხდებოდა.

ძველი სამეფოს ეპოქა, ეგვიპტის ისტორიაში, ერთ-ერთ ყველაზე უფრო აყვავებულ ხანად არის მიჩნეული. ძველი სამეფოს ხანა მოიცავს ეგვიპტის III-VIII დინასტიების ხანას. ამ ხანას, ზოგიერთი მკვლევარი მხოლოდ III-VI დინასტიებით განსაზღვრავს. ეს სხვაობა დამოკიდებული იყო მომდევნო, ე.წ. პირველი საშუალებო პერიოდის დასწყისის განსაზღვრასთან. უფრო ადრეული პერიოდები წინადინასტიურ და ადრედინასტიურ ხანებს განეკუთვნებიან. ადრედინასტიური ხანა, იგივე არქაული პერიოდი, მოიცავს პირველ და მეორე დინასტიებს და თარიღდება დაახლოებით ძვ. წ. 3150-2686 წ.წ.

ქვეყნის ხვავი და ბარაქა კარგად ორგანიზებული თავდაცვის სისტემის შემუშავების შესაძლებლობას იძლეოდა. ახალ სამეფოს ხანამდე ეგვიპტეში სამხედრო კონფლიქტის ოთხი ძირითადი მიზეზი მოიპოვებოდა: 1. ლიბიური საფრთხე დასავლეთიდან, 2. ნუბიელები სამხრეთში, 3. სინას ნახევარკუნძული და ქანაანელები ჩრდილო-აღმოსავლეთით, 4. საშინაო კონფლიქტები.

ადრეული ხანის ეგვიპტეში არ ჰყავდათ რეგულარული არმია და ფლოტი, არც პროფესიონალი, უმაღლესი კლასიფიკაციის მეომრები. მებრძოლები, საჭიროების შემთხვევაში, ხალხში შეირჩეოდნენ ხოლმე. ძველი და შუა სამეფოს ეპოქებში ჯარი ძირითადად შედგებოდა სამხედრო ბეგარის შედეგად გაწვეული გლეხებისა და ხელოსნებისგან. თითოეული ნომის (ეგვიპტური ადმინისტრაციული ერთეული) მმართველი სამხედრო სამსახურის მსურველთაგან აგროვებდა საკუთარ ჯარს. იმ ხანად ეგვიპტეში სამხედრო სამსახური, განსხვავებით ახალი სამეფოს ხანისაგან, არ იყო პრესტიულად მიჩნეული და შესაბამისად ჯარში, ძირითადად, დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლები მიდიოდნენ, რომელთაც არ ჰქონდათ სხვა საქმის შეთვისების საშუალება. ომის შემთხვევაში სხვადასხვა ნომებში შეგროვებული რაზმები ერთიანდებოდა ერთიან ლაშქრად, რომელსაც სათავეში ფარაონი ედგა.

ჯარისკაცებს საკმაოდ მარტივი აღჭურვილობა ჰქონდათ, რომელიც შედგებოდა სპილენძისპირიანი წვეტიანი შუბების, სატევრებისა და ხის ფართო ტყავგადაკრული ფარებისაგან. ადრედინასტიურ ხანაში გამოიყენებოდა ხელკეტები, ქვისგან დამზადებული ბუნიკიანი კვერთხები, თუმცა მომდევნო ხანებში ეს იარაღი მხოლოდ საცერემონიო ფუნქციას ინარჩუნებს, ხოლო მის ადგილს შეიარაღებაში ბრინჯაოს საბრძოლო ცული იკავებს.

შეტევის დროს შუბოსნებს აზღვევდნენ ხოლმე მშვილდოსნები, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ მარტივი, მრუდი მშვილდითა და კაუის ან სპილენძისპირიანი ისრებით. საზოგადოდ, ყველაზე უფრო გავრცელებული იარაღი მაინც მშვილ-დისარი იყო. ეგვიპტურ გამოსახულებებზე, წვერებიან უცხოელებთან, როგორც ჩანს, წინააზიელებთან ბრძოლისას ეგვიპტელი მეომრები შეიარაღებული ჩანან მშვილდ-ისრებითა და სატევრებით. მშვილდი, იმ დროს, ჩვეულებრივი, ცალრკალიანი იყო და შესაბამისად ისრის სროლისას მისი სრულფასოვანი დაჭიმვა რთული ხდებოდა, წვეტიანი ისრები კაუის ან სპილენძის ჰქონდათ. მშვილდისრის ეფექტურობა განსაკუთრებით ჰიქსოსური შედგენილი მშვილდის გავრცელების შემდეგ გაიზარდა (იხ. ქვემოთ). აბჯარი,

ძვ. წ. III და ადრეულ II ათასწლეულებში ეგვიპტეში, ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა.

ძველი ახლო აღმოსავლეთის ყველაზე წარმატებული ქვეყანა, მრავალსაუკუნოვანი სტაბილურობის თვალთახედვით, ეგვიპტის ძველი სამეფო იყო. იმდროინდელი ქვეყნის სიმტკიცესა და უსაფრთხოებას რამდენიმე ძირითადი მიზეზი ჰქონდა, ღვთაება-ფარაონის ხელქვეითთა არნახული ერთიანობა, ფაქტობრივად ქვეყნის მუდმივი მატერიალური კეთილდღეობა, გარეშე მტრებისგან საზღვრების დაცულობა, რაც უზრუნველყოფილი იყო ძალაუფლებითა და ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებებით.

ეგვიპტური საზოგადოება საკმაოდ კარჩაკეტილი იყო, სხვა ხალხებს ისინი არ თვლიდნენ სრულფასოვან ადამიანებად. მათვის გარე სამყარო ქაოტური იყო და უზნეო ადამიანებით დასახლებული. ადრეული ხანის ფარაონები თავის წარწერებში გვაუწყებენ ხოლმე იმის თაობაზე, თუ როგორ დახოცეს მათ 40000 ჩრდილოელი. ფარაონთა განმადიდებელ ძეგლებზე, თვით ფარაონი, როგორც წესი, ყოველთვის ბრძოლის შუაგულშია გამოსახული, მისი საყვარელი იარაღით – კვერთხით ხელში, ხოლო მტრები მის წინაშე მიწაზე არიან გართხმული. ფარაონები გამოსახული არიან მათ წინაშე დაჩოქილი აზიელების განგმირვის პროცესში ანდა მიწაზე გართხმული ნუბიელის თავზე ტერფდადგმულის პოზაში.

ვინაიდან ადრეული ეპოქის ეგვიპტეში, ჯერ კიდევ არ არსებობდა ნამდვილი პროფესიონალური ჯარი, ეგვიპტური ჯარის რიგებში არცოუ იშვიათად შეჰყავდათ ხოლმე უცხოელები, მაგ.: ნუბიელი მოქირავეები ძველი სამეფოს გვიანი ხანიდან წარმოადგენდნენ მშვილდოსნების საუკეთესო ნაწილებს. ეგვიპტელები ხშირად იყნებდნენ დაქირავებულ ნუბიელებს; კერძოდ, პალესტინაში ბრძოლების დროს, მათ ზოგჯერ ჯარისკაცებით სავსე ხომალდებით აგზავნიდნენ პალესტინის დასაუფლებლად.

ძველი სამეფოს უკანასკნელი ძლევამოსილი ფარაონის, პეპი II-ის დროს, რომელმაც ეგვიპტის ისტორიაში ყველაზე უფრო ხანგრძლივად იმეუა (ძვ. წ. 2278-2184 წ.წ.), მმართველობის ძირითადი სიმბიმე მისი ვეზირების კისრებზე გადადიოდა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ეყრდნობოდნენ ნომების (ადმინისტრაციული ერთეული) მმართველებს ანუ ნომარხებს. თითქმის საუკუნეს მიღწეული პეპი II-ის გარდაცვალების შემდეგ, ადრე არსებული მმართველობის სისტემა მოიშალა, ნომარხებმა, რომლებმაც დიდი გავლენა შეიძინეს თავისი მმართველობის მხარეებში და დიდძალი სიმდიდრეც დააგროვეს, დაიწყეს საკუთარი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და მომიჯნავე ნომების დასაქვემდებარებლად მოქმედება. ხანგრძლივი მმართველობის შემდეგ, ეგვიპტე სამოქალაქო ომმა მოიცვა და ქვეყანაში ე. წ. პირველი შუალედური პერიოდი ჩამოყალიბდა. ეს ხანა საკმაოდ მძიმე გამოდგა ქვეყნისათვის, მოხდა დრამატული გარდატეხა სამხედრო იდეოლოგიაში. მისი მთავარი დებულება საკუთარი მიწა-წყლის შენარჩუნებაში გამოიხატა. პალესტინაში ეგვიპტის გავლენა გაქარწყალდა და აქ გაბატონებულმა „აზიელებმა“ ნილოსის დელტის აღმოსავლეთ ნაწილშიც შეაღწიეს.

ნომარხთა ორმოცდაათწლიანი ბრძოლა საბოლოოდ თებეს მმართველის გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც დაახლ. ბვ. წ. 2040 წ. დააარსა ეგვიპტის შუა სამეფო. ამ ეპოქის ფარაონებს უკვე რეგულარული რიცხვმრავალი ჯარი ჰყავდათ; ამავე დროს, საჭიროების შემთხვევაში, მათი ბრძანების თანახმად, ნომარხებს დამატებითი ძალები უნდა მიეწოდებინათ. ყოველი ასი კაციდან ერთი ჯარში უნდა ყოფილიყო გაწვეული.

ისევე როგორც ძველი აღმოსავლეთის ძევრ სხვა მხარეში, ამ ეპოქის ეგვიპტეშიც, ისევ ფართოდ გამოიყენებოდა არქაული იარაღები: კვერთხი, საბრძოლო ცული, მშვილდისარი. ბრინჯაოს ხანაში მათ, ბუნებრივია, დაემატა ბრინჯაოსგან დამზადებული იარაღი და აბჯარი. ბრინჯაოს საჭურველსა და აბჯარს ამ ეპოქის ეგვიპტეში ჯარის ეფექტურობისათვის უკვე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მსუბუქი ქვეითი ჯარი ატარებდა სარტყელებს და შეიარაღებული იყო მარტივი მშვილდითა და ბრინჯაოს ისრისპირებით. მძიმე ქვეითი ჯარი ხისა და ტყავისგან ტლანქად ნაკეთები ფარებით, ბრინჯაოს მახვილებით და სპილენძის შუბისპირებით. თანდათანობით გავრცელდა უფრო ეფექტური, მთლიანად ლითონისაგან დამზადებული ფარები.

ძველად იარაღი ოთხი სახეობის არსებობდა: 1. ხელდახელ ბრძოლისათვის: სატევრები, მახვილები, დანები, ხელკეტები, კვერთხები, ცულები და სხვა; 2. ხის ტარზე დამაგრებული ლითონის საბრძოლო ნაწილიანი, ბრძოლის დროს მოწინააღმდეგისაგან უსაფრთხო დისტანციაზე დასარჩენად: შუბები, ხელშუბები და სხვა; 3. სასროლი იარაღები: მშვილდისარი, შურდული; 4. სააღყო მოწყობილებები: ტარანები, სააღყო გოდოლები და სხვა.

შუა სამეფოს ეპოქაში, განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობოდა ეგვიპტის მუდმივად მზარდი საზღვრების უსაფრთხოების დაცვას. გარდა გარეშე მტრისაგან ქვეყნის დაცვის საჭიროებისა, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა ეგვიპტის სიძიდიდრისა და სიძლიერის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორის – სავაჭრო გზების კონტროლი. თუმცა ამ პერიოდის დამლევს ეგვიპტემ მაინც ვერ შესძლო თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. მისი დაცემის მიზეზი, პირველ რიგში, ქვეყნის საარაკო სიძიდიდრის მიმზიდველობა გახლდათ.

ეგვიპტის ლაშქარი ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ზემო და ქვემო ეგვიპტის არმიებად, რომლებიც თავთავიანთ მხედართმთავარებს ექვემდებარებოდნენ. ფარაონი არმიის უზეანაესი მთავარსარდალი იყო. მისი თანაშემწეები იყვნენ არმიის მთავარსარდლები. სპეციალისტთა აზრით, სამხედრო იერარქია ეგვიპტეში ძირითადად შუა სამეფოს ხანიდან იჩენს თავს.

შუა სამეფოს ფარაონების აგრესიული სტრატეგია პალესტინასა და სირიაში მიზნად ისახავდა შეეჩერებინა ეგვიპტეზე აღმოსავლეთიდან შემოსეული ტომების მოსალოდნელი შემოტევა. შედეგი საპირისპირო გამოდგა, „აზიელებმა“ კონტრიერიშით დელტა უკვე მთლიანად ჩაიგდეს ხელში და გაერთიანებული ეგვიპტის სამეფო ისევ დაიშალა.

ახალმოსულები, გასხვავებული წარმომავლობის ხალხისგან შედგებოდნენ. მათ შორის იყვნენ სემიტები*, ინდო-ევროპელები*, ხურიტები და სხვა. ყველა

ეს განსხვავებული წარმომავლობის ხალხი ეგვიპტელების მიერ მოიხენიებოდა ჰიქსოსებად, რაც ეგვიპტურად „უცხო ბატონებს“ ნიშნავდა. ჰიქსოსები ეგვიპტეში საუკუნეზე მეტ ხანს ბატონობდნენ (108 წლის განმავლობაში). ეგვიპტის ისტორიის ეს პერიოდი ცნობილია, როგორც მეორე შუალედური პერიოდი. მათ დაარსეს მეთხუთმეტე და შესაძლოა მეთექვსმეტე დინასტიები.

ჰიქსოსების ბატონობა ეფუძნებოდა სამხედრო ტექნიკისა და სტრატეგიის უპირატესობებს. მათ ეგვიპტეში შემოიყვანეს ცხენები და შემოიტანეს მსუბუქი ეტლები, ბრინჯაოს მჭრელი იარაღები, ჯავშანი და შედგენილი მშვილდები, რომლებიც გაცილებით უფრო ზუსტად და დიდ მანძილზე სტყორცნიდნენ ისარს. ბრძოლის ეს საშუალებები, მათდა უნებურად, მათ მიერ შეტანილი წვლილი გამოდგა მომდევნო ხანების ეგვიპტის შეიარაღებაში. ეგვიპტეში ჰიქსოსების გამოჩენას შეიარაღების ტექნოლოგიასა და სამხედრო საქმეში მნიშვნელოვანი დაწინაურება უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ უაღრესად მობილური ე. წ. ჰიქსოსური ცხენიანი მსუბუქი ეტლები, პირველად ხურიტებმა შემოიღეს სირიაში მათი ცხოვრების დროს. მეცნიერთა დიდი ნაწილი ხურიტებს კავკასიური წარმომავლობის ხალხად მიიჩნევს.

მსუბუქი ეტლი ფაქტობრივად წარმოადგენდა მოძრავ ბაქანს, საიდანაც ხდებოდა მტრის წინააღმდეგ სატყორცნი იარაღების გამოყენება. ბრძოლის დროს მისი მოქმედება კოორდინირებული იყო ქვეითი ჯარის მანევრებთან და ძირითადად, ამ უკანასკნელის ხელშეწყობით სარგებლობდა. ჰიქსოსური ეტლის ეკიპაჟი ორი კაცისაგან შედგებოდა, მეეტლისაგან, რომელსაც ეტლის მართვის გარდა ფარიც უნდა მოემარჯვებინა და მშვილდ-ისრითა და სატყორცნი შუბებით აღჭურვილი მებრძოლისაგან. შედგენილი მშვილდის დახვეწის შედეგად, გაჩნდა მისი გადაზნექილბოლობებიანი სახეობა, კიდევ უფრო გაუმჯობესდა ისრის პირებიც, გაჩნდა ფარის, სატევრისა და მახვილის ახალი სახეობები, ჯაჭვის პერანგი, ლითონის მუზარადი და სხვა.

საბრძოლო ეტლებსა და ცხენებზე კონტროლს, მათი ბატონობის განმავლობაში, მხოლოდ ჰიქსოსები ინარჩუნებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ შეითვისეს ეგვიპტური ენა, წეს-ჩვეულებები, ცხოვრების ყველა გარეგნული ნიშანი, ისინი მაინც ატარებდნენ თავიანთ არაეგვიპტურ პირად სახელებს და ეწეოდნენ თავის ძველ, ტრადიციულ ღვთისმსახურებას. ამავე დროს, ჰიქსოსებმა შეითვისეს ტრადიციული ეგვიპტური სამეფო წოდებები და ღვთაება სეტის* კულტი. ეს ღვთაება, თავდაპირველად, ქვემო ეგვიპტის მთავარი ღვთაება იყო, ხოლო მოგვიანებით ეგვიპტელთა მიერ რატომდაც უცხოელთა ღვთაებად მიიჩნეოდა. როგორც ჩანს, ჰიქსოსებმა სეტი ეგვიპტურ ღვთაებათა შორის ყველაზე მეტად მიამსგავსეს თავის საკუთარ მთავარ ღვთაებას.

ჰიქსოსთა ძალაუფლების ქვეშ მოქცეული მხარე შემოზღუდული იყო ნილოსის აღმოსავლეთ დელტისა და შუა ეგვიპტის ტერიტორიებით. ზემო ეგვიპტის მმართველობა თებეში* მოკალათებული ეგვიპტელების ხელში იყო, რომლებიც ჰიქსოსებს ხარკს უხდიდნენ ხოლმე. ჰიქსოსებმა დედაქალაქი მემ-

ფისში* მოიწყეს, ხოლო საზაფხულო და ამასთანავე ძირითადი რეზიდენცია ავარისში* ჰქონდათ.

ჰიქსოსებთან ბრძოლის საჭიროებამ, ეგვიპტელები აიძულა გადმოეღოთ ბევრი რამ თავიანთი აზიელი დამპყრობლებისაგან. ეგვიპტური ჯარი მათთან ხანგრძლივ ბრძოლებში ეზიარა მტრის აღმატებულ სტრატეგიასა და უკეთეს შეიარაღებას და თანდათანობით გადაერთო მათ გამოყენებაზე. ახალი ნიმუშის ჯარი დაფუძნებული იყო მკაცრი დისციპლინით კონტროლირებად სტრუქტურულ იერარქიაზე. შეთვისებული და გაუმჯობესებული იქნა ბრინჯაოს ჩამოსხმის ტექნოლოგია. პირველად ამ დროს გამოიყენებოდა ეგვიპტეში აბჯარი და ნამგლისფორმიანი მახვილი, ხოფეში (იხ. ქვემოთ).

ამ ახალმა საბრძოლო ტექნოლოგიებმა ძირულად შეცვალა ეგვიპტელთა საომარი ეფექტურობის დონე. უკვე ძვ. წ. XVII საუკუნის დამლევიდან ეგვიპტელები ითვისებენ ცხენშებმულ საბრძოლო ეტლებს და იმდენად დახელოვდნენ ამ საქმეში, რომ შეძლეს ჰიქსოსების ბრძოლაში გამოწვევა. პირველი, ვინც ეს გაბედა, თებეს მეფე სეუენენრე (ძვ. წ. 1558-1554 წ.წ.) იყო. მართალია, იგი ამ ბრძოლას შეეწირა, თუმცა ცხადი გახდა, რომ ბრძოლა ჰიქსოსებთან შესაძლებელი იყო. მისი მემკვიდრის, თებეს მეჩვიდმეტე დინასტიის უკანასკნელი ფარაონის, კამოსეს (ძვ. წ. 1554-1549 წ.წ.) ხელმძღვანელობით, ეგვიპტელთა ფლოტმა საკმაოდ დახვეწილი მოქმედებისა და რთული სანაოსნო მანევრების საშუალებით გაიმარჯვა ჰიქსოსების წინააღმდეგ ბრძოლაში ნავსადგურ ავარისთან (დაახლ. ძვ. წ. XVI საუკუნის შუა ხანები). მომდევნო ფარაონმა, კამოსეს ძმამ, იაპმეს I-მა (ძვ. წ. 1550-1525 წ.წ.), რომელმაც დააარსა ეგვიპტის ახალი, მეთვრამეტე სამეფო დინასტია, თავისი ზეობის მეთექვსმეტე წელს აიღო ჰიქსოსთა დედაქალაქი და ჰიქსოსები ძვ. წ. XVI საუკუნის შუა ხანებიდან საბოლოოდ გააძევა ეგვიპტიდან. ამის შემდგომ, ეგვიპტეში დგება ახალი სამეფოს ხანა. ჰიქსოსების სახელი დიდხანს შემორჩა ეგვიპტის ისტორიას. ელინისტურ ხანამდე, ეგვიპტურ ლიტერატურაში, მათი სახელწოდება ტერმინ „აზიელის“ სინონიმად გამოიყენებოდა. მათი ხვედრი ბევრი რამთ წააგავს შუა საუკუნეებში ეგვიპტეში გაბატონებულ და ძირითადად კავკასიური წარმომავლობის მქონე მამლუქების ბედ-იღბალს.

როგორც ითქვა, ორცხენშებმული ეტლები ეგვიპტეში მეორე შუალედური პერიოდის დამლევსა და ახალი სამეფოს ხანის (დაახლ. ძვ. წ. 1550-1069 წ.წ.) დასაწყისშია გავრცელებული, ხოლო ყველაზე ადრეული გამოსახულება ეგვიპტური ცხენებიანი ეტლისა მოცემულია თუტმოს I-ის (ძვ. წ. 1504-1492 წ.წ.) ხოჭო-სამკაულზე (სკარაბი). მისი შვილიშვილი, თუტმოს III (ძვ. წ. 1479-1425 წ.წ.), რომელმაც არნახულად გააფართოვა ეგვიპტის ფარგლები სირია-პალესტინის ხარჯზე, იუწყება, რომ მეგიდოსთან* მიღწეული გამარჯვების შედეგად (ძვ. წ. 1457 წ. 16 აპრილს, საშუალო ქრონოლოგიით), მან ხელთ იგდო 924 ცალი სირიული ეტლი.

სირიული ეტლი საკმაოდ მძიმე და უხეში სამართავი იყო. ეგვიპტელებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს იგი და საკუთარ მოთხოვნილებებს მიუსადაგეს. ეგვიპტელებმა საბრძოლო ეტლის საკუთარი ვერსია მეთვრამეტე დინასტიის (ძვ.

წ. 1550-1295 წ.წ.) საწყის ხანაში შეიმუშავეს. კერძოდ, ეტლის კედრის ხის კარკასი იფნის ან არყის ხის მასალით ჩაანაცვლეს. მძიმე სირიული თვლები შეცვალეს თვლებით, რომელთაც მხოლოდ ექვსი თვლის მანა ჰქონდა ცენტრალურ მორგვთან მისაბმელად. თუ თავდაპირველად ეტლის ძარა ტოტებისაგან მოწნული იყო, რის გამოც სიჩქარის დროს ძლიერად ინჯლრეოდა, უფრო გვიან მას უკვე გამძლე ტყავისგან ამზადებდნენ. ბაქანი უკანა მხარეს გადახსნილი იყო, რათა ეტლში შეღწევა და მისი მიტოვება მეტლისა და მშვილდოსნისათვის გაადვილებული ყოფილიყო. ეტლის კონსტრუქციაში ამ ცვლილებების შეტანის შედეგად, იგი ბევრად უფრო მსუბუქი და შესაბამისად სწრაფი გახდა. მსუბუქი ეტლი, ჰიქსოსების გამოგონილ შედგენილ მშვილდთან ერთად, ეგვიპტის ჯარს სწრაფი და შორი მანძილიდან შეტევის შესაძლებლობას აძლევდა. ეგვიპტურ ეტლს უპირატესობა ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის ყველა სხვა თანადროული ხანის ეტლთან შედარებით.

ეტლის ეკიპაჟი ორი კაცისაგან შედგებოდა, მეტლეს ხელში შოლტი და აღვირი ეკავა, ხოლო მებრძოლს შედგენილი მშვილდი, ისრების გამოლევის შემდეგ ხელშებს იყენებდნენ. ეტლში მსხდომთ იშვიათად ეცვათ ქერცლოვანი აბჯარი, უპირატესობა ძირითადად ტყავის სალტებს ენიჭებოდათ, რომლებიც ან მკერდზე იყო გადაჯვარედინებული, ანდა ფარს ჰქონდა გადაკრული. ამრიგად, ზედა ტანი მეტნაკლებად დაცული იყო, ხოლო ქვედა ტანს ეტლის კორპუსი ეფარებოდა. ეტლით მებრძოლთა მოზიდვა ძირითადად ეგვიპტის მაღალი წრეებიდან ხდებოდა.

ამავე დროს, ძირითადი გაუმჯობესება ხდება საერთოდ ეგვიპტურ შეიარაღებაში. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. 1274 წელს კადეშთან მომხდარი გენერალურ ბრძოლამდე ერთი წლით ადრე, რამსეს II (ძვ. წ. 1279-1213 წ.წ.) ნაბრძანები ჰქონდა საბრძოლო იარაღის დიდი რაოდენობით დამზადება. აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი ინოვაციები (სიახლე) საბრძოლო აღჭურვილობაში, ხეთებისა და ეგვიპტელების ურთიერთბრძოლის ხანით თარიღდება. გარდა ზემოხსენებული ორკაციანი ეგვიპტური მსუბუქი ეტლისა, რომელიც ბევრად უფრო მობილური და შესაბამისად ეფექტური იყო, მძიმე, სამკაციან ხეთურ ეტლთან შედარებით, ეგვიპტელები იყენებდნენ ე. წ. გამჭვალავ საბრძოლო ცულს – ქვეითი ჯარის მიერ გამოყენებული ქვისთავიანი კვერთხის მონაცვლეს, რომელსაც შეეძლო ხეთების ლითონის მუზარადის გაპობა.

ეგვიპტურ ჯარში გამოიყენებოდა აგრეთვე ხოფეში, ნამგლის მოყვანილობის მახვილი, რომელიც ფაქტობრივად საბრძოლო ცულს წარმოადგენდა და ნამგლისაგან განსხვავებით გარეპირი ჰქონდა გალესილი. ეგვიპტელებმა ახალი სამეფოს ხანაში იგი თავის ერთ-ერთ პოპულარულ იარაღად აქციეს. გარდა საბრძოლო დანიშნულებისა, იგი საცერემონიო რიტუალების დროსაც გამოიყენებოდა. ამაზე მიუთითებს ამ იარაღის ზოგიერთი ნაპოვნი ცალის ბლაგვი პირი, ასევე სამეფო აკლდამებში მათი აღმოჩენის ფაქტი. კერძოდ, ტუტანხამონის აკლდამაში ორი ხოფეში იყო ნაპოვნი. ეგვიპტური ტაძრების კედლებზე ეს იარაღი გამოსახულია ხოლმე ღვთაებათა ხელში, რომლებიც მას გადასცემენ

ფარაონებს ბრძოლაში გამარჯვების მიღწევის საწინდრად. საინტერესოა, რომ ეს იარაღი შუმერული წარმომავლობისა იყო და თავის დროზე გამოიყენებოდა წინააზიელების მიერ თვით ეგვიპტელებთან საბრძოლველად.

წინააზიური წარმომავლობის იყო ფოჩიანი მუზარადი და ჯავშნის მოკლესახელოებიანი პერანგი, რომელიც შედგებოდა ტყავის ქურთუკისა და მასზე ჩამოკიდული ლითონის ფირფიტებისაგან. მეცხრამეტე დინასტიის ჯარისკაცები ატარებდნენ ტყავის ან ტილოს ტუნიკებს, რომლებიც დაფარული იყო ქერცლოვანი ლითონის აბჯრით. საზოგადოდ, ამ ხანისათვის ლითონდამუშავება მაღალ დონეზე იყო ასული. ფარაონების ქერცლოვან აბჯარში ხშირად ინკრუსტირებული იყო ნახევრად ძვირფასი ქვები, რომლებიც კიდევ უფრო ზრდიდნენ აბჯრის ეფექტურობას, ვინაიდან ეს ქვები უფრო მყარი იყო, ვიდრე ისრის წვეტისათვის გამოიყენებული ლითონი.

ეგვიპტელებმა ჰიქსოსური შედგენილი მშვილდის გარდა, შეითვისეს ხეთური ორმაგი მშვილდიც. ამავე დროს, რკინისაგან დამზადებულმა იარაღებმა, რომელთაც ხეთები უკვე იყენებდნენ, ვერ ჰპოვა გავრცელება ეგვიპტეში. ტუტანხამონის აკლდამაში მიკვლეული რკინის სატევარი, როგორც ჩანს, მხოლოდ საცერემონიო დანიშნულებისა იყო.

ჰიქსოსების განდევნის შემდეგ, ეგვიპტელებმა უსაფრთხოების ზონა ჩამოაყალიბეს, რომელიც დროთა მსვლელობაში ეგვიპტის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა და ეგვიპტეც წინა აზიის უმთავრეს სახელმწიფოებთან უშუალო და არცთუ ყოველთვის მშვიდობიან კონტაქტში შევიდა. თუტმოს I-მა მესოპოტამიაში ილაშქრა, რათა საბოლოოდ ამოებირკვა მდ. ევფრატთან მცხოვრები ჰიქსოსების სახსენებული. საინტერესოა, რომ თავის წარწერაში ფარაონი ევფრატს არასწორ მდინარეს უწოდებს, ანუ მდინარეს, რომელიც არა მართებული მიმართულებით მიედინება. ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში თუტმოს I-ს მხედველობაში უნდა ჰქონდა ნილოსის დინება სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მაშინ, როდესაც ევფრატი საწინააღმდეგო მიმართულებით მიედინება. ეგვიპტელებისათვის ხომ ყველაფერი, რაც ეგვიპტურ სინამდვილეს შორდებოდა მიუღებელი და დასაგმობი იყო.

ახალი სამეფოს ხანაში (ძვ. წ. დაახლ. 1550-1069 წ.წ.) ახალი საფრთხეები გამოჩნდა — ხეთები, ზღვის ხალხები* და სხვა. ჰიქსოსების მიერ ეგვიპტელთა სამხედრო საქმეში შეტანილი წვლილი, როგორც უკვე ითქვა, სასარგებლო გამოდგა უცხოელთა თავდასხმისაგან ქვეყნის წარმატებული დაცვისათვის.

ახალი სამეფოს ხანაში ეგვიპტის სამხედრო ძალები უკვე სამი განშტოებისაგან შედგებოდა: ქვეითი ჯარის, ცხენიანი ეტლების ნაწილებისა და ფლოტისაგან. ახალი სამეფოს ხანის არმიაში დიდი რაოდენობით იყო მოქირავე ჯარისკაცები. ქვეითი ჯარი ახალი სამეფოს ხანაში თითქმის მთლიანად ქირით იყო შეკრებილი, როგორც უცხოელი მოქირავები, ასევე ადგილობრივებიც. როგორც წესი, მათ იმავე ეროვნების სარდალი ედგათ ხოლმე სათავეში. უცხოელთაგან ნუბიელების გარდა, ჯერ კიდევ შუა სამეფოს ხანიდან, ქირაობდნენ „მარიანუს“* ნაწილებს, რომლებიც მთელ წინა აზიაზე მოდებულ,

ეტლზე ამხედრებულ წარჩინებულ მეომრებს წარმოადგენდნენ. განსაკუთრებით მრავლად იყვნენ XIX-XX დინასტიების, ახალი სამეფოს რამესილულ პერიოდში* (დაახლ. ძვ. წ. 1295-1069 წ.წ.) შერდენიდან, ლიბიიდან, სირიიდან დაქირავებული ნაწილები. აღსანიშნავია, რომ რამსეს II-ს დამარცხებული ჰყავდა შერდენის ხალხი, რომელიც ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სარდინიდან იყვნენ წამოსულნი და საზარელი მეკობრების სახელი პქონდათ მოხვეჭილი. შერდენელებს, სხვათაგან განსხვავებული, სწორი მახვილი და რქებით შემკული მუზარადები პქონდათ. რამსეს II-მ ისინი თავისი არმიისათვის დაიქირავა და შერდენელებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კადეშის ბრძოლაში, როდესაც, სხვებთან ერთად, შემოაბრუნეს რამსესისათვის ტრაგიკულად მიმდინარე ბრძოლის მსვლელობა და ეგვიპტელები გამანადგურებელ მარცხს გადაარჩინეს.

წინა აზიაში პოსტპექსოსური ხანის ეგვიპტელ ფარაონთა ბატონობის ერთპიროვნებას ზღვარი თვით ეგვიპტის ფარაონმა, ამენპოტეპ IV-მ (ძვ. წ. 1352-1334 წ.წ.), იგივე ენატონმა, დაუდო. მან ეგვიპტის უზენაესი ღვთაება ამენი („უხილავად“ წოდებული) შეცვალა ატენით („მზის დისკო“) და აიძულა ეგვიპტის ქურუმობა ეს ცვლილება მათი ნების წინააღმდეგ ეღიარებინა. მთელი მისი ძალისხმევა ამ რელიგიური რეფორმის (ე. წ. ამარნის რევოლუციის) გატარებაზე იყო მიმართული. აზიაში შექმნილი ძალაუფლების ვაკუუმით ისარგებლეს ხეთებმა და საკანძო პოზიციები იგდეს ხელთ. მხოლოდ ენატონის ძალაუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ, ახალმა ფარაონმა ტუტანხატენმა, რომელმაც ქურუმთა მიერ ამუნის კულტის აღდგენის შემდეგ ტუტანხამონის სახელი მიიღო (ძვ. წ. 1333-1324 წ.წ.), დაიწყო ქვეყნის აღორძინება.

მკვლევართა აზრით, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ახლოაღმოსავლური სამყარო უკვე საკმაოდ ერთიან, ინტეგრირებულ რეგიონს წარმოადგენდა. აქ არსებული მძლავრი სახელმწიფოების წარმომადგენლებიდან, ვერც ეგვიპტელები, ვერც ხეთები, ვერც მითანელები* და ვერც მესოპოტამიელები, ვერ შეძლებდნენ საკუთარი სიძლიერის შენარჩუნებას სხვათა კუთვნილი რესურსების გამოყენების გარეშე. ვერც ერთი მძლავრი ქვეყანა ვერ გახდებოდა რამდენადმე მნიშვნელოვანი ლევანტში (აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი, სირია-პალესტინა) გამავალი სავაჭრო გზების გაკონტროლების გარეშე. აქედან გამომდინარე, ადვილი გასაგებია დიდი სახელმწიფოების მუდმივი ჭიდილი ამ მხარის ხელში ჩასაგდებად. ამ მხარეში, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, მეგიდოსა და კადეშის ბრძოლებში ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონებიდან შემოჭრილი 20000 კაციანი არმიები გადიოდნენ ასობით კილომეტრს ლოგისტიკური* მხარდაჭერის სისტემითურთ, რომელიც ჯარს კუდში მიჰყვებოდა. განსაკუთრებულად რელიეფურად გამოვლინდა ეს დაინტერესება კადეშის ბრძოლასთან დაკავშირებით. ეს ბრძოლა არა მხოლოდ ეგვიპტისა და ხეთების სამეფოს სამხედრო ისტორიის თვალსაზრისით არის საინტერესო, მასში ფაქტობრივად მთელი ახლო აღმოსავლეთი აღმოჩნდა ჩათრეული და შესაბამისად მისი შესწავლით, შემაჯამებელი წარმოდგენა იქმნება იმის შესახებ, თუ რას მიაღწია ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისათვის,

ცივილიზაციის ისტორიისათვის ამ უმნიშვნელოვანესმა მხარემ სამხედრო საქმის განვითარების მხრივ (იხ. ქვემოთ).

ყველაზე ადრეული სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის ტექსტმაც ჩვენამდე სრული სახით მოაღწია დაიდო კადეშის ბრძოლის შემდგომ ხანაში, ძვ. წ. 1258 წ., ეგვიპტის ფარაონ რამსეს II-სა და ხეთების მეფე ხათუსილი III-ის შორის. მასში ჩამოთვლილია პირობები, რომელთა შესრულების შედეგად შეწყდებოდა ამ ორ ქვეყანას შორის მიმდინარე ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი ომი, რომელმაც ორივე ქვეყანა მნიშვნელოვნად დააზარალა და გამოფიტა. მეფეები შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთთან აღარასოდეს აღარ ეომათ, ერთმანეთის დატყვევებული ჯარისკაცები გაეცვალათ და ერთმანეთს დახმარებოდნენ, თუკი ვინმე სხვა, გარეშე ძალა, რომელიმე მათგანს თავს დაესხმებოდა (იხ. ქვემოთ).

მიუხედავად იმისა, რომ არცთუ იშვიათია, ძველაღმოსავლურ ისტორიულ წყაროებში და ხელოვნების ნიმუშებში აღყიში ამსახველი ცნობები თუ გამოსახულები, არქეოლოგიური შესწავლის შედეგად დღევანდლამდე, ამ მხრივ, ძალზე ცოტა რამ თუ არის მიკვლეული.

ძალზე იშვიათი იყო დიდი არმიების ღრა ბრძოლაში ერთმანეთთან დაპირისპირება. გამონაკლისი იყო კადეშის ბრძოლა და ისიც ღრა შეტაკების შემდეგ დაზავებით დამთავრდა (იხ. ქვემოთ). უფრო ადგილი ჰქონდა ხოლმე ნაკლები წინააღმდეგობის უნარის მქონე ქალაქებისა და სახელმწიფოების სრული დამორჩილებისკენ სწრაფვას. ამის თვალსაჩინო მაგალითია ეგვიპტელთა მიერ, აღყიშ შედეგად, ქალაქ დაფურის* აღება, გამოსახული XIX დინასტიის უდიდესი მეფის, რამსეს II-ის მემორიალური ტაძრის კედელზე, თებეში. ნახატის მიხედვით, დაფური ბორცვზე მდებარე, ძლიერად გამაგრებული ქალაქია გარე და შიდა გალავნებით, მსგავსად სხვა თანადროული სირიული ქალაქებისა. მოალყე ეგვიპტელები მისადგამი კიბით ცდილობენ გალავნის გადალახვას, ხოლო მშვილდოსნები მათ აზღვევენ. ფარაონსა და სხვა ეგვიპტელებს ორცხენიანი ორთვალა ეტლები აქვთ ბრძოლაში გამოყენებული (ილ. 4).

აღყიშ შემორტყმის დროს, ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხი იყო ალყაში მოქცეულთა გარე სამყაროსაგან იზოლაცია და დანებებისკენ იძულება. ადგილობრივი მოსახლეობის ნების გასატეხად, გარდა კედლების ტარანებით მტვრევის, გალავანზე მიღებული კიბებისა და ცეცხლის წაკიდებისა, გამოყენებული იყო ალყაში მოქცეულთა შიმშილით გამოფიტვის ხერხიც. ვინაიდან ალყა ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივად გრძელდებოდა, მცირე ძალებით მისი წამოწყება ლოგისტიკური ხასიათის გარემოებების გამო, შეუძლებელი ხდებოდა. ფარაონ თუტმოს III-ის ანალები, შემონახული კარნაკის (ზემო ეგვიპტე) ტაძრის კედლებზე, გვამცნობენ, რომ მეგიდოს ალყა შვიდი თვის განმავლობაში გრძელდებოდა, ვიდრე ბოლოს და ბოლოს მისი მცხოვრებლები ეგვიპტელებს არ დანებდნენ. ანალებში მეგიდოს აღება დაწვრილებით არის აღწერილი.

საალყო აღჭურვილობაში კედლის გატარნვისათვის გამოყენებული ტარანები უკვე ბრინჯაოს ხანაში იყო ცნობილი, თუმცა მათი გამოსახულებები ჩვენამდე არ არის მოღწეული. ყველაზე ადრე ისინი ახალასურული ხანის

ნიპურის* სასახლის ბარელიეფებზე გვხვდება და ძვ. წ. IX საუკუნით თარიღდება (ილ. 6).

ალყის მოწყობამდე, ბუნებრივია, მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდებოდა. ეს კარგად ჩანს ძველ აღთქმაში, იერიქონის მძლავრგალავნიანი ქალაქის სასწაულებრივი აღების შესახებ მონათხრობში. აյ ყურადღებას იპყრობს ისუ ნავესის მიერ იერიქონში, წინასწარ ფარულად, მსტოვართა გაგზავნის ამბავი, რომელთაც ქალაქში, თუ მის გარეთ არსებული ვითარების დაზვერვა ევალებოდათ (ისუ ნავესის წიგნი, 2:1-3,24).

ბევრი ცნობაა შემონახული ამა თუ იმ ქალაქის აღება-დარბევის შესახებ, თუმცა არცთუ წშირად მოგვეპოვება კონკრეტული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ხოლმე ეს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში შემონახულია ნახევრად ლეგენდარული ამბები, გმირთა მოხერხებულობისა და ცბიერების შედეგად ქალაქების აღების შესახებ. ბრძოლების დროს მრავალგვარი ფანდები გამოიყენებოდა ხოლმე. ამით განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ეგვიპტის ფარაონი თუტმოს III. მის სახელთან არის დაკავშირებული ტროას ცხენის ისტორიის მსგავსი შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია ეგვიპტელთა მიერ ქალაქ იოფას აღებასთან. ალყისას მან საუკეთესო ეგვიპტელი მეომრები გადამალა მთავარი კარიბჭით ქალაქში შეტანილ მარცვლეულით სავსე ტომრებში. თუტმოსმა თვალთმაქცობა გამოიჩინა მევიდოზე თავდასხმის დროსაც. მევიდოსაკენ ორი გზა მიდიოდა, ერთი ფართო და სწორი, მეორე – ვიწრო და ოღრო-ჩოღრო, რომლითაც ჯარის გადაყვანა ძნელი წარმოსადგენი იყო, თუტმოს III-მ სწორედ ეს მეორე გზა აირჩია და ძირითად გზასთან ჩასაფრებულ მოწინააღმდეგეს თავს მოულოდნელად წაადგა და „კუდით ქვა ასროლინა“.

ეგვიპტეში თუ ახალი სამეფოს ხანამდე არ არსებობდა მუდმივი ჯარი და თითოეული ნომის მმართველი აგროვებდა ფარაონისათვის ხალხს მოსახლეობაში, ახალი სამეფოს პერიოდში ჯარს ჰქონდა არა დამხმარე როლი სახელმწიფოს ფუნქციონირებაში, არამედ წარმოადგენდა უაღრესად არსებით სტრუქტურას. XVIII დინასტიის მეომარი ფარაონი თუტმოს III იყო პირველი, ვინც დაარსა ეგვიპტეში პირველი მუდმივი პროფესიული არმია. ახალწვეულებისაგან შედგენილი ლაშქარი შეიცვალა პროფესიონალი ჯარისკაცების მტკიცე და მუდმივ ორგანიზაციად. უცხო ქვეყნების დამორჩილება მოითხოვდა იქ მუდმივი სამხედრო ძალის საგარნიზონო სამსახურში ჩაყენებას. გარდა ამისა, ინტერესთა შეჯახებები ისეთ მძლავრ წინაზიურ სახელმწიფოებთან, როგორიც ხეთების, მითანის, ასურელთა და ბაბილონელთა სამეფოები იყო, მოითხოვდა ეგვიპტელთა ხშირ ლაშქრობებს შორს, საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ადრეული ხანებისგან განსხვავებით, სწორედ ახალი სამეფოს ხანაში გახდა არმია რიგითი ეგვიპტელებისათვის მდგომარეობისა და სტატუსის გაუმჯობესების საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ მეთაურთა შემადგენლობის ყველა დონეზე ჩამოყალიბებული იყო მკაფიოდ განსაზღვრული იერარქია, ნებისმიერ განათლებულ ეგვიპტელს ეძლეოდა შანსი მიეღო მაღალი თანამდებობა. მაღალი წოდების სამხედროებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამხდარიყვნენ დიდებულები, ეს მით უფრო ხელსაყრელი იყო, რომ დიდებულთა წინა თაობა არ

იყო მაინცადამაინც დახელოვნებულნი სამხედრო საქმეში. მაღალი წოდების სამხედროები უნდა ყოფილიყვნენ არა მხოლოდ უნარიანი სარდლები და სტრატეგები, არამედ სათანადოდ განათლებულნიც. ყველაზე პრესტიჟული და დაფასებული წოდება მეჯინიბეთუხუცესობა იყო და ეს არც უნდა იყოს მოულოდნელი პოსტკიქსოსური ხანის ეგვიპტეში. იმისათვის, რათა შეენარჩუნებინა წარჩინებულ სამხედროთა თაყვანისცემა, ფარაონი გულუხვად აჯილდოვებდა მათ საპატიო ტიტულებით, მამულებით, მონებითა და ოქროთი. არაფერი იყო დასაშური იმ ხალხისათვის, ვინც ეგვიპტის სიდიადეს ხელს უწყობდა. ყოველივე ამის შედეგად, ეგვიპტეში თანდათანობით ჩამოყალიბდა დიდი გავლენის მქონე სამხედრო ელიტა.

როგორც ვხედავთ, ომი მუდმივი და მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ეგვიპტის საზოგადოებრივ ცხვრებასა და პოლიტიკაში. ძველი სამეფოს ხანაში მას არარეგულარული ხასიათი ჰქონდა, მეზობლებთან შეიარაღებული კონფლიქტები ერთობ იშვიათი იყო. შუა სამეფოს ხანაში, სამხედრო საქმე მნიშვნელოვნად წინაურდება, ერთმანეთთან გადაჯაჭვული ციხე-სიმაგრეების საშუალებით დაინერგა თავდაცვის დახვეწილი სისტემა. გვიან ბრინჯაოს ხანაში ეგვიპტე თავს აღწევს იზოლაციას და გარე კონტაქტების ზრდა ხელს უწყობს სამხედროთა კლასის აღმოცენებას, უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სახით. ახალი სამეფოს გვიანდელ ხანაში უცხოელთა შემოსევის საფრთხის ზრდამ და განათლებული „საშუალო კლასის“ თანდათანობითმა გაფართოებამ დაამსხვრია ღვთაება-მეფის იდეა და შეარყია ეგვიპტური საზოგადოების იერარქიული სტრუქტურა.

ანატოლია. თუ ქვის ხანის განმავლობაში ანატოლია მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს საკვებწარმოებით ცენტრს წარმოადგენდა, ლითონის ხანაში მას უკვე გამორჩეული ადგილი ეკავა ადრეული მეტალურგიის, მისთვის დამახასიათებელი, მდიდრული და უაღრესად დახვეწილი ტრადიციების არსებობის გამო. ამის დამადასტურებელია, თუნდაც ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, ალაჯა ჰოიუქისა და ბოლაზქოის (იგივე ხეთების დედაქალაქი ხათუსასა) და ჩრდილოდასავლეთ ანატოლიაში, ჰისარლიქის (იგივე ჰიმეროსის „ილიადაში“* აღწერილი ტროა) არქეოლოგიური გათხრების მონაპოვარი.

ენეოლიტის (ქალკოლიტის*) ხანა ანატოლიაში მოიცავდა ძვ. წ. VI-IV ათასწლეულებს. ამ დროს კიდევ უფრო დაწინაურდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ამ ეპოქის შენობები, ძირითადად, ალიზის აგურით არის ნაგები; ჭურჭლეული თიხის, ქვისა და ხისაა; ხშირია დაწნული კალათები; იარაღი კაშიდან, ობსიდიანიდან, ძვლიდან და რქიდან მზადდებოდა. ლითონწარმოების დაწინაურებასთან ერთად განვითარდა ანატოლიის სავაჭრო ურთიერთობა, როგორც სირია-მესოპოტამიასთან, ასევე ბალკანეთის ნახევარკუნძულთან და მის დასავლეთით მდებარე ხმელთაშუაზღვისპირეთულ სამყაროსთან. ქალკოლიტური ხანის ანატოლიის უმთავრესი არქეოლოგიური ძეგლებია ჰაჯილარის, ჯან ჰასანის, ბეიჯესულთნის, ალიშარისა და ალაჯა ჰოიუქის ნამოსახლარები და სამაროვნები.

ბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. IV ათასწლეულის დამლევიდან ძვ. წ. XII ს. დასაწყისამდე) ხასიათება სპილენძისა და კალის (ან დარიშხანის) შენადნობის ანუ ბრინჯაოს წარმოებით, რომლისგანაც ძირითადად მზადდებოდა, როგორც საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების იარაღები, ჭურჭლეული, ასევე სამკაულები და სტატუეტები. ფუფუნების საგნების დასამზადებლად გამოიყენებოდა აგრეთვე ოქრო-ვერცხლი და მათი შენადნობისაგან მიღებულ ელექტრუმთან* ერთად. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ამ ხანის ანატოლიის ლითონდამუშავების მაღალი დონე გამოვლინდა ალაჯა ჰოიუქისა (ცენტრალური ანატოლია) და ტროას (ჩრდილო-დასავლეთ ანატოლია) გათხრების შედეგად. სამარხებიდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ლითონის საგნებია მიღებული. მამაკაცები იმარხებოდნენ საჭურველთან ერთად; ქალები სამკაულებთან, სატუალეტო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებთან ერთად. მრავალი საგანი ძვირფასი ლითონებიდან იყო დამზადებული. ანატოლიური მეტალურგიის მაღალი დონე ლითონის ნედლეულით ქვეყნის სიმდიდრით იყო განპირობებული. აქ თითქმის ყველა საჭირო ლითონი მოიპოვებოდა კალის გარდა, რომლის იმპორტირება ხდებოდა.

წინახეთური ხანის ანატოლიური ცივილიზაციის განვითარების მაღალ დონეზე მიგვანიშნებს ალაჯა ჰოიუქის აკლდამების უაღრესად შთამბეჭდავი ინგენტარი. მის შემადგენლობაში შედიოდა დახვეწილი და სანიმუშოდ ნაკეთი იარაღი, სამკაული, მცირე პლასტიკა, ვერცხლის, ოქროს, ელექტრუმის, ბრინჯაოს და თვით რკინის იარაღ-ხელსაწყოები და ჭურჭლეული. განსაკუთრებით საყურადღებოა, რკინიდან დამზადებული სატევარი, რაც სრულიად უნიკალური მოვლენაა ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრისათვის და ათას წელზე მეტი ხნით უსწრებს რკინის გამოჩენას მსოფლიოს სხვა მხარეებში.

სწორედ ანატოლიის განსაკუთრებულმა სიმდიდრემ ლითონის წიაღი-სეულით და საზოგადოდ ანატოლიის უხვმა ბუნებრივმა რესურსებმა მიიზიდეს ასურელი სოვდაგრები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ლითონის გატანით იყვნენ დაინტერესებული. მესოპოტამიაში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ანატოლიის ლითონის მადანსა და ნაკეთობებზე. ასურელთა სავაჭრო კოლონიები შუამდინარეთიდან ცენტრალურ ანატოლიამდე გადაიჭიმა.

შეს ბრინჯაოს ხანის ანატოლიაში ასურელებმა დააფუძნეს ამ ქვეყანასთან ვაჭრობის თავისებური სისტემა. კერძოდ, მათ შედარებით დიდი ქალაქების სიახლოეს თუ მათ გარეუბნებში დააარსეს ქარუმები ანუ ბაზრები. სულ დაარსებული იყო 20 ასეთი ქარუმი, რომლებიც იმართებოდა საბაზისო ქანესის ქარუმიდან (ქიულთეფე). ასურელები, როგორც წესი, იხდიდნენ ქირასა და გადასახადებს ადგილობრივი მმართველების სასარგებლოდ და ამით უზრუნველყოფდნენ თავის უსაფრთხოებას. სავაჭრო ქარავნები გამოიყენებოდა, რომელთაც ანატოლიაში კალა, საპარტიუმერიო საგნები და სამკაულები შემოჰკონდათ, ხოლო გაპქონდათ ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობები.

ასურელმა სოვდაგრებმა საკმაო რაოდენობის წერილობითი დოკუმენტები დაგვიტოვეს თავისი სავაჭრო აქტიურობის შესახებ. ანატოლიურ ქალაქებში: ნესა-კანესში (ქიულთეფე თანამედ. ქაისერთან), ხათუსასა (ბოლაზქო) და ანქუ-

ვაში (ალიშარი) ნაპოვნი ათასობით თიხის ფირფიტა გვამცნობს ძველასურული სავაჭრო კოლონიის უდიდეს აქტიურობაზე. მათ მესოპოტამიიდან შემოჰქონდათ იქური საქონელი, ხოლო ანატოლიიდან გაპქონდათ ლითონები და სხვა ბუნებრივი წიაღისეული. როგორც ცნობილია, მესოპოტამია ღარიბია წიაღისეულით. დასავლეთ ანატოლია ნაკლებად იყო ჩართული ასურელთა კომერციულ ინტერესებში, იქ უფრო კრეტიდან და ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან მომდინარე იმპულსები იყო საგრძნობი.

ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნის ხანიდან ანატოლიის ცენტრალურ ნაწილში მანამდე არნახული სიუხვე და კულტურული დაწინაურება შეინიშნება. კიდევ უფრო ინტენსიური ხდება ქვეყნის სავაჭრო კონტაქტები.

ასურული სავაჭრო დოკუმენტების გარდა, სხვა ადრეული წერილობითი ცნობებიც, ანატოლიის შესახებ ისევ ამ მხარის ბუნებრივ სიმდიდრეებთან და მათ კომერციულ გამოყენებასთან არის დაკავშირებული, რაც თავის მხრივ საომარ მოქმედებებთან იყო ხოლმე გადახლართული. თიხის ფირფიტის ფრაგმენტზე შემორჩენილი, ხეთური ეპიკური თხზულების „ბრძოლების მეფის“ თანახმად, სარგონ დიდს, აქადის მეფეს ეახლნენ ანატოლიაში მყოფი ვაჭრები და მოახსენეს მათი ქალაქის – ფურუშხანდას* საარაკო სიმდიდრის შესახებ და მის წინააღმდეგ გასაღაშქრებლად დაითანხმეს კიდევაც. ქალაქი ფურუშხანდა მნიშვნელოვან და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად წარმოგვიდგება. ტექსტი იქ წყდება, სადაც სარგონი იწყებს ქალაქის ასაღებად მისი გალავნის გატარვნას. სავარაუდოდ, ტექსტის დასაწყისში ნაუწყები იქნებოდა, რომ სარგონმა თავდაპირველად ვერ მოახერხა ძალის გამოყენებით ქალაქის აღება. იმის თქმა, თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ეპოსში ასახული ამბავი არსებული მონაცემების საფუძველზე ძნელი სათქმელია, თუმცა სპეციალისტების აზრით, აქ წამოდგენილი საერთო ისტორიული პერსპექტივა მისაღებია. ამავე დროს, ტექსტის შემორჩენილ ფრაგმენტში ყურადღებას იპყრობის ხეთების შეძლებით დედაქალაქის, ხათუსას, მოუხსენიებლობა. სარგონის შვილიშვილის, ნარამსუენის (ძვ. წ. XXII ს.), შესახებ ლეგენდა კი მოგვითხრობს, რომ მას ეკუთვნოდა ფურუშხანდა, რომელიც უცნობმა და მრავალრიცხოვანმა ხალხმა დაარბია.

ანატოლიის სიმდიდრე ბუნებრივი წიაღისეულით, განსაკუთრებით ლითონით, მათ ხელში ჩასაგდებად, ცხადია, იმთავითვე არაერთ დამპყრობელს მიიზიდავდა. სხვა საქონელთან შედარებით, ლითონი ყველაზე უფრო მეტად წამაქეზებელი იყო სავაჭრო ურთიერთობების აღმოცენებისათვის. იგი საკმაოდ კომპაქტურია და აღვილად გადასაზიდი. როგორც ცნობილია, სპილენძის საბადოებით სიმდიდრემ კუნძულ კვიპროსს, ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრული ხანიდან, დიდი სიმდიდრე მოუტანა.

ძველი აღმოსავლეთის მრავალ მხარეში დასტურდება სახელმწიფო მონოპოლიის არსებობა ლითონზე, განსაკუთრებით სპილენძზე, რაც სავსებით გასაგებია; რკინის ფართო გამოყენებამდე საბრძოლო იარაღი ხომ სპილენძისაგან მზადდებოდა. ასურთა მეფის, ილუშუმას (ძვ. წ. XX ს.) ცნობით, სპილენძის მაღნის დამუშავებასა და ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლია არსებობდა,

ხოლო მისი ძის – ერიშუმ I-ის წარწერა ამის საწინააღმდეგოდ იუწყება, რომ მან დაადგინა ვერცხლის, ოქროს, სპილენძის, ტყვიას, ხორბლისა და მატყლის თავისუფალი მიმოქცევა, რაც, ალბათ, პირველი შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში, როდესაც ხელისუფლება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე თავისუფალი ვაჭრობის კომერციულ უპირატესობას ხვდება და მის ხელშეწყობას ცდილობს.

ანატოლიის ასურული კოლონიები ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში, ერთდროულად წყვეტებ არსებობას. ეტყობა, ამ დროს ადგილი უნდა ჰქონოდა მოვლენებს, რომელთა გამო საქარავნო ურთიერთობა ასურეთსა და ანატოლიას შორის არამომგებიანი, ანდა სახიფათო შეიქმნა.

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის ანატოლიაში ჩნდებიან ახალმოსახლეები: ინდოევროპელი, ხეთი ტომები. მათი თანაცხოვრება და შერწყმა მათ მიერ დაქვემდებარებულ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ხათებთან, ძირითადად მშვიდობიანად მიმდინარეობდა. მათ წინამორბედი მოსახლეობისაგან შეითვისეს უფრო მაღალი კულტურა, რელიგიური წარმოდგენები და ღვთაებათა პანთეონი*. აღსანიშნავია, რომ ხეთები ძველ აღთქმაშიც კი არიან მოხსენიებულნი, როგორც ქატელნი, ძენი ქეტისნი.

თვით სახელწოდება „ხეთი“ წარმოდგება ადგილის სახელწოდებისაგან „ხათი“, რომელსაც იყენებდა წინახეთური ანუ წინაინდოევროპული ხათური მოსახლეობა თავისი ქვეყნის აღსანიშნავად და რომელიც ინდოევროპელ-ხეთებს, ქვეყნის აღსანიშნავად, მათგან უნდა შეეთვისებინათ. ამავე დროს ინდოევროპელი-ხეთები საკუთარ თავს ნესელებს უწოდებდნენ, ქალაქ ნესას (იგივე კანესის) სახელწოდების მიხედვით, სადაც ისინი უფრო ადრე სახლობდნენ, ვიდრე ხათუსაში და რაც დასტურდება კიდეც ქიულთევეს (იგივე ნესა, კანესი) არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი თიხის ფირფიტებით, სადაც, სხვათა გვერდით, ინდოევროპული-ხეთური სახელების მატარებელი მოსახლეობაა წარმოდგენილი.

ხეთების ისტორია ორ ხანად იყოფა: ძველი სამეფოს ხანად (დაახლ. ძვ. წ. 1700-1500 წ.წ.) და ახალი სამეფოს ანუ იმპერიული ეპოქის ხანად (დაახლ. ძვ. წ. 1400-1180 წ.წ.). ზოგიერთი სპეციალისტის მიერ, შუა სამეფოს ხანად დაახლ. ძვ. წ. XV საუკუნე არის მიჩნეული. ხეთების სახელმწიფომ პოლიტიკური ძალაუფლებისა და კულტურულ მონაპოვართა უმაღლეს დონეს ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებში მიაღწია. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ანატოლია უკვე ვითარდებოდა, როგორც მსოფლიოში რკინის წარმოების უძველესი კერა.

რაც შეეხება ანატოლიის უძველესი ისტორიის აღსადგენად საკუთრივ ხეთური წერილობითი წყაროების მონაცემების გათვალისწინებას, უნდა ითქვას, რომ მხოლოდ რამდენიმე თიხის ფირფიტა თუ თარიღდება ბოლაზქიოის ხეთური არქივიდან ძვ. წ. XVII საუკუნეზე უფრო ადრეული ხანით. თუმცა, ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებში გაკეთებულმა მეტნაკლებად სანდო ასლებმა შემოგვინახეს ადრეული ხანის ზოგიერთი ისტორიული ხასიათის ტექსტი. ერთ-ერთი მათგანი შეეხება ქუსარას (ადგილმდებარეობა არ არის დადგენილი), ძვ. წ. XVIII საუ-

კუნის მეფეს ფითხანასა და მის ძესა და მემკვიდრეს ანითას. მათ მიერ დაპყრობილ ქალაქებს შორის მოხსენიებულია ნესაც, რომელიც მოგვიანებით ანითამ თავის დედაქალაქად აქცია.

ამ ცნობის სანდოობა დაადასტურა ქიულთეფეს (ნესას) გათხრებისას ნაპოვნმა სატევარმა, რომელზედაც ანითას სახელი იყო ამოტვიფრული. როგორც ირკვევა, ხეთებმა, ანითას მეთაურობით, ძვ. წ. XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის ცენტრალურ ანატოლიაში სამეფო შექმნეს. ერთი საუკუნის შემდეგ, ხათუსილი I-მა დედაქალაქი ხათუსაში, გალავნებით კარგად გამაგრებულ ციხე-სიმაგრეში, გადაიტანა, რომელიც ხეთების ძირითად ადმინისტრაციულ ცენტრად რჩებოდა ხეთების სამეფოს არსებობის თითქმის მთელი შემდგომი დროის მანძილზე.

ხათუსილი I-ის ლაშქრობათა ძირითადი სამიზნე ჩრდილო-დასავლეთი სირია და მდინარე ევფრატს გადაღმა მდებარე მესოპოტამიური მიწები იყო. ამ მხარის დაუფლებას ხეთები ყოველთვის ესწრაფოდნენ, ვინაიდან იგი მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს. ხათუსილი I-ის ძემ, მურსილი I-მა (ძვ. წ. XVI ს.), წარმატებით ილაშქრა ხალაფზე (იგივე ქ. ალეპო, თანამედროვე ჰალაბი სირიაში) და თვით ბაბილონიც კი გაძარცვა.

ხეთურ საზოგადოებაში მეფე მიჩნეული იყო უზენაეს ხელისუფლად, უმაღლეს მხედართმთავრად და მსაჯულად, უმთავრეს ქურუმად. მას გარს ერტყა დიდებულებისა და ტიტულიანი მოხელეების ფართო წრე, რომლებიც, განსაკუთრებით ადრეულ საუკუნეებში, ფლობდნენ დიდ ძალაუფლებას და მეფის სისხლისმიერი ნათესავები იყვნენ. უმთავრესი პროვინციებისა და ქალაქების მმართველობა, მეფის მიერ, მისი საკუთარი ოჯახის წევრებს ეძლეოდათ, რომლებიც მასთან ერთგულების ფიცით იყვნენ დაკავშირებული. უფრო გვიანდელ ეპოქაში, იგივე პრინციპი დაცული იყო ხეთების იმპერიასთან შემორთებული ადგილობრივი ვასალების მიმართაც, რომელთაც სამეფო ოჯახი ხშირად ინათესავებდა საქორწინო კავშირებით. ერთგულების ფიცი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პირადი საქმე იყო ხოლმე, ამიტომ ახალი მეფის ტახტზე ასვლის შემდეგ სავალდებულო ხდებოდა ამ ვასალების მიერ ყმადნაფიცობის ფიცის განახლება ახალ ხელისუფალთან. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფეოდალური კანონი მთლიანობაში ხეთური საზოგადოების საფუძველს წარმოადგენდა.

ხეთურ ჯარში მიღებული იყო მეფისა და სამეფო ოჯახის მიმართ ფიცის დადება, აგრეთვე სხვადასხვა რიტუალის აღსრულება, განსაკუთრებით მტერთან დამარცხების შემდეგ. ეს უკანასკნელი მდინარის პირას სრულდებოდა და წყლის შესხურებით მთავრდებოდა. აღბათ, არც ერთი ძველი აღმოსავლური საზოგადოება არ იყო ისე დამყარებული ფიცის დადების წესზე, როგორც ხეთური. ეს შესაძლოა ხეთების ინდოევროპული წარმომავლობითაც ყოფილიყო განპირობებული. ფიცის იმდაგვარად დადება, რომლის დროსაც ფიცის დამდები მისი გატეხვის შემთხვევაში საკუთარი თავის დაწყევლაზე თანხმდებოდა და

წარმოთქვამდა ფორმულას: „დე, ასე იყოს!“, ტიპური იყო აგრეთვე სხვა ადრეინდოევროპული ენების მატარებელი ხალხებისათვისაც.

ხეთურმა თიხის ფირფიტებმა შემოგვინახა უძველესი ფიცის ნიმუშები. კერძოდ, სამხედრო მეთაურთა ფიცი ძველ ხეთურ ენაზე. მასში აღწერილია, თუ როგორ დაიწყევლებოდა ფიცის გამტეხი. ერთგულების ფიცის დამდების წინაშე მიპქონდათ ქალის კაბა, თითისტარი, გადატეხილი ისარი და ეუბნებოდნენ, რომ თუ ფიცს გატეხავდა, ასე გადაუტყდებოდა ბრძოლის დროს იარაღი, ქალად გადაიქცეოდა და ქალის საქმე უნდა ეკეთებინა. შემდეგ შემოჰყავდათ ბრმა და ყრუ ქალები, იმის საჩვენებლად, რომ ბრმა და ყრუ ქალად გადაიქცეოდა სიტყვის შეუსრულებლობის შემთხვევაში. ბოლოს მუცელში წყალჩამდგარი ადამიანის გამოსახულება მოპქონდათ და აღუთქამდენ ასეთივე დაავადებას, რომელიც მის შთამომავლობას მისსავე სხეულში მუსრს გავლებდა.

ანალოგიური დანიშნულების „სამხედრო ფიცის“ სხვა, უფრო მოგვიანო ხანის, ტექსტი არასრული სახით არის შემორჩენილი. აქ საუბარი უკვე უფრო იმაზეა, თუ რა დიდი ბედნიერება ელოდა ფიცის შემსრულებელს, ხოლო სიტყვის გამტეხი ამოწყვეტით დაისჯებოდა. ეს ტექსტი, მასში წარმოდგენილი რიგი დეტალების მიხედვით, ცხადყოფს, რომ ხურიტული ღვთაებების ზეგავლენა სულ უფრო იზრდებოდა ხეთურ საზოგადოებაში.

განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ხეთებისათვის, თუთხალია III-ისა (ძვ. წ. XIV ს.) და მისი ძის – სუფილულიუმა I-ის ხანა. სუფილულიუმა ქვეყნისათვის საკმაოდ მძიმე დროს გამეფდა. შინა აშლილობის შედეგად, მისი დედაქალაქი გადაბუგული იყო, ხოლო მას მეზობელი ქვეყნების კოალიციის მოგერიება უხდებოდა. ჩრდილოეთიდან მოზღვავებულ მტერთან იგი დაახლოებით 20 წლის განმავლობაში აწარმოებდა ბრძოლას, თუმცა მისი ძირითადი საზრუნვი მაინც სამხრეთი იყო. აუცილებელი იყო სირის კონტროლის ქვეშ მოქცევა. სუფილულიუმამ, თავდაპირველად, დიდ დიპლომატიურ წარმატებას მიაღწია. მან დაარწმუნა კიცუვათნას მეფე, რათა მისთვის სირიაზე გასასვლელი მიეცა და ხეთებისადმი მხარდაჭერა გამოეცხადებინა. გარდა ამისა, მან ნათესაური კავშირი დაამყარა ბაბილონეთში გაბატონებულ, დიდი სამხედრო ძალის მქონე კასიტების მეფესთან. სუფილულიუმა აღადგინა ხეთების ბატონობა თითქმის მთელ ანატოლიაზე და განავრცო ქვეყნის საზღვრები სამხრეთითა და აღმოსავლეთით. მისი უმთავრესი მონაპოვარი იყო მითანის დამარცხება და დაპყრობები სირიაში, ძლევამოსილი ქალაქი-სახელმწიფოების, კარქემიშისა და ხალების, ხელში ჩაგდება. მითანის გადარჩენილ ნაწილებში შეიქმნა ხეთების ყმადნაფიცი ხანიგალბათის სამეფო.

სუფილულიუმას ძემ, მურსილი II-მ (ძვ. წ. XIV ს.), დაამარცხა დასავლეთ ანატოლიაში მდებარე და ხეთების წინააღმდეგ ეგვიპტელთა მიერ შეგულიანებული არცავას ძლიერი ქვეყანა და მისი მმართველი თავის ყმადნაფიცად აქცია. ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებში ხეთების სახელმწიფო ძლევამოსილ იმპერიად ჩამოყალიბდა. ამ დროს ხეთების სამეფომ თავისი სიძლიერის მწვერვალს მიაღწია, მაგრამ თვით მაშინაც კი, იგი არ წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ ერთეულს.

ხეთების წარმატების ერთ-ერთ მიზეზად, მათ მიერ რკინის წარმოებაზე მონოპოლია სახელდება. მეტალურგიის განვითარებაში რკინის წარმოების დაწყება ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. რკინია ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ლითონია დედამიწის ზურგზე, მაგრამ, ამავე დროს, ძალზე ძნელად დასამუშავებელი. რკინის დნობის წერტილი ბევრად უფრო მაღალია იმასთან შედარებით, რის შესაძლებლობასაც პრიმიტიული ქურა იძლეოდა. მაღანიდან მინარევების მოსაცილებლად საჭირო იყო მისი არაერთგზის გაცხელება და ჭედვა. ძვ. წ. II ათასწლეულამდელ არქეოლოგიურ მასალებში მხოლოდ იშვიათად თუ არის მიკვლეული რკინის საგნები: მძივები, ბეჭდები, სატევრის პირები. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში კი, რკინის დამუშავება უკვე ჩვეულებრივ ხასიათს იღებს. თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რკინას, ცხადი ხდება ხათუსილი III-ის წერილიდან ასურეთის მეფისადმი, რომელსაც მან საჩუქრად რკინის სატევრის პირი გაუგზავნა.

ხეთური არმიის ძირითად სამხედრო ძალას (სხვა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად) საბრძოლო ეტლების კორპუსი წარმოადგენდა. ხეთები განთქმული მეტლები იყვნენ. მათ გამოიგონეს ეტლის ახალი კონსტრუქცია, რომელიც ორი მებრძოლის ნაცვლად სამს იტევდა (ილ. 3). ერთი მათგანი მეტლე იყო, მეორეს შემტევი იარაღი (შუბი და მშვილდ-ისარი) ეპყრა ხელთ, ხოლო მესამე, ფარის საშუალებით იცავდა მათ და საკუთარ თავსაც. სამივე მათგანი ჩაცმული იყო მუხლის ქვემოთ დაშვებულ ტყავის ტანსაცმელში და თავზე მუზარადი ეხურა. აბჯარი, როგორც შემორჩენილი გამოსახულებებიდან ჩანს, არ უნდა ჰქონოდათ.

ეტლით მებრძოლი ხეთის თავდასხმის იარაღი საძერებელი შუბი იყო და არა, ეგვიპტელთა მსგავსად, მშვილდ-ისარი. კადეშის ბრძოლის ეგვიპტურ გამოსახულებებზე ზოგიერთ ეტლით მებრძოლ ხეთს ხელთ შუბი უპყრია, მაგრამ არასოდეს მშვილდი. აღსანიშნავია, რომ კადეშის ბრძოლა ეტლებით ბრძოლის ყველაზე დიდ ასპარეზად ითვლება მსოფლიოში (იხ. ქვემო).

ეტლებით ბრძოლის თაობაზე უძველესი მინიშნება, შესაძლოა, ძვ. წ. XVIII საუკუნით დათარიღებულ ანითას ძველ ხეთურ ტექსტშია მოცემული, სადაც ნახსენებია მის მიერ სალატივარას (ქალაქი ანატოლიაში) ალყის დროს გამოყენებულ 1400 ქვეით ჯარისკაცზე და 40 შებმა ცხენზე. თუმცა, პირველი უდავო დადასტურება ბრძოლის დროს ეტლების გამოყენების თაობაზე განეკუთვნება ხათუსილი I-ის ხანას ანუ გვიანდელ ძვ. წ. XVII საუკუნეს. უფრო გვიანდელი ხანით, ძვ. წ. XV საუკუნის დასასრულით, თარიღდება ხათუსასას არქივში ნაპოვნი, კიკული მითანელის* მიერ დაწერილი, ეტლის ცხენების მოვლისა და წვრთნის სახელმძღვანელო. ტექსტი ხეთურად არის დაწერილი, თუმცა მასში ცალკეული ინდო-არიული*, ხურიტული და ლუვიური* სიტყვების არსებობაც დასტურდება.

ბრძოლების დროს ხეთების ქვეითი ჯარი, როგორც ჩანს, დამხმარე ფუნქციას ასრულებდა. მის ჯარისკაცებს მოგრძო, მაღალი მუზარადები ეხურათ და ძირითადად, საბრძოლო ცულით, მახვილითა და ხელგასაყრელი ფარით იყვნენ აღჭურვილნი.

ანატოლიისათვის დამახასიათებელი ჰავისა და ტოპოგრაფიული თავისებურებების გამო, ხეთური ჯარის შეკრება გაზაფხულზე ხდებოდა ხოლმე, ხოლო ლაშქრობა, ძირითადად, ზაფხულობით.

ხეთების მიერ შექმნილი საფორტიფიკაციო არქიტექტურა საუკეთესოდ ითვლება მთელ ძველ ახლო აღმოსავლეთში. ქალაქის გალავნებისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების ქონა არსებითი იყო ძველი აღმოსავლეთის ქალაქებისათვის. როგორც ზემოთაც ითქვა, თავდაცვით კედლებს აგებდნენ ქვისგან, ალიზის აგურისაგან, ხისაგან ან ამ მასალათა ერთმანეთთან შეთავსებით. მასალის შერჩევა ბუნებრივი პირობებით იყო განპირობებული, თუ რომელი მასალა მოიპოვებოდა ადგილობრივ. ხეთები, როგორც წესი, ქალაქების გარშემო მასიური ქვის გალავნების აგებისას დიდი ხელოვნებით იყენებდნენ მთიანი ადგილების ფერდობებს, განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა მათ მიერ აშენებულ ციხე-სიმაგრეებში.

ალყის წარმოების, ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებული, ხერხი იყო მოცდა ალყაში მოქცეულთა დანებებამდე. როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, ძვ. წ. XV საუკუნეში ეგვიპტელთა მიერ, მეგიდოს ალყამ, ქალაქის დანებებამდე, შვიდ თვეს გასტანა. ზოგჯერ ალყაში მოქცეულთა მიერ თავის დახსნა გამოსასყიდის გადახდით ხდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც მოალყებში სასიკვდილო ეპიდემია იჩენდა თავს და ისინიც იძულებული ხდებოდნენ აუღებლად გაცლოდნენ ქალაქსა თუ ციხე-სიმაგრეს.

საინტერესოა, ხეთების მიერ, ძვ. წ. XIV საუკუნეში, ანატოლიაში, ერთ-ერთი თავისი ყმადნაფიცი მმართველის ქალაქის წინააღმდეგ განხორციელებული ალყა, რომელიც მას მერე დამთავრდა, როდესაც დედა-დედოფალი ქალაქიდან გამოვიდა და შესთხოვა მოალყებს მისი გულისათვის შეეწყალებინათ ხალხი. მაშინ, როდესაც, ამა თუ იმ ლაშქრობის დროს, ძირითადი მიზანი არ იყო რომელიმე ქალაქის აღება, მოლაშქრეები მას უბრალოდ გვერდს აუვლიდნენ ხოლმე. მაგალითად, ხეთების მიერ მითანის წინააღმდეგ ძვ. წ. XIV საუკუნეში ჩატარებული ერთ-ერთი ლაშქრობისას, ხეთებმა ქალაქ კარქემიშს გვერდი აუარეს და იგი მხოლოდ თავისი ძირითადი მიზნის აღსრულების შემდეგ, უკანმობრუნებულებმა, რვადლიანი ალყის შემდეგ აიღეს.

ხეთების კეთილდღეობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მათ მიერ სავაჭრო გზებისა და ბუნებრივი წიაღისეულის, განსაკუთრებით ლითონის საბადოების, გაკონტროლებაზე. ძირითადად, ამის გამო უხდებოდათ მათ ასურელებთან, ხურიტებთან და ეგვიპტელებთან ბრძოლა.

ეგვიპტელთა და ხეთების საომარი ხასიათის ურთიერთობებს, ეგვიპტის მეთვრამეტე დინასტიის ხანაში ეყრება საფუძველი, როდესაც ფარაონმა თუტმოს III-მ დაიპყრო მითანის სამეფოს კუთვნილი მიწები სირიაში და ამით ხეთებს დაუმეზობლდა. ახლო აღმოსავლეთის ბევრმა ხალხმა ამ დროს გადაწყვიტა ეგვიპტელებისათვის ხარკი გადაეხადა, მათ შორის ხეთებმაც, რათა ეგვიპტელთა გული მოეგოთ და ამით მათი თავდასხმისაგან თავი დაეხსნათ. ამასთანავე, ხეთებისათვის, ეგვიპტელთა მიერ მათი მუდმივი მტრის – მითანის დამარცხება ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა. მომდევნო ხანებში ხეთებსა და

ეგვიპტელებს შორის მეგობრული ურთიერთობა ყალიბდებოდა. ე. წ. კურუსტამას ხელშეკრულების თანახმად, მოხდა ხეთური ქალაქის, კურუსტამას, მოსახლეობის ჩასახლება ეგვიპტის მიერ კონტროლირებულ სირიის ტერიტორიაზე. ეგვიპტელები ხეთებს თავის თანასწორ ძალად განიხილავდნენ. ტუტანხამონის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ქვრივმა სუფილულიუმას მისი ძე სთხოვა თანამეცხედრედ და თანამმართველად, თუმცა უფლისწულმა ეგვიპტემდე ცოცხალმა ვერ ჩააღწია. ზემოაღნიშნული მეგობრობის ძლიერდობა, ხეთების მიერ სამხედრო ძალის მნიშვნელოვანმა გაზრდამ და ამენპოთებ II-სა და თუტმოს IV-ის ხანაში ეგვიპტესა და მითანს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბებამ შეარყია. ხეთებმა მითანისა და ეგვიპტის ურთიერთობაში თავისთვის საფრთხე დაინახეს და მათმა დიდმა მეფემ, სუფილულიუმა I-მა დაიწყო ბრძოლა სირიის ხელში ჩასაგდებად. რამდენიმე წარმატებული ლაშქრობის შემდეგ, მან სირიის ჩრდილოეთი ნაწილი შეიერთა. სირიაში ხეთების ექსპანსიამ, მათი აღორძინებული ქვეყანა ეგვიპტესთან უკვე აშკარად დააპირისპირა.

ხეთების ქვეყანაზე უარყოფითად იმოქმედა შავმა ჭირმა, რომელიც უკანმობრუნებულმა მოლაშქრებმა და ტყვეებმა ჩამოიტანეს და ხეთები მურსილი II-ის დროს, იძულებული გახდნენ ეგვიპტისათვის უკან დაებრუნებინათ სუფილილიუმას მიერ სირიაში დაპყრობილი მიწები, თუმცა მუვათალი II-ის მეფობის დროს (ძვ. წ. 1293-1271 წწ.), დასავლეთ ანატოლიაში მიღწეული წარმატებების გარდა, აღსანიშნავია ამ მეფის ბრძოლები ეგვიპტესთან სირიის დასაუფლებლად. ორი მათგანი გაიმართა სირიის ქალაქ კადეშთან, მდინარე ორონტთან. პირველი ბრძოლისას მისი მოწინააღმდეგე ეგვიპტის მეცხრამეტე დინასტიის მეორე ფარაონი სეტი I (ძვ. წ. 1290-1279 წწ.) იყო.

კარნაკის^{*} ტაძრის წარწერების მიხედვით, სეტი I-მა, 20000 კაცისაგან შემდგარი ჯარით ილაშქრა ქანაანსა^{*} და სირიაში, აღადგინა იქ მიტოვებული ეგვიპტური საგუშაგოები და საგარნიზონო ქალაქები. მას ხეთებთან სიტყვიერი ხელშეკრულება დაუდია და დაუფლებია აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს. მომდევნო ლაშქრობისას, მან ქალაქი კადეში აიღო, სადაც ამ ფაქტის აღმნიშვნელი სვეტი აღმართა და დაიპყრო ამურრუს^{*} ქვეყანა. ამ ლაშქრობაში სეტი I-ს თან ახლდა მისი მემკვიდრე რამსესი, რომელსაც მომავალში, როგორც ეგვიპტის ფარაონ რამსეს II-ს, სწორედ ქალაქ კადეშთან მოუწია უმნიშვნელოვანესი და სისხლისმღვრელი ბრძოლის გადატანა ხეთებთან.

კადეშის ბრძოლას წინ უსწრებდა, ერთი მხრივ, რამსეს II-ის და მეორე მხრივ, ხეთების მეფის, მუვათალი II-ის, სირიული ლაშქრობები. ეს ორი მეფე ერთმანეთს ეცილებოდა სირიასა და ქანაანს. ვინაიდან ხეთების ინტერესები, ძირითადად, სავაჭრო გზების კონტროლზე იყო გამახვილებული, ხოლო ჩრდილოეთი სირია კილიკიას შუამდინარეთან აკავშირებდა, ამ მხარის დაუფლებას ხეთებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

რამსესი მთელ თვეს მოუნდა, კადეშისათვის სამხრეთიდან რომ მიეღწია. მუვათალიმ, ამასობაში, თავი მოუყარა თავის მოკავშირეებს და კადეშის

გადაღმა, ჩრდილოეთით დაბანაკდა. ხეთების მხარეზე მათი 19 მოკავშირის სამხედრო ძალებს ჰქონდა თავი მოყრილი. ხეთებთან ერთად, ძირითადად, მათ მიერ დაპყრობილი ხალხები იბრძოდნენ, რომელთა შორის, დასავლეთ ანატოლიელებიც უნდა ყოფილიყვნენ.

ძვ. წ. 1274 წლის გაზაფხულზე, კადეშისაკენ მიმავალმა რამსესმა, მძიმე ტაქტიკური შეცდომა დაუშვა. იგი იმდენად იყო შეპყრობილი სურვილით, რომ ხეთებზე ადრე აელო ქალაქი, რომელშიც სინამდვილეში ხეთებს უკვე მისთვის მახე ჰქონდათ დაგებული, რომ მოწყდა თავის ძირითად ძალებს და ამით გაზარდა ამ ძალებს შორის არსებული მანძილები. ეს დაქსაქსული დანაყოფები გზის სხვადასვა მონაკვეთზე იმყოფებოდნენ. რამსესის არმია ოთხი დივიზიისაგან შედგებოდა, რომელთაც ეგვიპტური ღვთაებების: ამონის, რას, სეტისა და ფტაპის სახელები ჰქონდათ მინიჭებული. როდესაც ფარაონმა კადეშს მიაღწია, მას უკან ამონის დანაყოფი მოჰყვებოდა; რას დანაყოფი, ამ დროს, უფრო სამხრეთით, ქალაქ შაბთუნასთან* მდინარის ფონს გადადიოდა; ფტაპის დანაყოფი კი უფრო შორს, ჯერ კიდევ ქალაქ არნაიმის* სამხრეთით მოძრაობდა, ხოლო სეტის დანაყოფი მთავარ შარაგზას ჯერაც არ იყო გამოცდენილი.

გარდა ამისა, ეგვიპტელთა არმიაში კიდევ იყო სამხედრო დანაყოფი, ნეარინის* (ნა'არნი) სახელით ცნობილი, რომელიც ეგვიპტელთა ერთგული ქანაანელი მოქირავებისა თუ ქანაანში რამსეს II-ის მიერ დატოვებული ეგვიპტელი მეომრებისაგან შედგებოდა. მას გადამწყვეტი ფუნქცია დაეკისრა ეგვიპტის გადარჩენაში ხეთებთან ბრძოლის დროს. ეგვიპტელთა მხარეს იბრძოდნენ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის დამარბეველი ე. წ. ზღვის ხალხების შემადგენლობაში მყოფი სარდინიული წარმომავლობის შერდენელები, რომლებიც კადეშის ბრძოლის ამსახველ ეგვიპტურ გამოსახულებებში გვიანბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი სატევრებით არიან აღჭურვილნი.

რამსესი და მას მიდევნებული ამონის დანაყოფები, მდინარე ორონტის ქალაპოტის გადალახვის შემდეგ, შეეფეთნენ ხეთების მიერ, საგანგებოდ მათ შეცდომაში შეყვანის მიზნით შეგზავნილ ბედუინებს, რომელთაც დაარწმუნეს ფარაონი, რომ ხეთები, ფარაონის შიშით, ახლო მოსვლას ვერ ბედავდნენ და შორს, ხალაფის მახლობლად იყვნენ დაბანაკებულნი (დაახლოებით 200 კმ ჩრდილოეთით). ამასობაში, იქვე ჩასაფრებულმა ხეთებმა საშუალება მისცეს ამონის დანაყოფებს მათვის გვერდზე ჩაევლოთ და მათ მიერვე დაგებულ ხაფანგში გაბმულიყვნენ. შეცდომაში შეყვანილმა ფარაონმა კადეშთან ბანაკის დაცემის ბრძანება გასცა. აქ ეგვიპტელებმა ხელთ იგდეს ორი ბედუინი, რომელთაც აღიარეს, რომ სინამდვილეში ხეთების უზარმაზარი არმია, ქვეითი ჯარი და ეტლების კორპუსი მეფე მუვათალის წინამდლოლობით სულ ერთი ხელის გაწვდენაზე იყო მათგან დაშორებული, ქალაქ კადეშის გადაღმა. როგორც ვხედავთ, იმ შორეულ ეპოქაში, ბრძოლის დაწყებამდე (დაახლოებით 3300 წლის წინ), უკვე იყენებდნენ მეტოქის დეზინფორმირების ხერხებს.

ბრძოლა, რომელიც გაიმართა რამსეს II-ის აღსაყდრების მეხუთე წელს, 12 მაისს, მიჩნეულია ეტლებით ყველაზე უფრო დიდ ბრძოლად მსოფლიოს ისტორიაში. მასში მონაწილეობდა დაახლოებით 5000-6000 ეტლი. ამავე დროს, ეს იყო ერთ-ერთი პირველი ბრძოლა მსოფლიოს ისტორიაში, რომლის მიმდინარეობის ტაქტიკური დეტალების აღწერილობა შემორჩენილია.

როგორც ითქვა, ხეთების ლაშქარი, ეგვიპტელთაგან საიდუმლოდ, კადეშს იყო შეფარებული და როდესაც ქალაქს მიახლოებულმა ეგვიპტელებმა იქ ბანაკი დასცეს, ხეთური ეტლების მძლავრმა რაზმმა გამანადგურებელი იერიში მიტანა მათ ცენტრალურ ნაწილზე. ხეთები თავს დაესხნენ აგრეთვე ამონის შემდეგ მომავალ და მოულოდნელობისგან დაბნეულ რას ნაწილებს. ამ დროს მათგან შორს მყოფი ფტაპის დანაყოფები მდინარე შაბთუნას ფონს გადადიოდნენ.

ხეთების მიერ მიტანილი იერიშის თაობაზე, რამსესი ჩიოდა, რომ მისმა ხელქვეითებმა ვერ შეძლეს დაედგინათ ხეთების ჭეშმარიტი განლაგება. ფარაონმა სასწრაფოდ აფრინა შიკრიკები, რათა დაეჩქარებინა ფტაპისა და სეტის დანაყოფების შემოერთება, რომლებიც ჯერ კიდევ მდინარე ორონტის ხეობის შორეულ ნაწილში იმყოფებოდნენ. ამასობაში ხეთების ეტლებმა გადათელეს რას დანაყოფი და თითქმის მთლიანად გაანადგურეს იგი. გადარჩენილებმა ამონის ბანაკს მიაშურეს, მაგრამ ხეთები აქაც მიჰყვნენ მათ და ააოხრეს იქაურობა. ამონის ჯარში შიშის ზარმა დაისადგურა, დაფეთებული ჯარისკაცები ხეთური მახვილისაგან სიკვდილს გაურბოდნენ. გამარჯვებაში დარწმუნებულმა ხეთებმა ეგვიპტელთა ბანაკის ძარცვა დაიწყეს და ამით საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. ფარაონმა მთელი ძალები მოიკრიბა და თავისი მცველთა რაზმის მეთაურობით მხნედ შეუტია ნადავლის შეგროვებით გართულ ხეთებს. რამსესმა, მხოლოდ თავისი პირადი მამაცობის შედეგად, შეძლო საკუთარი თავისა და არმიის ცოცხლად დარჩენილი ნაწილების გადარჩენა, როდესაც თავისი ეტლით მამაცურად ჩაერთო ბრძოლაში. მისი წინამძღოლობით განხორციელებულმა უეცარმა შეტევამ არევ-დარევა შეიტანა მოწინააღმდეგის რიგებში. შეიძლება ითქვას, რომ კადეშის ბრძოლაში რამსეს II-მ დიდი მზედართმთავრის თვისებები გამოავლინა და თუ არა მის მიერ გამოჩენილი გმირობა, ეგვიპტელთა სრული მარცხი გარდაუვალი იყო. მდგომარეობა მაიც საგანგაშო იქნებოდა, დაგვიანებული სეტის დანაყოფების დამატებითი ნაწილები რომ არ გამოჩენილიყვნენ. ეგვიპტელებს გამოადგათ მათი ეტლების მეტი მანევრირებულობა და შედგენილი მშვილდების მოქმედების ვრცელი რადიუსი.

ხეთები იძულებული გახდნენ ეგვიპტელთა ბანაკს მოცილებოდნენ და მდინარე ორონტისაკენ დაეხიათ. ამ დროს მუვათალიმ აამოქმედა რეზერვში მყოფი ათასი საბრძოლო ეტლი და შეუტია ეგვიპტელებს მაშინ, როდესაც ხეთებმა, თითქოს, ისევ მიაღწიეს ეგვიპტელთა ბანაკს. ნეარინის სამხედრო ნაწილმა შემოასწრო ბრძოლის ველზე და იხსნა ეგვიპტელები სრული დამარცხებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეგვიპტელთა ჯარი მთლიანად ამოწყვეტილი იქნებოდა. რამსესის მიერ მოულოდნელად მიტანილი ექვსი იერიშის შემდეგ, ხეთები თითქმის ალყაშემორტყმულები აღმოჩნდნენ და ბრძოლაში გადარჩენილებმა მდინარე ორონტის გადაცურვით თავი კადეშის

გალავანს შეაფარეს. რამსეს II-ისადმი მიკუთვნებული იეროგლიფური წარწერების მიხედვით, მათ მდინარე ორონტი ისე სწრაფად გადაცურეს, რომ ნიანგებსაც კი შეშურდებოდათ. ხეთები იძულებული გახდნენ კადეშისათვის შეეფარებინათ თავი.

გათენებისთანავე, გაიმართა მეორე, ფაქტობრივად უშედეგო ბრძოლა. ორივე მხარე ძალზე დაზარალდა. ხეთებმა, მიუხედავად თითქოსდა თავდაპირველი წარმატებისა, ვერ შეძლეს საბოლოო გამარჯვების მოპოვება, ხოლო ეგვიპტელებს, სამხედრო ძალის დიდი დანაკარგის გამო, ქალაქისათვის ალყის შემოსარტყმელად ხალხი აღარ დარჩათ. ბრძოლის ძირითადი შედეგის შეფასებისას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეგვიპტელებმა ვერ მოახერხეს გალავნით კარგად გამაგრებული კადეშის აღება, რაც მათ თავდაპირველ და ძირითად მიზანს წარმოადგენდა.

ხეთების წარმატების მთავარი მიზეზი, მათ მიერ ეგვიპტური ძალების სრულ დანაწევრებას უნდა მიეწეროს, რაც უფრო განვითარებული სამხედრო სტრატეგიული და ტაქტიკური აზროვნების შედეგი იყო.

ვინაიდან რამსეს არ ძალუდა კადეშის ხანგრძლივი ალყისათვის ლოგისტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მან კეთილგონიერება გამოიჩინა და ჯერ უკან, დამასკოსკენ დაიხია, ხოლო საბოლოოდ ეგვიპტისაკენ გაბრუნდა. შინ დაბრუნებულმა ფარაონმა უდიდესი გამარჯვების შესახებ ამცნო თავის ქვეშევრდომებს, მაშინ როდესაც სინამდვილეში ერთადერთი, რაც მან გააკეთა, იყო ის, რომ ბრძოლის მსვლელობისას უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილმა, საბოლოოდ მაინც შეძლო დიდი ძალისხმევის, თავდადებისა და გმირობის ხარჯზე, საკუთარი არმიის სამშვიდობოზე გამოყვანა. კადეშის ბრძოლის შედეგი ეგვიპტელებისათვის სინამდვილეში იყო სრული მარცხისაგან თავის დაღწევა. ამ ბედნიერმა შემთხვევამ, შესაძლებლობა მისცა ეგვიპტეში დაბრუნებულ ფარაონს წაგებული ომი დიდ გამარჯვებად წარმოეჩინა, ხოლო საკუთარი თავი ხეთებთან ბრძოლაში გამარჯვებულად გამოეცხადებინა და ამაში ეგვიპტის საზოგადოებრიობაც დაერწმუნებინა. მიუხედავად უსაზღვრო ტრაბაზისა, მიღწეული გამარჯვების შესახებ, რამსესის მიერ განცდილი მარცხის მაჩვენებელია თუნდაც ის გარემოება, რომ მან შეუბრალებლად და სასტიკად დასაჯა თავისი არმიის გადარჩენილი მებრძოლები.

თავის მხრივ, ხეთების გამარჯვებაც უფრო პიროსის* გამარჯვებას ჰგავდა. შესაბამისად, მათ რეალურად შეაფასეს საკუთარი შესაძლებლობები და საკმარისად შორსმჭვრეტელნი აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ სწორად განესაზღვრათ ეგვიპტელებთან მშვიდობისა და კავშირის ფასი; მითუმეტეს, რომ უკვე იგრძნობოდა ასურეთის სამხედრო სიძლიერის განუხრელი ზრდა, რაც უახლოეს მომავალში დაემუქრებოდა როგორც ხეთების, ასევე ეგვიპტელების ინტერესებს.

უნდა ითქვას, რომ დღემდე არ არის თანხმობა მეცნიერთა შორის, კადეშის ბრძოლის შედეგების შესახებ. ზოგიერთის აზრით, ეგვიპტელებმა გაიმარჯვეს; ზოგი ფიქრობს, რომ მხარეებმა თანაბარ წარმატებასა თუ წარუმატებლობას მიაღწიეს; ზოგის აზრით, ეგვიპტელები დამარცხდნენ, ხოლო

ეგვიპტური წერილობითი წყაროების ცნობები პროპაგანდისტულ მიზნებს ემსახურებოდა.

კადეშის ბრძოლის შესახებ ცნობები ეგვიპტეში დიდი რაოდენობით არის შემორჩენილი როგორც წერილობითი, მათ შორის პაპირუსებზე დაწერილი ცალკეული ტექსტების სახით, ასევე კარნაკის, აბუ სიმბელის, აბიდოსის და თებეს რამესეუმის* ტაძრებში წარმოდგენილი კედლის მხატვრობის ნიმუშებით. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ზათუსილი III-ს შეუმჩნეველი არ დარჩენია ეს გარემოება და იგი წერილში გამქირდავად მიმართავდა რამსეს, კადეშის ბრძოლაში, მის მიერ საკუთარი თავის გამარჯვებულად წარმოჩენის გამო. რამსესის საპასუხო წერილი ბრძოლის ეგვიპტური ინტერპრეტაციის გადმოცემა.

კადეშის ბრძოლაში ეგვიპტელებმა მორალურ წარმატებას მიაღწიეს. ფარაონის გმირული თავდადების წყალობით, მათ თავი დააღწიეს გამანადგურებელ მარცხს. ხეთებმა ორალური სტრატეგიული მოგება ნახეს. მათ, მიუხედავად სამხედრო ეტლების დიდი ნაწილის დაკარგვისა, არ დაანებეს მტერს კადეში და მომდევნო წლების განმავლობაში თანდათანობითი სამხედრო შეტევებით დაათმობინეს ეგვიპტელებს პოზიციები უფრო სამხრეთით მდებარე ტერიტორიებზეც. ამურრუს გარდა, ხეთებმა დაიქვემდებარეს უპუც*. ამის შედეგად, ეგვიპტის აზიური სამფლობელოები მხოლოდ ქანაანით შემოისაზღვრა და ისიც მუდმივი აჯანყების საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. რამსეს II იძულებული იყო წამოეწყო გამუდმებული ლაშქრობები ქანაანში. ამ ლაშქრობათა შედეგად მიღწეული სამხედრო წარმატებები, საბოლოო ჯამში, ეგვიპტელთათვის ზედაპირული გამოდგა. ვერც ისინი და ვერც ხეთები ვერ ახერხებდნენ ერთმანეთზე გადამწყვეტი გამარჯვების მიღწევას.

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ქალაქ-სახელმწიფოებზე გავლენის მოსაპოვებლად წარმოებული თხუთმეტწლიანი ქიშპობის შემდეგ შექმნილი ჩიხური მდგომარეობის გამო, რამსეს II იძულებული გახდა, თავისი ზეობის 21 წელს (ანუ ძვ. წ. 1258 წ.), ხელი მოეწერა ხეთებთან სამშეიღობო ხელშეკრულებაზე. ხეთების მხრიდან საზავო ხელშეკრულებას ხელი უკვე ახალმა მეფემ, მუვათალი II-ის ძმამ – ზათუსილი III-მ მოაწერა. ეს დოკუმენტი მიჩნეულია მსოფლიოს უძველეს ოფიციალურად დადებულ ხელშეკრულებად. ტექსტი შედგენილი იყო იმ ეპოქის საერთაშორისო დიპლომატის ენაზე, აქადურად. ამ ხელშეკრულების ძალით, დადგინდა ეგვიპტესა და ხეთების ქვეყნის საზღვარი ქანაანის ტერიტორიაზე და ეგვიპტემ ფაქტობრივად დაკარგა ამურრუს ქვეყანა.

საზავო ხელშეკრულების ეგვიპტური ტექსტი პაპირუსის სახით არის შემორჩენილი, ხოლო ხეთური ცალი ვერცხლის ფილაზე იყო ამოკვეთილი, რომლის თიხის ასლიც იყო ნაპოვნი ბოლაზქიონის გათხრებისას. აღსანიშნავია, რომ კადეშის ხელშეკრულების გადიდებული ასლი ნიუ-იორქში, გაერთიანებული ერების მთავარ სამართველოში კედელზეა ჩამოკიდებული, როგორც მსოფლიოში პირველი საერთაშორისო ხელშეკრულების ნიმუში.

ხელშეკრულების დადების მომდევნო ხანაში, ჯერ ისევ რამსეს II-ის და ხათუსილი III-ის მეფობისას, ორი დიდი ქვეყნის კავშირი, ორივე მათგანის საკეთილდღეოდ, კიდევ უფრო განმტკიცდა და არა ნაკლები ინტენსიურობით გაგრძელდა მათი მემკვიდრეების, უგვიპტის ფარაონის მერნეფტაპისა და ხეთი მეფეების თუთხალია IV-ისა და არნუვანდას ზეობის წლებში. ხელშეკრულების დამტკიცებას თან სდევდა გულითადი მიწერ-მოწერა, არა მხოლოდ მეფეებს შორის, არამედ მათ მეუღლებს შორისაც. ხელშეკრულების დადების ცამეტი წლის შემდეგ ხათუსილი III-ის (ძვ. წ. XIII ს. პირველი ნახევარი) ქალიშვილი, მამამისის მიერ გამოთქმული სურვილის თანახმად, დაქორწინდა რამსეს II-ზე და ფარაონის მეუღლე გახდა.

ხეთებისა და ეგვიპტელების ურთიერთბრძოლით ისარგებლეს ასურელებმა და შეეცადნენ მითანის ხელში ჩაგდებას. ასურელები ხეთური სახელმწიფოს სავაჭრო გზებისათვის არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენდნენ, ვიდრე ეგვიპტელები. მუვათალის ძის – ურპი-თეშუბის (იგივე მურსილი III) დროს (ძვ. წ. XIII ს. პირველი ნახევარი), ასურელებმა მითანის მემკვიდრე სახელმწიფო – ხანიგალბათი იგდეს ხელთ და მდინარე ევფორატის აღმოსავლეთ ნაპირს მოადგნენ. როდესაც ურპი-თეშუბი ბიძამისმა – ხათუსილი III-მ გადააყენა ტახტიდან, ეს უკანასკნელი იძულებული გახდა შეგუებოდა ხანიგალბათის დაკარგვას. ხათუსილი III-ის მიერ, ხეთებსა და ეგვიპტელთა შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადება განპირობებული იყო სწორედ ასურეთის სამხედრო სიძლიერის შთამბეჭდავი ზრდით.

მითანის სახელმწიფოს ნარჩენების დანაწილებისათვის ხეთებსა და ასირიელებს შორის დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს ძვ. წ. XIII საუკუნის მეორე ნახევარში, ხათუსილი III-ის ძის – თუთხალია IV-ისა და ასურეთის მეფის – თუქულთი-ნინურტა I-ის დროს მიაღწია. თუთხალია საკმაოდ ძლიერი მეფე იყო იმისათვის, რომ დროებით მაინც შეეჩერებინა ასურელთა შეღწევა სირიაში. მანვე მოახერხა კვიპროსის დროებითი დაკავება. მის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა და გამაგრდა ხათუსას გალავანი. ასურელთა ექსპანსიის შესაჩერებლად მან აღმოსავლეთისაკენ, ასურელთა წინააღმდეგაც კი გაიღაშქრა. მოწინააღმდეგე ძალები ერთმანეთს მდინარე ტიგროსის მხარეში – ქ. ნიპრიასთან შეხვდნენ. ნიპრიას ბრძოლაში, ხეთებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს და ამით საშუალება მისცეს ასურელებს თავისი სამეფოსთვის მიიერთებინათ ნაირის* მიწები, საიდანაც ასურელებმა მალე მათთვის წინააღმდეგობის გამწევი 40 ადგილობრივი მმართველი გამოაძევეს. მართალია, ასურული წერილობითი წყაროები იკვეხნიან, რომ ბრძოლის შედეგად თითქოს მათ 28800 ხეთი ტყვე იგდეს ხელთ, მაგრამ სინამდვილეში ამ მარცხს ტრაგიკული შედეგი არ მოჰყოლია ხეთების სახელმწიფოსათვის, ვინაიდან ასურელთა მთავარი მიზანი, იმ ხანად, ბაბილონის აღება იყო. ამ მარცხით მხოლოდ ქვეყანაში არსებულმა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოსურნე ძალებმა სცადეს ესარგებლადთ. სხვა მცდელობებთან ერთად, ურპი-თეშუბის უმცროსი ძმა – კურუნტა შეეცადა, შეთქმულების გზით, გადაეყენებინა

ტახტიდან თუთხალია IV, მაგრამ ვერ მოახერხა. მეფემ დაამარცხა შეთქმულები და შეინარჩუნა ხეთური სახელმწიფო.

ანატოლიისათვის დამახასიათებელი შფოთისა და არეულობის ძველი სენი მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა ხეთური სახელმწიფოებრიობისათვის. ჩრდილოეთიდან, შავი ზღვის მიმდებარე მხარეებიდან, საფრთხეს წარმოადგენდა ქასქების (მესაქონლე ტომები) გაუთავებელი თავდასხმები, რომელთა შემოსევის შიშით, ხეთების სატახტო ქალაქი დროებით უფრო სამხრეთით, თარხუნტასაშიც* კი ყოფილა გადატანილი. ხეთებს კუნძულ კვიპროსს აქიავა ეცილებოდა. აქავეელი ბერძნების წინაპრები, ხეთების მიმართ ვასალურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებიც მუდმივად ცდილობდნენ დაკარგული დამოუკიდებლობის დაბრუნებას.

ხეთების უკანასკნელმა მეფემ – სუფილულიუმა II-მ მოახერხა რამდენიმე ბრძოლის მოგება, მათ შორის საზღვაოსიც. ეს ხეთური იმპერიის უკანასკნელი გამარჯვებები იყო. კვიპროსის სანაპიროსთან, დაახლ ძვ. წ. XIII საუკუნის დამლევს, ხეთებმა ზღვის ხალხების კუთვნილი ხომალდები ზღვაში გადაწვეს და ჩაძირეს, მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული წარმატება იყო. სულ მალე ზღვის ხალხებმა მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთი ჩაიგდეს ხელთ, ეგეიდან* პალესტინამდე.

შინაგანი და გარეგანი წნების ქვეშ მოქცეულმა ხეთების სახელმწიფომ, ვეღარ გაუძლო ახალ „გასაჭირს“, დასავლეთიდან „ზღვის ხალხების“ შემოსევებს და ძვ. წ. XII საუკუნის დასაწყისისათვის განადგურდა. რაც შეეხება ეგვიპტეს, ის საკამარისად ძლიერი აღმოჩნდა იმისათვის, რათა ამავე „ზღვის ხალხების“ ეგვიპტეში შეჭრა შეეჩერებინა.

სანაპირო ზოლიდან და საზღვაო გზებიდან მოკვეთილი ხეთების სახელმწიფოს ცენტრალური ნაწილი მეომარი და ველური ტომების რბევის ობიექტი შეიქნა, რასაც ხეთების დედაქალაქის, ხათუსას, საბოლოო განადგურება მოჰყა. გაურკვეელია, თუ კონკრეტულად ვინ დაანგრია საბოლოოდ ხეთების დედაქალაქი ხათუსა. ფიქრობენ, რომ ეს ქასქებს, ხეთების ჩრდილოეთით მცხოვრებ მესაქონლე ტომებს ან ფრიგიელებს, ანატოლიაში დასავლეთიდან შემოსულ ხალხს უნდა გაეკეთებინა. უკანასკნელ ხანებში ხათუსასას ადგილას მდებარე ბოლაზქოის მახლობლად, ბუიქქაიაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ხეთების სამეფოს დაცემის მომდევნო ხანაში აქ დასახლდა ხეთებისაგან სრულიად განსხვავებული წარმომავლობის მქონე მოსახლეობა, რომელსაც მიეწერება ადგილობრივი რკინის ხანის კულტურა. სავარაუდოა, რომ ქასქების მიერ დანგრეული ხათუსა დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ ფრიგიელებმა დასახლეს.

ხათუსასას დაცემა, როგორც ჩანს, ნაწილი იყო ხეთური სახელმწიფოებრიობის ერთიანი დაქცევა-განადგურებისა. ხეთები თითქოს ერთბაშად უჩინარდებიან ცენტრალური ანატოლიიდან და მათი სახელმწიფოებრივი ტრადიცია ძვ. წ. I ათასწლეულის ადრეულ საუკუნეებში არსებობას მხოლოდ ჩრდილოეთ სირიაში განაგრძობს, ვიდრე საბოლოოდ ასურეთმა მასაც არ მოუღო ბოლო.

ირანის ზეგნის სხვადასხვა ადგილებში მიკვლეულია პალეოლითისა* და ნეოლიტის^{*} ხანის სადგომები და ნამოსახლარები.

შეიძლება ითქვას, საკვებწარმოებითმა რევოლუციამ შესაძლებელი გახადა ირანში მუდმივი დასახლებების აღმოცენება და ერთ-ერთი ადრეული სამეურნეო ცივილიზაციის წარმოქმნა. ჩამოყალიბებული მეურნეობის ეტაპის ხანაში, საჭირო ხდება ჭირნახულის დაცვა მისი მითვისების შურველთაგან და უკვე ჩნდება ძვ. წ. IX-VIII ათასწლეულებით დათარიღებული სოფლის ტიპის დასახლებები: ალი კოშისა და გურანის ზემო ფენები, სარაბი, ჯარმო. მომდევნო ხანებში, მეურნეობა ვრცელდება ირანის ცენტრალურ ზეგანსა (თევე სიალკი I) და ხუზისტანში (თევე საბზი), ჩრდილო-დასავლეთ (ჰაჯი ფირუზი), დასავლეთ (გოდინ თევე VII) და სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანში (თევე იაჰია VI C-E).

უკანასკნელი მონაცემების თანახმად, შესაძლოა, მევენახეობა ზაგროსის მთიანეთში ჩაისახა. მსოფლიოში სადღეისოდ ყველაზე ადრეული ღვინის შესანახი ქოთნები სწორედ ამ რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილში, ჰაჯი ფირუზშია მიკვლეული და ძვ. წ. VI ათასწლეულის მეორე ნახევრითაა დათარიღებული.

ძვ. წ. VI ათასწლეულიდან მოყოლებული, მოხატული კერამიკა ხდება ირანული არქეოლოგიური კულტურების ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი. თავისეური მოხატული თიხის ჭურჭელი ჩნდება ენეოლითის ხანიდან.

ძვ. წ. IV ათასწლეულით თარიღდება ირანის ზეგანზე პირველი ქალაქის – სიალკის (ქ. ქაშანთან, ცენტრალურ ირანში) აღმოცენება.

ადრეული ბრინჯაოს ხანიდან უფრო მეტი რამ არის ცნობილი ირანის მოსახლეობის მატერიალური კულტურის შესახებ, თუმცა მხოლოდ წერილობითი მონაცემების გამოჩენის შემდეგ შეიძლება მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის ისტორიულ თუ ეთნიკურ იდენტიფიკაციაზე საუბარი.

ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში ირანში ვრცელდება ამიერკავკასიული წარმომავლობის მქონე, ე. წ. მტკვარ-არეზის* კულტურის მატარებელი ტომები. მათი გავრცელება, როგორც ჩანს, ძალისმიერი ხასიათისა იყო და ამ პროცესს თან სდევდა აქ უფრო ადრე არსებული, განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრების შეწყვეტა. იგივე სურათი ჩანს აღმოსავლეთ ანატოლიაში, სადაც, აგრეთვე ფიქსირდება ამიერკავკასიული ტრადიციების მატარებელი მოსახლეობის გამოჩენა. უფრო გვიან, ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში ე. წ. მტკვარ-არეზის კულტურის ტომები სირიასა და პალესტინაშიც ვრცელდებიან.

ირანის ვრცელი ტერიტორიის ტოპოგრაფიული დანაწევრება აქ სხვადასხვაგვარი სახის განცალკევებული კულტურების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. ადრეული ლითონის ხანის ირანი, ეკონომიკურად და კულტურულად, კვალინდებურად ნეოლითური ეპოქისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესით ცხოვრობდა. აქ არაფერი ჩანს იმ განვითარების მსგავსი, რაც მისგან დასავლეთით, მესოპოტამიისათვის და აღმოსავლეთით, ინდის ველზე აღმოცენებული მაღალი ცივილიზაციის მქონე ურბანული ცენტრებისთვის არის დამახასიათებელი

მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება ირანის ზეგანზე ჯერ ისევ პრიმიტიულ მდგომარეობაში იყო, ხუზისტანის დაბლობზე, ძვ. წ. IV ათასწლეულიდან, მესოპოტამიური ტიპის დამწერლობის მქონე ურბანული (ქალაქური ტიპის) ცივილიზაცია ყალიბდებოდა. ხუზისტანი, ძველი სუზიანა, ირანის ერთადერთი მხარეა, რომლის განვითარების დონე რამდენადმე უახლოვდებოდა მესოპოტამიაში მიმდინარე პროცესებს. აქ, ტიგროსისა და ევფრატის შუამდინარეთის მეზობლად, სამხრეთ ირანის მიწა-წყალზე არსებული ელამური ცივილიზაცია შუმერიდან მომავალი ზეგავლენის შედეგად იყო აღმოცენებული. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, იგი მჭიდრო ურთიერთკავშირში იყო მესოპოტამიურ ქვეყნებთან, შუმერთან, ბაბილონეთთან და ასურეთთან. ეს ურთიერთობა იყო როგორც მშვიდობიანი, სავაჭრო, ასევე საომარი. ელამელთა ენა, როგორც ირკვევა, მკვეთრად განსხვავებული იყო ამ მხარეში უფრო გვიან გავრცელებული ენებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ელამური ცივილიზაცია, ძირითადად ხუზისტანის დაბლობზე, სუზიანაში იყო კონცენტრირებული, სინამდვილეში ელამის სახელმწიფო უფრო ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა. დაბლობის გარდა, მას ექვემდებარებოდა ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მისი უშუალოდ მომიჯნავე მთიანეთი. მთისა და ბარის ერთიანობის მოდელის შემუშავება ამ ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო იყო. მაქსიმალურად ხდებოდა როგორც მთის, ასევე ბარის ბუნებრივი სიმდიდრეების გაცვლა-გამოცვლა. ამასთან ერთად, ელამი შუამავალი იყო, ერთი მხრივ, შუმერ-ბაბილონეთსა და მეორე მხრივ, ირანის ზეგნის საზოგადოებებს (თევე ჰისარი, სიალკი და სხვა) შორის. ამ ურთიერთობების ძირითადი მამოძრავებელი ძალა, ელამელთა მიერ განხორციელებული ვაჭრობა იყო. პროტოელამური წარწერიანი თიხის ფირფიტების გამოვლენა სიალკ IV-ისა და თევე იაპიას კულტურულ ფენებში აღნიშნული ვაჭრობის ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთია. შუა ბრინჯაოს ხანაში, ცენტრალური ირანის ზეგანი კიდევ უფრო მეტად იყო იზოლირებული გარე სამყაროსგან, ვიდრე ადრე. არსებობა ვეღარ განაგრძო თევე სიალკმა. ნაკლებად ჩანს ურთიერთობა მესოპოტამიასთან. მიუხედავად ამისა, ელამელების აქტიურობა ამ დროსაც შეიმჩნევა, თუმცა შედარებით ნაკლები ინტენსივობით.

ძვ. წ. XXIV საუკუნის შუა ხანებში, სარგონ დიდმა, აქადის მეფემ დაიმორჩილა ჯერ შუმერი, ხოლო შემდეგ ელამი და მის აღმოსავლეთით მდებარე მხარეებიც. დაახლოებით საუკუნენახევრის შემდეგ, დასავლეთ ირანის მთიანეთში მცხოვრებმა გუთიების ტომებმა ბოლო მოუღო აქადელთა ბატონობას. აქადის დაცემამ ელამს საშუალება მისცა თავისუფლება დაებრუნებინა და მესოპოტამიის დაბლობზე მდებარე სუზაც* დაეპყრო, რომელიც მისი დედაქალაქი გახდა. ძვ. წ. II ათასწლეულის განმავლობაში ელამელები სამხრეთ ირანში ფართოდ ვრცელდებიან. განსაკუთრებით დიდ სიძლიერეს, ელამმა, ძვ. წ. XV-XIII საუკუნეებში მიაღწია, როდესაც მან ასურელები და ბაბილონელები დაამარცხა. ამ ეპოქის ელამი მესოპოტამიის დიდ ნაწილსა და დასავლეთ ირანს მოიცავდა. ამ ქვეყანას აღორძინებულმა ბაბილონმა მოუღო ბოლო, როდესაც მისმა ლაშქარმა ძვ. წ. XII ს. დამლევს სუზა აიღო.

ირანზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, რომლითაც ხდებოდა ავღანური ლილაქებისა და სხვა ნახევრად ძვირფასი ქვების შეტანა მესოპოტამიაში, ანატოლიაში და სხვა ახლოაღმოსავლურ მხარეებში. ელამელთა ძირითადი მიზანი იყო დაექვემდებარებინათ აღმოსავლეთით მდებარე ზეგანისა და მთიანეთის მებრძოლი ტომები და სათავისოდ გამოეყენებინათ ამ მხარის ბუნებრივი სიმდიდრეები. ზაგროსის მთიანეთში კასიტები ცხოვრობდნენ, ჩრდილოდასავლეთ ირანში – მანეელები, ხოლო კასპიის ზღვის სამხრეთით – კასპიელები. მათი ეთნიკური ვინაობა და ერთმანეთთან მიმართება ნაკლებად არის ცნობილი. ერთადერთი, რაც მათ შესახებ ვიცით, არის მათ მიერ დანატოვარი ოქროსა და ვერცხლის მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშები. ლურისტანის ფართოდ ცნობილი ბრინჯაოს ნაკეთობები, რომლებიც, ძირითადად, სამარხულ ინვენტარს შეადგენდა, დიდი მხატვრული თავისებურებით გამოირჩევა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში დიდი წნის განმავლობაში გრძელდებოდა ადრეული ჰისარისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის მოხატვის ტრადიცია. თუმცა, სწორედ ირანის ამ მხარეში, ადრებრინჯაოს ხანის გვანდელ ეტაპზე, ხდება მნიშვნელოვანი ცვლილება. კერამიკული ტრადიცია აქ მთლიანად იცვლება. მოხატული ნაწარმის ნაცვლად ჩნდება სრულიად განსხვავებული ნაცრისფერი თუ მოშავო-მონაცრისფრო თიხის ჭურჭლი. მსგავსი ცვლილება, უმთავრესად, ახალი მოსახლეობის გამოჩენით აიხსნება ხოლმე. ეს კი ძველი მოსახლეობის ძალდატანებითი შეცვლის გარეშე იშვიათად ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ კერამიკასთან ერთად ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში, იმავდროულად გამოჩნდა ახალი სახეობის სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღები და სამკაულები, ადრე სავსებით უცნობი ამ მხარისათვის. ეს გარემოება დამატებითი საბუთია მოსახლეობის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილების სასარგებლოდ. საყურადღებოა, რომ ირანის მატერიალურ კულტურაში გავრცელებული ეს ინოვაციები არ შეხებია მესოპოტამიასა და საზოგადოდ უფრო დასავლეთით მდებარე მხარეებს, საიდანაც ირანში, ადრეულ ხანებში, ახალი ტრადიციები აღწევდა.

ბევრად უფრო გვიან, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, ჩრდილოაღმოსავლეთირანული ნაცრისფერი თუ მოშავო-მონაცრისფრო კერამიკა ჯერ თანდათანობით აღწევს ირანის დასავლეთ მხარეებს, ხოლო შემდეგ მთლიანად იქვემდებარებს მათ. ეს ცვლილება, თავის მხრივ, შესაძლოა, კავშირში იყო მომთაბარე ტომების ორი ჯგუფის ცენტრალური აზიდან ირანის ზეგანზე შემოჭრასთან. ჩრდილოეთიდან გავრცელებულმა მოსახლეობამ დაიკავა ირანის ცენტრალური ზეგანი. შესაძლოა, სწორედ ამ დროს, ირანის ბრინჯაოს ეპოქის დამლევ ხანაზე გადიოდეს ის ზღვარი, რომლის შემდეგაც ინდო-ირანული ჯგუფის ირანულ (არიულ^{*}) ენებზე მეტყველი ხალხები ბატონდებიან თანამედროვე ირანისა და მისი მომიჯნავე მხარეების ტერიტორიაზე. ცენტრალური აზიდან გავრცელებული მოსახლეობის ერთ-ერთი განშტოება შეიჭრა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე (იხ. ქვემოთ). ორივე ეს ჯგუფი თავის თავს არიელებს უწოდებდა. მათ ჰყავდათ ცხენშებმული საბრძოლო ეტლები, თუმცა ირანელებმა მალევე უპირატესობა ცხენოსან ჯარს მიაკუთვნეს, როგორც უფრო

უკეთ გამოსაყენებელს მთიან მხარეებში, სადაც მათ უფრო უხდებოდათ აქტი-ურობა, ინდისა და განგის ველებზე მცხოვრები ინდოელებისაგან განსხვავებით.

ირანში დასახლებული ინდო-ევროპელები ერთმანეთისაგან, თავთავიანთი დიალექტებით განსხვავდებოდნენ. მათგან ყველაზე ძლიერი მოსახლეები, სპარსელები და მიდიელები ანუ ფარსა და მაღა იყვნენ. სპარსელები ბახტიარის მთებში და მისგან დასავლეთით მდებარე ფარსის პროვინციაში დასახლდნენ, რომელსაც თავისი სახელი დაუტოვეს, მიდიელები კი უფრო ჩრდილოეთით – ჰამადანის ველზე. ეს უკანასკნელნი კარგი მეომრები და დახელოვნებული ცხენოსნები იყვნენ. წინა აზიაში მიდიელების ბატონობას მხოლოდ კიროს II დიდმა აქემენიანმა* მოუღო ბოლო. საინტერესოა, რომ მიდიელების მემკვიდრეობას ქურთები იჩემებენ. მიდიელებისა და ბაბილონელების კოალიციის მიერ, ასურეთის დედაქალაქის – ნინევის აღების წელი (ძვ. წ. 612 წ.), ბოლო დრომდე, ქურთების მიერ მათი კალენდრის ათვლის წერტილად მიიჩნეოდა.

სპარსელთა ადრეული შეიარაღების შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, თუმცა უფრო გვიანი ხანების მონაცემებით ზოგადი წარმოდგენა მაინც შეგვიძლია შევიქმნათ მასზე. მათი ცხენოსნები, როგორც ჩანს, ძირითადად მშვილდისარსა და ხელშუბს ატარებდნენ. უნდა ჰქონოდათ მუზარადები, კისრის საფარველები და ფარები. ქვეითი ჯარი მშვილდოსნების, შუბითა და ფარით აღჭურვილი მებრძოლებისაგან შედგებოდა. დიდი ზომის, ოთხკუთხა, დაწნულ ფარს სპარსელები სპარას უწოდებდნენ (შდრ. ქართ. ფარი). შუბი მცირე ზომისა ჰქონდათ, ორ მეტრზე ნაკლები სიგრძის. სპარსული მახვილიც მოკლე იყო და ფიქრობენ, რომ ეს მათი შეარაღების უფრო თავდაცვით ხასიათზე უნდა მიგვანიშნებდეს. სპარსელების ბრძოლის საყვარელი ხერხი იყო, ფარების საშუალებით, დამცავი კედლის აგება, რომლის ზემოდანაც მშვილდოსნები მოწინააღმდეგეს ისარს ესროდნენ.

სპარსელები იყვნენ პირველნი, ვინც ეტლში ორის ნაცვლად, ოთხი ცხენი შეაბა და ორთავე თვლის ღერძიდან, დაახლოებით 1 მ სიგრძეზე, ვიწრო ცელები მიამაგრა, რომლითაც მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისკაცები იცელებოდენ, მათ სიახლოვეს დიდ სიჩქარეზე ეტლის გავლის დროს. თუმცა, ეტლებთან შედარებით, სპარსელთა ცხენოსანი ჯარი უფრო მეტად მოძრავი და ეფექტური იყო. ძვ. წ. 331 წელს, გავგამელას* ცნობილი ბრძოლის დროს, ალექსანდრე მაკედონელმა დარიოს III-ის ეტლებს თავისი ჯარის წინა ხაზი გაუხსნა. ეტლები საკუთარი ჯარის სიღრმეში შეუშვა და შეძეგ ზურგიდან შეუტია მათ. ამ ბრძოლაში სპარსელთა კატასტროფიულმა მარცხმა, დაასამარა ეტლებით ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

ინდოსტანის ნახევარკუნძული. სამხრეთ აზიაში პირველი მხარე, სადაც ე. წ. ნეოლითურმა რევოლუციამ იჩინა თავი, იყო ირანის აღმოსავლეთითა და ავღანეთის სამხრეთით მდებარე თანამედროვე პაკისტანური პროვინცია, ბელუჯისტანი. აქ, აღმოსავლეთ ირანისა და სამხრეთ პაკისტანის შემაერთებელ გზაზე, მდინარე ბოლანის დასავლეთ ნაპირზე, მეპრგარში, აღმოჩნდა ადრეული ძვ. წ. VII ათასწლეულის ეტალონური ხასიათის წინაკერამიკული საკვებწარმოებითი

ნამოსახლარი. ძვ. წ. V ათასწლეულის დამლევისათვის მეურნეთა თემები მთელ ამ რეგიონში გავრცელდა. ერთმანეთისაგან განსხვავებული ნალის, უობისა და კულის კულტურები სხვადასხვა ხეობებში იყო ჩამოყალიბებული. ძვ. წ. IV ათასწლეულში ჩნდება გალავნიანი ქალაქები: რეპმან დჰერიში (მდინარე უობის დაბლობზე), ამრი და კოტ დიჯი სინდში და კალიბანგანი მდინარე ჰაკრასთან, ინდოეთში. ეს ნამოსახლარები განეკუთვნება ჰარაპის ანუ ე. წ. ინდის ველის ცივილიზაციის წინამორბედთა კულტურას.

კოტ დიჯის ნამოსახლარი მდებარეობდა ბორცვის ძირში, რომლის თხემზეც ციტადელი ყოფილა აღმართული. დედაციხის გალავანს თანაბარი ინტერვალებით კოშკები ჰქონია მოწყობილი. საკუთრივ ქალაქში, ქვის საძირკველზე ალიზის აგურით ამოყვანილი სახლების არსებობაა დადასტურებული. ეს ნაგებობები სადრენაჟო თხრილებისა და ქვის მასიური ჯებირების მიღმა იყო შეჯგუფული. მეზობელი თემები აქ ერთმანეთს მუდმივად ებრძოდნენ ნაყოფიერი მიწების დასაუფლებლად. კოტ დიჯის ნამოსახლარზე ნაპოვნია ქვის ძალზე დახვეწილი სამუშაო იარაღები, ბრინჯაოს ისრისპირები, მძივები, ქალღმერთისა და ცხოველთა მცირე ზომის თიხის პლასტიკა. განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს სათამაშო საზიდავი, რომელიც ცხადყოფს, რომ მეთუნის მორგვის მოყვანილობა დაედო საფუძვლად ურმის თვლების წარმოქმნას. ეს ნამოსახლარი, ისევე როგორც ამრი და კალიბანგანი, ცეცხლის მიერ ყოფილა განადგურებელი, რომლის გამომწვევი მიზეზი ჯერ კიდევ დაუდგენელია.

განვითარების მოძღვნო ეტაპი ინდოსტანის სუბკონტინენტზე, განეკუთვნება ე. წ. ინდის ველის ცივილიზაციას, რომლის ეტალონური ძეგლი ჰარაპა (ჰაკისტანში) იყო. მისი გავრცელების არეალი, ჰაკისტანისა (სინდჰის, პენჯაბისა და ბელუჯისტანის პროვინციებში) და ინდოეთის (გუჯარათსა და რაჯასთანში) გარდა, ნაწილობრივ ვრცელდებოდა, თანამედროვე ავღანეთის, ირანისა და თურქეთის ტერიტორიაზე. ამ ეპოქაში მდინარე ინდის აუზში მიწათმოქმედთა ასობით მცირე ზომის, გალავნიანი და დაგეგმარებულქუჩებიანი სამოსახლო არსებობდა. ამ კულტურის ნამოსახლარებზეც დასტურდება თავდაცვითი გალავნების კვალი. სამხრეთ-აღმოსავლეთ ავღანეთში მდებარე ცნობილი ნამოსახლარის, მუნდიგაკის, გათხრებისას გამომზეურდა მზეზე გამომწვარი ალიზის აგურით ნაგები გალავანი და მართკუთხა კოშკები.

საყურადღებოა, რომ ჰარაპის კულტურის არქეოლოგიურმა შესწავლამ ვერ გამოავლინა ომის საშიშროების რამდენადმე მნიშვნელოვანი გავლენის კვალი ადგილობრივი საზოგადოებების ცხოვრებაში. ბრინჯაომ, ინდის ველზე ახლო აღმოსავლეთიდან ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში შეაღწია, ყურადღებას იპყრობს საბრძოლო იარაღის სიმცირე (თუ არ ამზადებდნენ მათ ადვილად ხრწნადი მასალისაგან), არც აბჯარია სადმე მიკვლეული. ყველაზე ფართოდ გამოყენებული იარაღი, ქვის კვერთხი ჩანს, რომელიც ძველ სამყაროში ყველგან ერთნაირად, მუზარადის გამოყენების დაწყებისთანავე, ხმარებიდან გამოდიოდა.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ინდის ველის ცივილიზაცია არ განიცდიდა გარედან მნიშვნელოვან ზეწოლას და ამის გამო, აქ ნაკლები საჭიროება იგრძნობა საბრძოლო ტექნოლოგიების დასახვეწად და სამოსახლოთა თავდასაცავად. სხვანაირად აქ ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, თუ რატომ იყო აქ უფრო ნაკლებად განვითარებული სამხედრო საქმე, ვიდრე ამის შესაძლებლობას მაღალი ტექნოლოგიური დონე იძლეოდა. ასეთ „მშვიდობიან“ საზოგადოებაში, სავარაუდო ხდება ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი სისტემის უქონლობა, მითუმეტეს, რომ კულტურულადაც ინდის ველის ცივილიზაციაში ნაკლებად დასტურდება ძალაუფლების ამსახველი ნიშნების არსებობა, შთამბეჭდავი ტაძრებისა თუ ვრცელი სასახლეების სახით.

მიუხედავად ამისა, ქალაქების ყველა, ონბავ მაინც დიდ უბანს, გალავანი და დამატებით, გალავნის ირგვლივ, წყლიანი თხრილები ჰქონდა შემოვლებული. რა უნდა ყოფილიყო ამის გამომწვევი მიზეზი, თუკი საზოგადოება არ იყო დაქვემდებარებული ომის შიშზე ან თუნდაც მის მოსალოდნელ საფრთხეზე. ეჭვს გარეშეა, გარედან შემოსული მტრისაგან თავდასაცავად იყო აგებული ძვ. წ. III ათასწლეულით დათარიღებული გალავანი კუნძულ ხადირზე* მდებარე ნამოსახლარ დჰოლავირაში. აქ დასტურდება ერთიანად თავმოყრილი კედლების სისტემის არსებობა, რაც ზღვის მეკობრეების თავდასხმისაგან ქალაქის დაცვის საჭიროებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ინდოეთში სამხედრო საქმის სიძველეზე, ძირითადად ვეღების წიგნები* გვამცნობენ. ინდური ეპოქები – მაჰაბჰარატა და რამაიანა – მოგვითხრობენ რეგულარულ არმიებზე, საომარ მოქმედებათა ტექნიკურ თავისებურებებზე, სპირალისებურად დაწყობილ ჯარზე და მის წყობაში შეღწევის სირთულეზე, საბრძოლო ეტლებზე, საბრძოლო სპილოებზე და რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, სამხედრო მფრინავ მექანიზმებზე, რაც ბუნებრივია, ამ ცნობათა ლეგენდარულ ხასიათს უნდა მოწმობდეს.

რიგვედის* მონაცემებით, არიელებს წინამდლოლობდა ტომის ბელადი ანუ რაჯა. მათ უხდებოდათ ბრძოლა როგორც ერთმანეთთან, ასევე უცხოტომელებთან. ისინი იყენებდნენ ბრინჯაოს იარაღს და ჰქონდათ მანიანთვლებიანი ცხენშებმული ეტლები. პირუტყვის პარვის შედეგად მიღებული ნადავლის ძირითადი ნაწილი ტომის ბელადს უვარდებოდა ხელში. მეომრები განეკუთვნებოდნენ მებრძოლთა სოციალურ ჯგუფს – ქმატრია ვარნას.

მიუხედავად იმისა, რომ არიელთა ტრადიციული შეხედულების თანახმად, არიელებმა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე (სუბკონტინენტზე) შემოსვლისთანავე იავარჲყვეს მშვიდობიანი წინამორბედი მოსახლეობის კუთვნილი ქალაქები, რამდენადმე მასობრივი ნგრევის კვალის არსებობა არ დასტურდება. როგორც ჩანს, არიელთა იქ შეღწევა სულაც არ იყო სისხლიანი. ზოგიერთი სპეციალისტი არიელებს, ინდოსტანის ნახევარკუნძულის ავტოქტონურ მოსახლეობად მიიჩნევს; თუმცა, აშკარაა, რომ ეს ტომები აქ ჩრდილოეთიდან უნდა შემოსულიყვნენ. არიელთა კულტურა მკვეთრად განსხვავებულია წინამორბედისაგან.

ინდოეთში კონკრეტული ბრძოლის, ყველაზე ადრეულ ხსენებად უნდა ჩაითვალოს რიგვედის მეშვიდე მანდალაში (წიგნში) აღწერილი (განსაკუთრებით 18, 33 და 83, 4-8 პიმნებში) 10 მეფის ბრძოლა. მეფე სუდა, დივოდასას შთამომავალი, ამარცხებს მისადმი მტრულად განწყობილ არიელთა და ე. წ. დასიუს (სავარაუდოდ აბორიგენული) ტომების კონფედერაციას. მკვლევრები ფიქრობენ, რომ ამ გადმოცემაში მითოლოგიური წარმოდგენებით არის შელამაზებული ნამდვილი ამბავი, დაკავშირებული ინდოეთში არიული ტომების პირველი გამოჩენის ხანასთან. ინდო-ევროპული წარმომავლობის არიელები, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე, ძვ. წ. II ათასწლეულის განმავლობაში უნდა შეჭრილიყვნენ ჩრდილოეთიდან, კასპიისა და არალის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მხარეებიდან. რიგვედაში არიული ტომები დახასიათებულნი არიან, როგორც ნახევრად მომთაბარე მესაქონლები, რომლებიც ეწეოდნენ ლოკალურ ომებს და პირუტყვს სტაცებდნენ ერთმანეთს. 10 მეფის ბრძოლის აღწერის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ამ ეპოქის ტომთა რაოდენობა დაახლოებით რამდენიმე ათასი კაცისაგან შედგებოდა. ანალოგიური რაოდენობის ხალხისაგან შემდგარი ტომები დამახასიათებელი მოვლენა იყო ევრაზიელი მომთაბარეებისათვის.

ეტლების გამოსახულებები მიკვლეულია ვინდიას მთაგრეხილის* ქვიშაქვის ქანების პეტროგლიფებზე.* ეტლის ორი გამოსახულება მომდინარეობს ადგილ მორპანა პაპარიდან. პირველ მათგანში ორი შებმული ცხენი და მეეტლის თავი ჩანს, მეორეში – ოთხცხენიანი და 6 მანიანი (ჩხირიანი) თვლებიანი საბრძოლო ეტლი, რომლის მეეტლე ფართო ძარაზე დგას და რომელსაც თავს ესხმის წინ, მის გზაზე მდგომი ხელკეტიანი და ფარიანი ადამიანი, ხოლო მშვილდ-ისრით შეიარაღებული მეორე თავდამსხმელი მარჯვენა მხრიდან ემუქრება მას.

საბრძოლო ეტლებს გამორჩეული ადგილი უკავიათ ინდურ და სპარსულ მითოლოგიაში, მათ ღვთაებათა პანთეონის დიდი ნაწილი ეტლში მსხდომარედ არის წარმოსახული.

ჩინეთი. ჩინეთის სამხედრო ისტორია, ყოველგვარი წყვეტილის გარეშე ვითარდებოდა ათასწლეულების მანძილზე, ძვ. წ. XVI საუკუნის დამლევიდან ახ. წ. XVI საუკუნის დასაწყისამდე. ჩინეთს გააჩნდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული სამხედრო კულტურა.

ლეგენდარული გადმოცემების თანახმად, ჩინეთის პირველი ხელისუფალი იყო ჰუანგ დი ანუ ყვითელი იმპერატორი, რომელმაც დაამარცხა ჩი იუ (ომისა და წვიმის ღვთაება) და დასახლდა ჰუახიაში, ყვითელი მდინარის დაბლობზე. იგი ითვლება ხანის ჩინელების ანუ ჩინელთა ძირითადი ეთნიკური ჯგუფის წინაპრად და მამამთავრად. ჩინური ტრადიციით ჰუანგ დი მეფობდა ძვ. წ. XXIV საუკუნეში. იმ დინასტიათა შორის, რომლებიც კი ცნობილია ჩინური ანალების მიხედვით, ყველაზე ადრეულია ხიას დინასტია, იგი ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. მიჩნეულია, რომ ამ დინასტიის ხანა ქრონოლოგიურად მოსდევს ე. წ. სამი ხელმწიფისა და ხუთი იმპერატორის

ეპოქას და წინ უსწრებს შანგის* დინასტიას. არქეოლოგიური მონაცემები, თითქოს, მხარს უჭერებ ამ დინასტიის არსებობას.

შანგის, იგივე ინის დინასტიის ეპოქის ჩინეთი, ტიპური ბრინჯაოს ხანის საზოგადოება იყო. ამ დინასტიის სამხედრო სიძლიერე, მნიშვნელოვანწილად, ეტლებიან ჯარებზე იყო დაფუძნებული. საბრძოლო ეტლი, მკვლევართა აზრით, ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებისა და მეორე ნახევრის შანგის დინასტიის ჩინეთში, მათ მეზობელ ინდო-ევროპელ ტომებს უნდა შეეტანათ, რომელთაც ჩვეულებრივ მიაწერენ ხოლმე ამ ტექნოლოგიური სიახლის პოპულარიზაციას აღმოსავლეთის თვალუწვდენელ სივრცეებზე. თუმცა, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ეტლები უფრო ადრე, ხიას დინასტიის ხანიდან (დაახლ. ძვ. წ. 2100-1600 წ.წ.) უნდა ყოფილიყო ჩინეთში ცნობილი.

ჩინური ეტლის შემადგენლობა, სამი კაცით განისაზღვრებოდა: მეეტლისაგან, წარჩინებული მეომრისა და მსახურისაგან, რომლის მოვალეობა მეომრისათვის იარაღისა და ისრების მიწოდება იყო. ცხენი ჩინეთში ძნელი საშოვარი იყო. იმ პირთა რიცხვი, ვისაც მისი შეძენა შეეძლო, შეზღუდული იყო და შესაბამისად, ეტლის მეპატრონენი წარმოადგენდნენ მეომართა განცალკევებულ ჯუფს, რომელსაც სხვებთან შედარებით, საზოგადოებაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. თანდათანობით, ისინი პრივილიგირებულ კლასად გადაიქცენ. მათ ოცდაათი სამთავრო გადაეცათ სამართავად. ამავე დროს, ისინი ვალდებულები იყვნენ მეფის პირველივე ბრძანებისთანავე საბრძოლველად გამოცხადებულიყვნენ. შანგის დინასტიის მეფები მეზობლებთან, ასევე ჩრდილოეთიდან შემოჭრილ მომთაბარეებთან მუდმივ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმული. შანგის დინასტიის დროს საბრძოლო ეტლი იმპერიის ძირითადი იარაღი გამოდგა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ხელისუფალთ გაერთიანებინათ მეტად ვრცელი ტერიტორიები.

ყველაზე უფრო კარგად ცნობილი, ეტლებიანი სამარხი ჩინეთში, ჰენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, ანიანგის* მახლობლად, ჰოუგანგში იყო ნაპოვნი და იგი შანგის დინასტიის მეფის, ვუ დინგის ხანით თარიღდება (დაახლ. ძვ. წ. 1200 წ.). შანგის დინასტიის ხანაში, სამეფო წოდების პირები მთელ თავის ჯალაბობასთან ერთად იმარხებოდნენ. მათ სამარხში ასევე ატანდნენ მსახურებს, ცხენებს, ეტლებსა და მეტლებს. აქვე აღმოჩნდა ნაირგვარი ბრინჯაოს იარაღი.

შანგის ეპოქის ეტლში, ჩვეულებრივ, ორი ცხენი იყო შებმული, მაგრამ სამარხებში ზოგჯერ ოთხცხნიანი ეტლებიც არის ნაპოვნი. მეეტლის გარდა, ეტლში მშვილდოსანი და ზოგჯერ შუბით ან რომელიმე სხვა გრძელტარიანი იარაღის მქონე პირიც იყოფებოდა. ომის დროს, ეტლების გამოყენება, მათ წინააღმდეგ ქვეითი ჯარის მიერ ბრძოლის ხერხების დახვეწისა და ცხენოსანი მშვილდოსნების (ეტლებში მყოფ მშვილდოსნებთან შედარებით) მეტი ეფექტურობის გამო, თანდათანობით დავიწყებას მიეცა.

ჩინეთში ქვეითებიც, ისევე როგორც ეტლების ეკიპაჟის წევრები, ძირითადად „ცულ-სატევრებითა“ და შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი. „ცულ-სატევრი“ მხოლოდ ჩინეთისათვის დამახასიათებელი იარაღის სახეობაა. იგი

ხმარებაში შანგის დინასტიის ეპოქაში შემოდის. მას აქვს სატევრის ფორმის პირი, რომელიც შვერილით არის ჩასმული ხის ტარში. არსებობდა, აგრეთვე, ორმაგი თავის მქონე სახეობაც, რომელთაგან პირველი, ჩვეულებრივი ბასრი პირია, ხოლო მეორე, ნამგლისებური პირის მქონე. იარაღის ხმარებისას ხდებოდა იარაღის ვერტიკალური წვეტის მოწინააღმდეგის თავის მიმართულებით სათვალთმაქცოდ ძგერება, ხოლო სინამდვილეში იარაღის უკან გამოქაჩვისას მისი პორიზონტალური, ნამგლისებური პირი მტერს თავს აგდებინებდა. ეს იარაღი მზადდებოდა ბრინჯაოსაგან, მოგვიანებით რკინისგანაც. სამარხებში წარმოდგენილია მათი საცერემონიალო, ნეფრიტისგან დამზადებული ცალები. „ცულ-სატევრებს“ ხელისუფლებისა და ძალაუფლების გამომხატველი, პრესტიული დანიშნულების საგნების ფუნქცია ჰქონდათ.

ბრინჯაომ ახლო აღმოსავლეთიდან ინდის ველზე თუ დაახლ. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში შეაღწია, იმავე ათასწლეულის დამლევს, ჩინეთში იგი უკვე საკმაოდ უხეში ფორმის მქონე ნაწარმის სახით არის წარმოდგენილი. სამაგიეროდ, ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებისათვის ბრინჯაომ აქ შეუდარებელ დონეს მიაღწია. შანგის დინასტიის ჩინეთში დამზადებული ბრინჯაო, არაჩვეულებრივი სიკაშკაშით ხასიათდება, მაგრამ უბრალო ხალხისათვის, თვით გვიანბრინჯაოს ხანაშიც, ძირითად, ყოველდღიურად გამოსაყენებელ მასალას ისევ ქვე წარმოადგენდა განსაკუთრებით, ქვეყნის პერიფერიულ მხარეებში.

ჯოუს დინასტიის მიერ შანგის დინასტიის დამხობის შემდეგ (ძვ. წ. 1122 წ.), ჩინეთში ჩამოყალიბებული ფეოდალური საზოგადოებრივი წყობა, სამხედრო თვალსაზრისით, ისევ ეტლებით მებრძოლ არისტოკრატიულ კლასზე იყო დამყარებული. რკინის იარაღის დამზადება ჩინეთში სწორედ ჯოუს დინასტიის ეპოქაში იწყება. ეპოქაში, რომელიც, ამავე დროს, ჩინური ბრინჯაოს მეტალურგიის უმაღლესი აყვავების ხანად არის მიჩნეული.

ისტორიულად, ჩინელი სამხედროების ძირითადი საზრუნავი, მონღოლეთის, მანჯურიისა და ცენტრალური აზიის სტეპების მომთაბარეთაგან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინება და მათი აცილება იყო. საკუთარი სამეფოების დასაცავად, ჩინელმა ხელისუფლებმა ფართოდ გამოიყენეს თავისი უპირატესობა სამუშაო ძალის სიუხვესა და ორგანიზებულობაში. ეს, პირველ ყოვლისა, აისახა უმძიმესი ამოცანის, 6700 კმ გადაჭიმული ჩინეთის დიდი კედლის აგების დროს, რომელიც ძირითადად ცენტრალური ევრაზიის თვალუწვდენელი სივრცეებიდან წამოსული ცხენოსანი ლაშქრის შესაკავებლად იყო გამიზნული. მართალია, ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობა, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის გვიანი ხანებიდან იწყება, მაგრამ მისი საჭიროება უფრო ადრეულ ხანებშიც იქნებოდა საგრძნობი, თუნდაც იმიტომ, რომ ჩინეთს, მომთაბარებისაგან თავდასაცავად, მნიშვნელოვანი ბუნებრივი ზღუდეები არ გააჩნდა.

ზემოაღნიშნული, ძალზე მნიშვნელოვანი მატერიალური მონაცემების გარდა, ევრაზიის სტეპებიდან მომდინარე საფრთხეებზე ძველი ჩინელი მემატიანების ცნობებიც მიგვითითებს. ჩინელი მემატიანებისათვის, მათი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთითა და ჩრდილოეთით მცხოვრები ბარბაროსები, „მტაცებელი მგლები“ იყვნენ, რომელთა „დანაყრებაც შეუძლებელია, ვინაიდან ისინი ხარბები

და მომხვეჭელები არიან და არაფერზე არ ფიქრობენ საკუთარი სარგებელის გარდა: „სიტყვა „გაუმაძლარი“ ხშირად გამოიყენებოდა ბარბაროსთა დახასიათებისათვის.

* * *

ძელი აღმოსავლეთის სამხედრო საქმის შესწავლა ცხადყოფს, რომ ომიანობას ადრეული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მხოლოდ რომელიმე ტომისა თუ ქვეყნის მიერ მეორე ტომისა თუ ქვეყნის დამარცხებისა თუ დაპყრობის აღნუსხვას, რითაც ძელი მატიანები, ანალები თუ ქრონიკები შემოიფარგლებიან ხოლმე.

საზოგადოებრივი განვითარების მიმდინარეობისას, როდესაც ტომის მიწა-წყლის ზრდა შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ მეზობლად მდებარე ფართობების დაპყრობის საშუალებით, რაც ცხადია, ნიშნავდა ომს მეზობელ ტომებთან. მომხდურთაგან თავდასაცავად საჭირო ხდებოდა პირველი გალავნიანი ქალაქების აღმოცენება. ომს ან ომის საფრთხესა და ლაშქრობებს, ანდა ლაშქრობების ჩატარებისა და ხარკის აღების საჭიროებას – მიუხედავად მათი დანიშნულებისა თუ მიზეზისა – ჰქონდა ერთი და იგივე შედეგი; სახელდობრ, უფრო ძლიერი წინამდლოლის გაჩენა და უკეთესი ან უფრო ძლიერი ორგანიზაციის აღმოცენება იმისდა მიუხედავად, თუ რისთვის იყო იგი განკუთვნილი: თავდაცვისათვის თუ თავდასხმისათვის. ომისათვის საჭირო ორგანიზაციული შესაძლებლობები, იერარქიული სისტემა და ცენტრალიზებული სარდლობა საზოგადოებაში სამხედროებისაგან ვრცელდებოდა – მეომრები მეფეები ხდებოდნენ და მმართველობაში სამხედრო დისციპლინა შექმნდათ. ამდენად, აშკარაა, რომ ომიანობა კავშირში უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესთან.

როგორც წესი, მოსახლეობის ზრდას, რა მიზეზითაც არ უნდა ყოფილიყო იგი გამოწვეული, მოსდევდა ზეწოლა საზოგადოებაში არსებულ რესურსებზე. ეს ფაქტორები წარმოადგენდნენ სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის მექანიზმებს, ოღონდ, მხოლოდ განსაზღვრულ გარემოში და შესაბამისი საზოგადოებრივი განვითარების პირობების არსებობის შემთხვევაში. სახელმწიფო ორგანიზაცია მხოლოდ მაშინ აღმოცენდებოდა, როდესაც მოხდებოდა მისი წარმოქმნისათვის საჭირო პირობებიდან, რამდენიმე მათგანის ურთიერთდამთხვევა. ამასთანავე, როგორც ჩანს, ყოველი ცალკე აღებული სახელმწიფო, მისთვის დამახასიათებელი წინაპირობების არსებობის შედეგად იყო აღმოცენებული, რის გამოც, სხვადასხვა ადრეული სახელმწიფო, საკმაოდ მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა, მოიპოვებოდა რაღაც საერთოც ადრეული სახელმწიფოების აღმოცენების პროცესში. რაც შეეხება, სოციალურ უთანაბრობას იგი არ წარმოადგენდა სახელმწიფო ორგანიზაციის წარმოქმნისათვის აუცილებელ წინაპირობას.

ზოგიერთი ადრეული სახელმწიფოს წარმოქმნის ხასიათი, უეჭველად ავლენს ამ პროცესში დაპყრობის გადამწყვეტ ზეგავლენას. იყო შემთხვევები,

როდესაც მესაქონლეთა გაბატონება მიწათმოქმედებზე, იწვევდა სახელმწიფოს აღმოცენებას, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მარბიელი მომთაბარეები არა მხოლოდ ძარცვავდნენ ბინადარ მიწათმოქმედებს, არამედ, ზოგჯერ, ახდენდნენ პოლიტიკური განვითარების პროცესების სტიმულაციასაც. ადრეული საზოგადოებები თავიანთ მეზობლებთან კონტაქტს ხომ არცთუ იშვიათად ომების, ლაშქრობების და დაპყრობის მცდელობის საშუალებით ახორციელებდნენ. ომი და მისი თანხმლები მოვლენები დადებით, ზეგავლენას ახდენდნენ მმართველობითი და სამთავრობო ინსტიტუტების წარმოქმნა-განვითარებაზე. მეცნიერთა განსაზღვრების თანახმად, მხოლოდ უკანასკნელი 5500 წლის განმავლობაში ანუ ბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან, კაცობრიობამ სულ ვოტა 14000-ჯერ იომა.

ომიანობა და ლაშქრობები სათავეს უდებდა ცენტრალიზებული მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებას; უფრო მეტიც, სამხედრო ძალა, ომი და დაპყრობა ხელს უწყობდა სამხედრო სტრუქტურაზე დამყარებული ცენტრალიზებული სახელმწიფოს აღმოცენებას. თავის მხრივ, სახელმწიფო ითხოვდა სამხედრო სტრუქტურისაგან, მისი უხიფათობის გარანტად ყოფნას. სამხედრო სტრუქტურა, ფაქტობრივად, წარმოადგენდა მებრძოლთა ერთობლიობას, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლებისაგან მინიჭებული ჰქონდა, არსებული თუ მოსალოდნელი საფრთხეების მხედველობაში მიღების საფუძველზე, ძალის გამოყენების უფლება, ქვეყნის დასაცავად თუ სხვა ქვეყანაზე თავდასხმისათვის.

შეიძლება ითქვას, თუ მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სახელმწიფო იქმნებოდა უპირატესად შინაგანი განვითარების შედეგად, მეორე ნაწილი სახელმწიფოს წარმოქნას უკავშირებს გარეგან ფაქტორებს. ისინი თვლიან, რომ დაპყრობა და ომი იწვევს რა ერთი ხალხის მიერ, მეორის დამორჩილებასა და ექპლოატაციას, აუცილებელს ხდის სახელმწიფო ორგანიზაციის წარმოქმნას საზოგადოებაში ჩამოყალიბებული უთანასწორობის შესანარჩუნებლად. ერთი რამ უდავოა, ომიანობასა და დაპყრობებს, მართლაც შეუძლია გამოიწვიოს ადრეული სახელმწიფოების აღმოცენების სტიმულირება, მაგრამ ამისათვის საჭიროა, საზოგადოებაში არსებობდეს შესაბამისი შინაგანი პირობები, თუნდაც, განვითარების სათანადო დონის მხრივ, როგორც დამპყრობლებს, ასევე დაპყრობილებს, შორის. ასე რომ, სახელმწიფოს წარმოქმნისათვის, რაც ჩვენს მიერ განხილულ ეპოქაში არსებული საზოგადოებების ძირითადი მიზანი და მონაპოვარია, საჭირო იყო საზოგადოების შინაგანი განვითარებისა და მასზე ზემოქმედი გარეგანი ფაქტორების ურთიერთდამთხვევა.

განმარტებითი ლექსიკონი *

ავარისი — ჰიქსოსების დედაქალაქი. გაშენებული იყო ეგვიპტის შუა სამეფოს ხანის ქალაქის, როვარტის ნანგრევებზე, ნილოსის დელტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

ათლათლი — შუბის სასროლი მილისებურად ამოღარული ხის ჯოხი, რომელიც ფაქტიურად მკლავის დამაგრძელებელის ფუნქციას ასრულებდა და ზრდიდა სროლის ეფექტურობის ხარისხს.

ამურრუ — ამორეელების ქვეყანა სირიაში.

ანი — შუმერული ზეცის ღვთაება, ყველა სხვა ღვთაების მამა, ბატონი და დამცველი.

ანიანგი — ძვ. წ. 1554-1045 წ.წ. შანგის დინასტიის დედაქალაქი, მდებარეობდა ჩრდილოეთ ჰენანის პროვინციაში (ჩინეთი).

არიელი — ფართოდ გამოყენებული ტერმინი, რომელიც, ძირითადად, განიხილება წინარეინდო-ირანელთა თვითდასახელებად.

არნაიმი — ქალაქი კადეშის სამხრეთით, ეგვიპტიდან კადეშისაკენ მიმავალ გზაზე.

აქემენიანები — სპარსელი ტომების გამართიანებელი სამეფო დინასტია, რომელმაც საფუძველი დაუდო აქემენიანთა პირველი სპარსული იმპერიის არსებობას, ძვ. წ. 558-330 წ.წ.

გავგამელა — ადგილმდებარეობა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, დღევანდელ ქ. მოსულთან.

გილგამეშის ეპოსი — ეპიკური პოემა. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ადრეული თხზულება. ითვლება, რომ გილგამეში მესოპოტამიის ადრედინასტიური II პერიოდის მმართველი იყო (დაახლ. XXVII ს.).

გუთიები — მესოპოტამიის აღმოსავლეთით, ზაგროსის მთიანეთში მცხოვრები მებრძოლი ტომები.

გურზი — იგივე ბუნიკიანი კვერთხი; ფაქტობრივად წარმოადგენდა ხის ხელკეტს, რომლის ერთ ბოლოში ქვა იყო ჩასმული. იგი გამოიყენებოდა ახლო ბრძოლაში მოწინააღმდეგისათვის ჩასარტყმელად.

დაფური — კარნაკის წარწერის მიხედვით, ეს ქალაქი „ხეთების ქვეყანაშია“, თუმცა, სინამდვილეში სირიაში უნდა ყოფილიყო; ადრე მას ქანანის თაბორთან აიგივებდნენ.

დელტა — მდინარის შესართავთან წარმოქმნილი ნარიყი არე, დასერილი მდინარის ტოტების ქსელით, ხშირად სამკუთხედი ფორმისა.

დიფუზია — გავრცელება, გაფართოება, განპნევა.

დომინოს ეფექტი — მარტივი ჯაჭვური რეაქცია, რომელსაც ადგილი აქვს, როდესაც რაიმე ცვლილება იწვევს ასეთივე ცვლილებას იქვე, მის გვერდით და ა.შ. გამოიყენება მოვლენათა ურთიერთდამოკიდებული ჯაჭვის განმარტებისას.

ეგეიდა — დასავლეთითა და ჩრდილოეთით საბერძნეთით და აღმოსავლეთით თურქეთით შემოსაზღვრული ეგეოსის ზღვის კუნძულები.

ელექტრუმი — მინერალი, თვითნაბადი ოქროს ნაირსახეობა, შეიცავს 25-50% ვერცხლს. აგრეთვე, ოქროსა და ვერცხლის შენადნობი.

ეპიპალეოლითი – ბერძნულად „ძველი ქვის შემდგომ“; არქეოლოგიური ტერმინი, გამოიყენება ძველი ქვის ხანის შემდგომი პერიოდის ანუ ე.წ. შუა ქვის ხანის ანუ მეზოლითის ადრეული ეტაპის აღსანიშნავად.

ვედები – უძველესი ინდური სიბრძნის წიგნები; განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში.

ვინდიას მთაგრეხილი – ინდოსტანის ნახევარკუნძულის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით, განყოფს ინდოეთს, ჩრდილოეთ (ინდისა და განგის დაბლობი) და სამხრეთ ნაწილებად.

ზღვის ხალხები – ლიკიელები, სარდინიელები და ეგეოსის ზღვის ტომები.

თარზუნტასა – ქალაქი ხათუსას სამხრეთ-დასავლეთით, ჯერჯერობით არქეოლოგების მიერ არ არის მიკვლეული.

თებე – ეგვიპტის ერთ-ერთი უძველესი დედაქალაქი, ზემო ეგვიპტეში, ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე, ქ. ლუქსორის მახლობლად.

ილიადა – „სიმღერა ილიონზე“ ანუ ტროაზე, ძველბერძნული ეპიკური პოემა, რომელსაც ჰომეროსს (დაახლ. ძვ. წ. IX ს.) მიაწერენ.

ინდო-არიული – ინდო-ევროპული ენათა ოჯახის ინდო-არიული გან-შტოება.

ინდო-ევროპელები – მონათესავე ენების ერთ-ერთი დიდი ოჯახი; მასში შედიან: ხეთურ-ლუვიური, ინდური, ირანული, ბერძნული, სომხური და სხვა ენები.

კადეში – იგივე ყადეში, ძველი გალავნიანი ქალაქი დასავლეთ სირიაში, მდ. ორონტის მახლობლად. ქ. ჰომისის სამხრეთ-დასავლეთით 24 კმ, დღეს მისი ნანგრევები ცნობილია როგორც თელ ნები მენდის ბორცვი.

კარნაკი – უძინდრესი სატაძრო კომპლექსი, მდებარეობს ლუქსორის მახლობლად (ეგვიპტე). მნიშვნელობა შეიძინა მეთერთმეტე დინასტიის ხანიდან; მისი ისტორია თებესთან არის მჭიდროდ გადაჯაჭვული.

კასტა – ინდოეთსა და აღმოსავლეთის ზოგ სხვა ქვეყანაში განცალკევებული საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელშიც ადამიანები უფლებრივი მდგომარეობის, პროფესიის თუ წარმომავლობის მიხედვით იყვნენ გაერთიანებული.

ლოგისტიკა – არმიის მომარაგებისა და გადაადგილების მართვა.

ლუვიელები – ინდო-ევროპულ ენათა ოჯახის, ანატოლიური ჯგუფის ენა, რომელშიც ხეთურთან ანუ ნესიტურთან და ფალაურთან (პალას ენა) ერთიანდება. გავრცელებული იყო ძვ. წ. II ათასწლეულის სამხრეთ ანატოლიაში, არცავასა და კიცუვათნაში.

მარიანუ – ეტლით მებრძოლთა პრივილეგირებული კასტის წარმომადგენელი ძველ აღმოსავლეთში.

მეგიდო – ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ პალესტინაში, ეზდრაელონის ველზე, თანამედროვე ქ. ჰაიფას მახლობლად, ისრაელი.

მემფისი – ქ. კაიროს სამხრეთით 20 კმ, ნილოსის დასავლეთ ნაპირზე. ქემო ეგვიპტის პირველი ნომისა და შემდეგ ძველი სამეფოს დედაქალაქი დაახლ. 2200 წლამდე.

მითანი – ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, ჩრდილოეთ მესო-კოტამიაში მდებარე ზურიტული სამეფო.

მორპანა პაპარი – ადგილმდებარეობა მირზაპურის მხარეში, უტარპრადე-შის პროვინცია (ჩრდილოეთი ინდოეთი).

მტკვარ-არეზის კულტურა – ძვ. წ IV-III ათასწლეულებში მტკვრისა და არეზის შუამდინარეთში გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანის კულტურა; კავკასიის გარდა ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაშიც (იგივე მტკვარ-არაქსის კულტურა).

ნეარინი – იგივე ნა'არნი ამურრუს სახელმწიფოში ქ. ბიბლოსის ჩრდილოეთით თუ ქანაანში მცხოვრები ხალხი.

ნაირი – ძვ. წ. XIII-X სს., ვანის ტბის ირგვლივ მცხოვრები ტომების ერთობლივი სახელწოდება.

ნეანდერტალელი – კაცობრიობის განვითარების გვერდითი შტო, ცხოვ-რობდა ძირითადად შუა პალეოლითში.

ნეოლითი – ბერძნულად „ახალი ქვა“; არქეოლოგიური ტერმინი, გამოიყენება ახალი ქვის ხანის აღსანიშნავად.

ნიპური – ქ. ბაღდადის სამხრეთ-აღმოსავლეთით 160 კმ. მიჩნეულია შუმ-ერის ერთ-ერთ უძველეს ქალაქად. იგი იყო სამყაროს მმართველი ღვთაების, ენლილის ქალაქი, რომელსაც შუმერული ღვთაებების იერარქიაში მეორე ადგილი ეკავა ანის შემდეგ.

ონაგრი – გარეული ვირი.

პალეოლითი – ბერძნულად „ძველი ქვა“; არქეოლოგიური ტერმინი, გა-მოიყენება ძველი ქვის ხანის აღსანიშნავად.

პანთეონი – ბერძნულად ყველა ღმერთის ტაძარი.

პეტროგლიფი – ბერძნულად „ქვაზე ამოკვეთა“. ადამიანის მიერ გამო-ქვაბულებში და კლდეზე ამოკვეთილი გამოსახულებები.

პიროსის გამარჯვება – ისეთი გამარჯვება, რომელსაც ძალიან დიდი მსხვერპლი დასჭირდა. გამოთქმა უკავშირდება, ეპირის მეფე პიროსის, რომელმაც ძვ. წ. 279 წ. დაამარცხა რომაელები უდიდესი მსხვერპლის ფასად.

პიქტოგრამა – შინაარსის გადმოსაცემად გამოყენებული გამარტივებული ნახატები.

რამესიდული პერიოდი – დაახლ. ძვ. წ. 1295-1069 წ.წ., ახალი სამეფოს მეცხრამეტე და მეოცე დინასტიების მომცველი ეპოქა.

რამესეუმი – რამსეს II-ის მემორიალური ტაძარი თებეში, ზემო ეგ-ვიპტეში, თანამ. ქ. ლუქსორთან.

რიგვედა – „საგალობელთა ცოდნა“, ვედების წიგნის უძველესი ნაწილი; შეიქმნა ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში.

როდოსი – ბერძნული კუნძული თურქეთის სამხრეთ-დასავლეთით, ეგეო-სის ზღვის სანაპიროს მახლობლად.

სემიტები – მონათესავე ენების ერთ-ერთი დიდი ოჯახი; მასში ერთიანდებიან: არაბების, ებრაელების, ასურელების, ამორელების, აქადელების და სხვათა ენები.

სეტი – ეგვიპტის ძველი ღვთაება, დაკავშირებული უდაბნოსთან, ქარიშხალთან და ქაოსთან.

სუზა – მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, მდებარეობდა მდ. ტიგროსის აღმოსავლეთით 250 კმ, სუზიანაში, თანამედროვე ხუზისტანი, ირანში.

უმმა – შუმერული ქალაქი, ცნობილი ქ. ლაგაშთან ხანგრძლივი კონფლიქტით. ძვ. წ. XXIV საუკუნეში, მისმა მმართველმა, ლუგალ-ზაგესმა დაიქვემდებარა ური და ურუქი. მდებარეობდა ტიგროსის დასავლეთითა და ლაგაშის ჩრდილოეთით.

უპუ – იგივე აპუ, ქ. დამასკოს სანახები, სირიაში.

ურის შტანდარტი – წარმოადგენდა ხის ყუთის თავსახურს, რომელზედაც გამოსახულია შუმერთა ომისა და მშვიდობის სცენები, გვხვდება ოთხთვალა ეტლებიც. ნაპოვნი იყო ურის ე. წ. სამეფო აკლდამების გათხრის დროს.

ფალანგა – ძველ საბერძნეთში გამოყენებული ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა, ჯარისკაცთა ერთმანეთთან მიჯრილი მწკრივები.

ფორპოსტი – სამხედრო მნიშვნელობის მოწინავე პოსტი, მოწინავე პოზიცია; იგივე ავანპოსტი.

ფურუშხანდა – სავარაუდოდ, თანამ. აჯემჰორუქი, ცენტრალურ ანატოლიის სამხრეთ ნაწილში, ქ. აკსარაის ჩრდილო-დასავლეთით 18 კმ.

ქანაანი – ძველი გეოგრაფიული ტერმინი, ეგვიპტელთა მიხედვით მოცავდა მთელ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს ანუ ლევანტს.

შანგის ანუ ინის დინასტია – ისტორიულად დადასტურებული ჩინური საიმპერატორო დინასტია. არსებობდა ძვ. წ. II ათასწლეულის შუხანებსა და მეორე ნახევარში, ჩამოყალიბდა ცენტრალურ ჩინეთში, ჩრდილოეთ ჰენანში, ყვითელი მდინარის დაბლობზე ანუ ე. წ. „საკუთრივ ჩინეთში“.

შაბთუნა – ქალაქი კადეშის სამხრეთით, მოხსენიებულია რამსეს II-ის აზიურ ლაშქრობასთან დაკავშირებით, ქ. არნაიმთან ერთად.

შედგენილი მშვილდი – მზადდებოდა სრულიად განსხვავეული მასალებისაგან, რომელთა ერთ ფენად გაერთიანება ხდებოდა დაწინებით. განსხვავებული მასალების გაერთიანება შესაძლებლობას იძლეოდა გამოყენებული ყოფილიყო თვითონეული მათგანის საუკეთესო თვისებები.

ხადირი – კუნძული მდებარეობს გუჯარათის პროვინციაში პაკისტანის საზღვართან.

ქალკოლითი – ბერძულად „სპილენძ-ქვა“. არქეოლოგიური ტერმინი სპილენძისა და ქვის ერდროული გამოყენების ხანის აღსანიშნავად.

ხურიტები – სავარაუდოდ, კავკასიური წარმომავლობის ხალხი; ცხოვრობდა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, დაახლ. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან. მათი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია მითანის სამეფო.

ჰომოგენური – შემადგენლობით, წარმოშობით, თვისებებით ერთგვაროვანი.


გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- Bradford, A. S. & Bradford, P. M. *With Arrow, Sword and Spear. A History of Warfare in the Ancient World*. Westport, Conn.: Praeger, 2001.
- Divale, W. T. *Warfare in Primitive Societies*. Santa Barbara, 1973.
- Ferguson, R. B., ed. *Warfare, Culture, and Environment*. Orlando, 1984.
- Ferrill, A. *The Origins of War: From the Stone Age to Alexander the Great*. London: Thames & Hudson, 1985.
- Giles, L. *Sun Tzu on the Art of War. The Oldest Military Treatise in the World*. Translated from the Chinese with Introduction and Critical Notes by Lionel Giles. London, 1910.
- Hall, H. R. *The Anceint History of the Near East from the Earliest Times to the Battles of Salamis*. London: Methuen & CO, 1924.
- Kammler, H. *Der Ursprung des Staates. Eine Kritik der Ueberlagerungslehre*. Koeln: Opladen, 1966.
- Keegan, J. *The Mask of Command*. New York, 1987.
- Manzanilla, L., ed. *Studies in the Neolithic and Urban Revolutions*, 2 vols. Oxford, 1987.
- Mellaart, J. *The Neolithic of the Near East*. London, 1975.
- Raaflaub, K. A. & Rosenstein, N. *War and Society in the Ancient and Medieval Worlds: Asia, the Mediterranean, Europe, and Mesoamerica*. Cambridge, MA: Center for Hellenic Studies, 1999.
- Rausing, G. *The Bow*. Lund, 1967.
- Service, E. R. *Urspruenge des Staates und der Zivilisationen. Der Prozess der kulturellen Evolution*. Frankfurt am Mein, 1977.
- Thompson, T. J. Ancient Stateless Civilization. Bronze Age India and the State in History, - *The Independent Review*, vol. X, no. 3, Winter 2005, pp. 365–384.
- Turney-High, H. H., *Primitive War: Its Practice and Concepts*, 2nd ed. (Columbia, S.C., 1971).
- Woods, M. & Woods, M. B. *Ancient Warfare: From Clubs to Catapults*. Minneapolis: Runestone Press, 2000.


ტაბულები



1



2



3



4



5



6

ილუსტრაციების აღწერილობა:

1. ნარმერის ფილა, აგრეთვე ცნობილი როგორც ჰიერანქონპოლისის პალიტრა. თარიღდება დაახლ. ძვ. წ. XXXI ს-ით.
2. შტანდარტი ურის სამეფო სამაროვნიდან, ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანები.
3. ხეთური ეტლი, გადმოხატული ეგვიპტური ბარელიეფიდან.
4. რამსეს II დაფურის ალყის დროს; რამსეუმის (თებე) კედლის ფერწერა, ძვ. წ. XIII ს.
5. ლაგაშის მეფის ეანათუმის მიერ ქალაქ უმაზე ლაშქრობის აღნიშვნელი გამარჯვების სტელის ფრაგმენტი; ცნობილი აგრეთვე „სვავების სტელის“ სახელწოდებით. დაახლ. ძვ. წ. 2450 წ. კირქვა.
6. აშურნასირპალ II-ის ბარელიეფი ნიპურის სასახლიდან.